

დანართი №1

ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

<p>ევროკავშირის სამართლებრივი აქტი</p> <p>2002 წლის 16 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/87/EC დირექტივა, ფინანსურ კონგლომერატში საკრედიტო ინსტიტუტების, სადაზღვევო კომპანიებისა და საინვესტიციო კომპანიების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ</p>		<p>საქართველოს ნორმატიული აქტის/აქტების პროექტი/პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი/აქტები, არსებობის შემთხვევაში:</p> <p>N1. „ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი;</p> <p>N2. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი;</p> <p>N3. „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონი;</p> <p>N4. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი.</p> <p>შესაბამისობა:</p> <p>სშ – სრულად შესაბამისი</p> <p>ნშ – ნაწილობრივ შესაბამისი</p> <p>შ – შეუსაბამო</p> <p>ას – არასავალდებულო</p>				
1	2	3	4	5	6	7
მუხლი ან ნაწილი	ნორმის ტექსტი	N	მუხლი ან პუნქტი (ნაწილი)	ნორმის ტექსტი	შესაბამისობა	შენიშვნები

1	<p>წინამდებარე დირექტივა განსაზღვრავს იმ რეგულირებადი სუბიექტების დამატებითი ზედამხედველობის წესებს, რომლებმაც ავტორიზაცია მოიპოვეს 73/239/EEC დირექტივის მე-6 მუხლის, 2002/83/EC დირექტივის მე-4 მუხლის, 2004/39/EC დირექტივის მე-5 მუხლის, 2005/68/EC დირექტივის მე-3 მუხლის, 2006/48/EC დირექტივის მე-6 მუხლის, 2009/65/EC დირექტივის მე-5 მუხლის, 2009/138/EC დირექტივის მე-14 მუხლის ან (EU) N2011/61 დირექტივის მე-6-11 მუხლების შესაბამისად, და რომლებიც ფინანსური კონგლომერატის შემადგენლობაში შედიან.</p> <p>წინამდებარე დირექტივით აგრეთვე შესწორებები შედის იმ შესაბამის დარგობრივ წესებში, რომლებიც გამოიყენება ამ დირექტივებით დარეგულირებელი სუბიექტების მიმართ.</p>	N1	1.1	<p>ეს კანონი განსაზღვრავს ფინანსური კონგლომერატის ცნებასა და მისი ცნობის კრიტერიუმებს, ადგენს დამატებითი ზედამხედველობის სტანდარტებსა და წესებს იმ რეგულირებული საწარმოებისთვის, რომლებიც ამ კანონის საფუძველზე ფინანსური კონგლომერატის შემადგენლობაში შედიან.</p>	ნშ	<p>დირექტივის პირველი მუხლის შინაარსი ასახულია კანონპროექტის შესაბამის პუნქტში და განსაზღვრულია კანონის მოქმედების სფერო. დირექტივის აღნიშნულ მუხლში ასევე გადმოტანილია რეგულირებადი სუბიექტების ჩამონათვალი მითითებული დირექტივების შესაბამისად ავტორიზაციის მიღების პროცედურებზე მითითებით. აღნიშნულის გადმოტანა კანონპროექტში მიზანშეწონილი არ არის.</p>
2.1	<p>ამ დირექტივის მიზნებისათვის:</p> <p>(1) „საკრედიტო დაწესებულებები“ ნიშნავს საკრედიტო დაწესებულებას 2006/48/EC დირექტივის 4(1) მუხლის მნიშვნელობით;</p>	N4	2 „გ“	<p>კომერციული ბანკი – ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით თავისი სახელით ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას;</p>	ნშ	<p>საკრედიტო ინსტიტუტი (საწარმო, რომლის საქმიანობა დეპოზიტების ან სხვა დაბრუნებადი სახსრების აღება და კრედიტების გაცემა საკუთარი თავისთვის) კანონპროექტში აისახა როგორც კომერციული ბანკი, რამდენადაც ცნების იმ სახით გადმოტანის შემთხვევაში, კანონის მოქმედების სფეროში მოქცეოდნენ ისეთი ფინანსური ინსტიტუტები (მაგ. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია), რომელთა დამატებითი ზედამხედველობის</p>

						<p>მოქმედების სფეროში მოქცევა, ქვეყნის კონტექსტის გათვალისწინებით, არ არის რელევანტური. ამის თაობაზე ინფორმაცია გაზიარებულია ევროკომისიასთან, რომლის მხრიდან საწინააღმდეგო მოსაზრებები არ დაფიქსირებულა. კომუნიკაცია 2018 წელს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით განხორციელდა.</p>
2.2	„სადაზღვევო კომპანია“ ნიშნავს სადაზღვევო კომპანიას 2009/138/EC დირექტივის მუხლი 13(1), (2) ან (3) მნიშვნელობით;	N3	2 „გ“	<p>გ) მზღვეველი –</p> <p>გ.ა) სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია სადაზღვევო საქმიანობის განსახორციელებლად და რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მიღებული აქვს დაზღვევის შესაბამისი სახეობის განხორციელების ლიცენზია;</p> <p>გ.ბ) ეკონომიკური განვითარებისა და ურთიერთთანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებში რეგისტრირებული და შესაბამისი ორგანოების მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო და გადაზღვევის ორგანიზაციების მიერ საქართველოში დაფუძნებული ფილიალი (წარმომადგენლობა), რომელიც რეგისტრირებულია ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით</p>	სშ	

			<p>სახსრებით განახორციელოს ფასიანი ქაღალდებით გარიგება მათივე ინტერესებისათვის ;</p> <p>ვ) მართოს კლიენტების, მათ შორის, საპენსიო სქემების, საინვესტიციო პორტფელები და ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებისთვის გამოყოფილი სახსრები, გარდა კოლექტიური პორტფელის მართვისა;</p> <p>[ვ) მართოს კლიენტების საინვესტიციო პორტფელები და ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებისთვის გამოყოფილი სახსრები, გარდა კოლექტიური პორტფელის მართვისა; (ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან)]</p> <p>ზ) განახორციელოს კლიენტების საინვესტიციო სახსრების ან/და ფასიანი ქაღალდების შენახვა და აღრიცხვა, აგრეთვე ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელის მომსახურება; ამ მიზნით გაუხსნას კლიენტებს ფულადი და ფასიანი ქაღალდების ანგარიშები და აწარმოოს მათზე ოპერაციები;</p> <p>თ) საკუთარი სახსრებით განახორციელოს ფასიანი ქაღალდებით გარიგება თავისივე ინტერესებისათვის ;</p> <p>ი) მოამზადოს და განახორციელოს ემიტენტის ფასიანი ქაღალდების განთავსება გარანტირებულ საფუძველზე;</p> <p>კ) ასესხოს კლიენტებს და ისესხოს მათგან ფასიანი ქაღალდები, აგრეთვე გამოიყენოს საკუთარი სახსრები კლიენტებისათვის ფასიანი ქაღალდების შესაძენად, მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით განსაზღვრულ „მოკლე გაყიდვებში“;</p> <p>ლ) განახორციელოს ვალუტის ყიდვა-გაყიდვა;</p> <p>ლ¹) დადოს დერივატივი;</p>		
--	--	--	--	--	--

				<p>მ) განახორციელოს სხვა ოპერაციები ფინანსურ ინსტრუმენტებთან, სამეწარმეო საზოგადოების წილებთან ან ამ კანონით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილება;</p> <p>ნ) ორგანიზება გაუწიოს უცხოური ვალუტის სავაჭრო პლატფორმას.</p>		
2.4	„რეგულირებადი სუბიექტი“ ნიშნავს საკრედიტო დაწესებულებას, სადაზღვევო კომპანიას, გადაზღვევის კომპანიას, საინვესტიციო კომპანიას, აქტივების მმართველ კომპანიას ან ალტერნატიული საინვესტიციო ფონდის მმართველს;	N1	2.1 „პ“	<p>1. ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:</p> <p>პ) რეგულირებადი საწარმო - კომერციული ბანკი, სადაზღვევო ორგანიზაცია, გადამზღვეველი კომპანია, საბროკერო კომპანია ან აქტივების მმართველი კომპანია;</p>	წმ	<p>საკრედიტო ინსტიტუტი (საწარმო, რომლის საქმიანობაა დეპოზიტების ან სხვა დაბრუნებადი სახსრების აღება და კრედიტების გაცემა საკუთარი თავისთვის) კანონპროექტში აისახა როგორც კომერციული ბანკი, რამდენადაც ცნების იმ სახით გადმოტანის შემთხვევაში, კანონის მოქმედების სფეროში მოექცეოდნენ ისეთი ფინანსური ინსტიტუტები (მაგ.: მიკროსაფინანსო ორგანიზაცია), რომელთა დამატებითი ზედამხედველობის მოქმედების სფეროში, ქვეყნის კონტექსტის გათვალისწინებით, არ არის რელევანტური. ამის თაობაზე ინფორმაცია გაზიარებულია ევროკომისიასთან, რომლის მხრიდან საწინააღმდეგო მოსაზრებები არ</p>

					<p>დაფიქსირებულა. კომუნიკაცია 2018 წელს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით განხორციელდა.</p> <p>ასევე იხ. ამ შესაბამისობის ცხრილის მე-7 სვეტის კომენტარი დირექტივის 2.5a მუხლზე.</p>
2.5	<p>„აქტივების მმართველი კომპანია“ ნიშნავს მმართველ კომპანიას 2009/65/EC დირექტივის 2(1)(b) მუხლის მნიშვნელობით ან საწარმოს, რომლის რეგისტრირებული ოფისიც მდებარეობს მესამე ქვეყანაში და რომლის ამ დირექტივის მიხედვით ავტორიზაცია იქნებოდა საჭირო, მისი რეგისტრირებული ოფისი ევროკავშირში რომ მდებარეობდეს;</p>				<p>შ</p> <p>განმარტებების ის ნაწილები, რომელთა შედეგად კანონის მოქმედების სფეროში მოექცეოდნენ ისეთი რეგულირებული საწარმოები, რომლებიც მესამე სახელმწიფოებში არიან დაარსებულნი, თუმცა საქართველოში ოპერირებენ, ქვეყნის კონტექსტის გათვალისწინებით და იურიდიული აღსრულებადობის გათვალისწინებით, არ იქნა ასახული.</p>

2.5a	„ალტერნატიული საინვესტიციო ფონდის მმართველი“ ნიშნავს ალტერნატიული საინვესტიციო ფონდების მმართველს დირექტივის (EU) N2011/61 მუხლის 4(1)(b), (1) და (ab) მნიშვნელობით ან საწარმოს, რომლის რეგისტრირებული ოფისიც მდებარეობს მესამე ქვეყანაში და რომლის ამ დირექტივის მიხედვით ავტორიზაცია იქნებოდა საჭირო, მისი რეგისტრირებული ოფისი ევროკავშირში რომ მდებარეობდეს;				შ	დირექტივის ცნებებიდან კანონის პროექტში არ იქნა გადმოტანილი alternative investment fund manager, რამდენადაც "საინვესტიციო ფონდების შესახებ" საქართველოს კანონი არ იცნობს ალტერნატიული საინვესტიციო ფონდის ცნებას.
2.6	„გადაზღვევის საწარმო“ ნიშნავს გადაზღვევის საწარმოს დირექტივის 2009/138/EC მე-13 მუხლის (4), (5) ან (6) პუნქტების მნიშვნელობით ან სპეციალური დანიშნულების გადაადგილების საშუალებას დირექტივის 2009/138/EC მე-13(26) მუხლის მნიშვნელობით;	N1	2.1 „ვ“	1. ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა: ვ) გადამზღვეველი კომპანია – იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს გადაზღვევის საქმიანობას–ოპერაციას, რომლის დროსაც გადაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე და თითოეული ასეთი ხელშეკრულების თავისებურების გათვალისწინებით ხდება სადაზღვევო რისკის და მასთან დაკავშირებული შესაძლო ზარალის მთლიანი ან ნაწილობრივი მიღება;	სშ	
2.7	„დარგობრივი წესები“ ნიშნავს კავშირის სამართლებრივ აქტებს, რომლებიც ეხება რეგულირებადი სუბიექტების პრუდენციულ ზედამხედველობას, კერძოდ, ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაციები (EU) No575/2013 და (EU) 2019/2033 და ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივები 2009/138/EC, 2013/36/EU, 2014/65/EU და (EU) 2019/2034.	N1	2.1 „რ“	1. ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა: რ) სექტორული ზედამხედველობის წესები - კანონმდებლობა, რომელიც დაკავშირებულია რეგულირებულ საწარმოთა სექტორულ ზედამხედველობასთან;	სშ	

2.8	<p>„ფინანსური სექტორი“ ნიშნავს დარგს, რომელიც შედგება შემდეგი ერთი ან მეტი სუბიექტისგან:</p> <p>(a) საკრედიტო დაწესებულება, საფინანსო ინსტიტუტი ან დამხმარე მომსახურების გამწვევი საწარმო დირექტივის 2006/48/EC მე-4 მუხლის (1), (5) ან (21) პუნქტების მნიშვნელობით (რომლებსაც ამიერიდან ერთად ეწოდებათ „საბანკო სექტორი“);</p> <p>(b) სადაზღვევო კომპანია, გადამზღვევი კომპანია ან სადაზღვევო ჰოლდინგური კომპანია დირექტივის 2009/138/EC მე-13 მუხლის (1), (2), (4) ან (5) პუნქტების ან 212(1)(f) მუხლის მნიშვნელობით (რომლებსაც ამიერიდან ერთად ეწოდებათ „სადაზღვევო სექტორი“);</p> <p>(c) საინვესტიციო კომპანია დირექტივის 2006/49/EC 3(1)(b) მუხლის მნიშვნელობით (რომელსაც ამიერიდან ერთად ეწოდება „საინვესტიციო მომსახურებების სექტორი“);</p>	N1	2.1 „ტ“	<p>1. ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:</p> <p>ტ) ფინანსური სექტორი - სექტორი, რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე შემდეგი სუბიექტისგან:</p> <p>ტ.ა) კომერციული ბანკი, ფინანსური ინსტიტუტი ან დამხმარე მომსახურებათა საწარმო („საბანკო სექტორი“). ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის ფინანსური ინსტიტუტი წარმოადგენს ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ისეთ იურიდიულ პირს, რომლის საქმიანობაა ფინანსური მომსახურების განხორციელება, გარდა კომერციული ბანკის, დამხმარე მომსახურებათა საწარმოსა და ამ პუნქტის „ტ.ბ.“ და „ტ.გ.“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი სხვა იურიდიული პირებისა;</p> <p>ტ.ბ) სადაზღვევო ორგანიზაცია, გადამზღვეველი კომპანია ან საწარმო, რომლის ძირითადი საქმიანობაა მზღვეველი/გადამზღვეველი კომპანიების შემენა/ფლობა („სადაზღვევო სექტორი“);</p> <p>ტ.გ) საბროკერო კომპანია („საბროკერო სექტორი“);</p>	სმ	
-----	--	----	---------	---	----	--

2.9	<p>„მშობელი საწარმო“ ნიშნავს მშობელ საწარმოს, რომელიც განმარტებულია კონსოლიდირებული ანგარიშების შესახებ საბჭოს 1983 წლის 13 ივნისის მეშვიდე დირექტივის 83/349/EEC პირველ მუხლში, ან ნებისმიერ საწარმოს, რომელიც უფლებამოსილი ორგანოების შეხედულებით, ეფექტიანად ახორციელებს დომინანტურ გავლენას სხვა საწარმოზე;</p>	N1	2.1 „ო“	<p>1. ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:</p> <p>ო) მშობელი საწარმო - საწარმო, რომელსაც საზედამბებლო ორგანოს შეფასებით ერთი ან რამდენიმე საწარმოს მიმართ ფაქტობრივად გააჩნია კონტროლი ან/და საწარმო, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ვალდებულია, შეადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები, თუ ეს საწარმო:</p> <p>ო.ა) მეორე საწარმოში პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ხმის უფლების მქონე აქციების/წილის/პაის 50 ან 50-ზე მეტ პროცენტს;</p> <p>ო.ბ) უფლებამოსილია დანიშნოს ან გაათავისუფლოს მმართველობითი ან სამეთვალყურეო ორგანოების წევრების უმრავლესობა მეორე საწარმოში და ამავდროულად ამ საწარმოს აქციონერი ან პარტნიორია;</p> <p>ო.გ) მეორე საწარმოს აქციონერი ან პარტნიორია და ამასთან დაკმაყოფილებულია ერთ-ერთ შემდეგი პირობა:</p> <p>ო.გ.ა) ამ საწარმოს მმართველობითი და სამეთვალყურეო ორგანოების წევრების უმრავლესობა, აღნიშნულ ორგანოებში იყვნენ წარმოდგენილნი წინა ფინანსური წლის და მიმდინარე ფინანსური წლის განმავლობაში და რომლებიც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების შედგენის თარიღისთვის დაინიშნენ მხოლოდ საწარმოს ხმის უფლებების გამოყენების შედეგად (ეს ქვეპუნქტი არ გავრცელდება იმ შემთხვევაში, თუ სხვა საწარმოს აქვს ამ ქვეპუნქტის „ო.ა“ ან „ო.ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული უფლებები საწარმოს მიმართ);</p> <p>ო.გ.ბ) იგი დამოუკიდებლად აკონტროლებს აქციონერების ან პარტნიორების ხმის უფლებათა უმრავლესობას სხვა აქციონერებთან ან პარტნიორებთან შეთანხმების საფუძველზე;</p>	სშ	
-----	---	----	---------	--	----	--

2.10	„შვილობილი საწარმო“ ნიშნავს შვილობილ საწარმოს, რომელიც განმარტებულია 83/349/EEC დირექტივის პირველ მუხლში ან ნებისმიერ საწარმოს, რომელზეც ნებისმიერი საწარმო, უფლებამოსილი ორგანოების შეხედულებით, ეფექტიანად ახორციელებს დომინანტურ გავლენას, და ასეთი შვილობილი საწარმოების ყველა შვილობილ საწარმოს;	N1	2.1 „ფ“	1. ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა: ფ) შვილობილი საწარმო - საწარმო, რომლის მიმართ მშობელ საწარმოს ფაქტობრივად გააჩნია კონტროლი და ასეთად მიჩნეულია საზედამხედველო ორგანოს მიერ ან როდესაც საწარმოებს შორის სახეზეა ამ პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ურთიერთობა ან ასეთი შვილობილი საწარმოების შვილობილი საწარმოები;	სშ	
2.11	„მონაწილეობა“ ნიშნავს მონაწილეობას გარკვეული სახის კომპანიების წლიური ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების შესახებ საბჭოს 1978 წლის 25 ივლისის მეოთხე 78/660/EEC დირექტივის მე-17 მუხლის პირველი წინადადების მნიშვნელობით, ან საწარმოს საარჩევნო ხმის უფლებების 20%-ის ან მეტის პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობას;	N1	2.1 „ნ“	1. ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა: ნ) მონაწილეობა: ნ.ა) უფლებები სხვა საწარმოს კაპიტალში, რომელიც შეიძლება დასტურდებოდეს შესაბამისი დოკუმენტით და რომელიც გულისხმობს სარგებლის მიღებას საწარმოს კაპიტალში ამ უფლებების ფლობის გამოყენებით/საწარმოს საქმიანობაში მონაწილეობის მიღების გზით; ნ.ბ) საწარმოს ხმის უფლების ან კაპიტალის 20%-ის ან მეტის პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობა;	სშ	
2.12	„ჯგუფი“ ნიშნავს საწარმოთა ჯგუფს, რომელიც შედგება მშობელი საწარმოს, მისი შვილობილი საწარმოებისა და იმ სუბიექტებისგან, რომლებშიც მშობელი საწარმო ან მისი შვილობილი კომპანიები ფლობენ წილს, ან ერთმანეთთან ურთიერთობით დაკავშირებულ საწარმოებს 83/349/EEC დირექტივის 12(1) მუხლის მნიშვნელობით, მათ შორის, მათ ნებისმიერ ქვეჯგუფს;	N1	2.1 „ქ“	1. ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა: ქ) ჯგუფი: ქ.ა) საწარმოთა ჯგუფი, რომელიც შედგება მშობელი საწარმოსგან, მისი შვილობილი საწარმოებისაგან და სხვა საწარმოებისაგან, რომელშიც მშობელი საწარმო ან მისი შვილობილი საწარმოები მონაწილეობენ; ქ.ბ) საწარმოები, რომლებიც ერთობლივად ადგენენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას ამ პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რადგან ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან: ქ.ბ.ა) ერთობლივი მართვით; ქ.ბ.ბ) ისეთი კავშირით, როდესაც საწარმოების მმართველობითი ან სამეთვალყურეო ორგანოების წევრთა ნახევარზე მეტი ერთი და იმავე პირებისგან შედგება ფინანსური წლის განმავლობაში	სშ	

				კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების თარიღამდე; ქ.გ) „ქ.ა“ და „ქ.ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული სუბიექტების ქვეჯგუფი;		
2.12a	„კონტროლი“ ნიშნავს ურთიერთობას მშობელ საწარმოსა და შვილობილ საწარმოს შორის, როგორც ეს განსაზღვრულია 83/349/EEC დირექტივის პირველ მუხლში, ან ანალოგიურ ურთიერთობას ფიზიკურ ან იურიდიულ პირსა და საწარმოს შორის;	N1	2.1 „ლ“	1. ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა: ლ) კონტროლი – ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (ფასს) განსაზღვრული კონტროლი;	სშ	
2.13	„მჭიდრო კავშირები“ ნიშნავს სიტუაციას, რომელშიც ორი ან მეტი ფიზიკური ან იურიდიული პირი დაკავშირებულია კონტროლით ან მონაწილეობით, ან სიტუაციას, რომელშიც ორი ან მეტი ფიზიკური ან იურიდიული პირი მუდმივად დაკავშირებულია ერთსა და იმავე პირთან საკონტროლო ურთიერთობით;	N1	2.1 „ე“	1. ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა: ე) მჭიდრო კავშირი - ისეთი კავშირი, როდესაც ორი ან მეტი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი ერთმანეთთან დაკავშირებულია კონტროლით ან მონაწილეობით ან როდესაც ორი ან მეტი ფიზიკური ან იურიდიული პირი მუდმივად დაკავშირებულია სხვა პირთან კონტროლით;	სშ	

2.14	<p>(14) „ფინანსური კონგლომერატი“ ნიშნავს ჯგუფს ან ქვეჯგუფს, რომელშიც რეგულირებული სუბიექტი იმყოფება ჯგუფის ან ქვეჯგუფის სათავეში ან რომელშიც ამ ჯგუფის თუ ქვეჯგუფის ერთ-ერთი შვილობილი კომპანია არის რეგულირებადი სუბიექტი, და რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:</p> <p>(a) იქ, სადაც რეგულირებადი სუბიექტი იმყოფება ჯგუფის ან ქვეჯგუფის სათავეში:</p> <p>(i) ეს სუბიექტი არის ფინანსურ სექტორში სუბიექტის მშობელი საწარმო, სუბიექტი, რომელიც ფლობს წილს ფინანსურ სექტორში სუბიექტში, ან სუბიექტი, რომელიც ფინანსურ სექტორში სუბიექტთან დაკავშირებულია ურთიერთობით 83/349/EEC დირექტივის 12(1) მუხლის მნიშვნელობით;</p> <p>(ii) ჯგუფის ან ქვეჯგუფის, სულ მცირე, ერთ-ერთი სუბიექტი არის სადაზღვევო სექტორში და სულ მცირე, ერთი სუბიექტი არის საბანკო ან საინვესტიციო მომსახურებების სექტორში; და</p> <p>(iii) სადაზღვევო სექტორში ჯგუფის ან ქვეჯგუფის სუბიექტებისა და საბანკო და საინვესტიციო მომსახურებების სექტორში სუბიექტების კონსოლიდირებული ან გაერთიანებული საქმიანობები მნიშვნელოვანია წინამდებარე დირექტივის მე-3 მუხლის (2) ან (3) პუნქტის მნიშვნელობით; ან</p> <p>(b) იქ, სადაც რეგულირებადი სუბიექტი არ იმყოფება ჯგუფის ან ქვეჯგუფის სათავეში:</p> <p>(i) ჯგუფის ან ქვეჯგუფის საქმიანობა ძირითადად მიმდინარეობს საფინანსო სექტორში წინამდებარე დირექტივის 3(1) მუხლის მნიშვნელობით;</p> <p>(ii) ჯგუფში ან ქვეჯგუფში არსებული სუბიექტებიდან, სულ მცირე, ერთი სუბიექტი არის სადაზღვევო სექტორში და სულ მცირე, ერთი სუბიექტი არის საბანკო ან საინვესტიციო მომსახურებების სექტორში; და</p> <p>(iii) სადაზღვევო სექტორში ჯგუფის ან ქვეჯგუფის</p>	N1	2.1 „ს“	<p>1. ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:</p> <p>ს) ფინანსური კონგლომერატი - ჯგუფი ან ქვეჯგუფი, რომელშიც:</p> <p>ს.ა) ჯგუფის/ქვეჯგუფის სათავეში რეგულირებული საწარმოა და ამასთან კმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობა:</p> <p>ს.ა.ა) აღნიშნული საწარმო არის მშობელი საწარმო ფინანსურ სექტორში შემავალი საწარმოსი ან იმ საწარმოსი, რომელიც ფინანსურ სექტორში შემავალ რომელიმე საწარმოსთან დაკავშირებულია ამ პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთობლივი მართვით ან ისეთი კავშირით, როდესაც აღნიშნული საწარმოების მმართველობითი ან სამეთვალყურეო ორგანოების წევრთა ნახევარზე მეტი ერთი და იგივე პირია ფინანსური წლის განმავლობაში კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების თარიღამდე;</p> <p>ს.ა.ბ) ჯგუფის/ქვეჯგუფის მინიმუმ ერთი საწარმო მაინც არის კომერციული ბანკი/საბროკერო სექტორში შემავალი საწარმო და მინიმუმ ერთი - სადაზღვევო სექტორში შემავალი საწარმო;</p> <p>ს.ა.გ) ჯგუფის/ქვეჯგუფის საწარმოების კონსოლიდირებული ან აგრეგირებული საქმიანობები, როგორც სადაზღვევო, ისე საბანკო ან საბროკერო სექტორებში შემავალი საწარმოების შემთხვევებში, მიჩნეულია მნიშვნელოვნად ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად;</p> <p>ს.ბ) ჯგუფის/ქვეჯგუფის სათავეში არარეგულირებული საწარმოა და ამასთან, კმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობა:</p> <p>ს.ბ.ა) ჯგუფის/ქვეჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფინანსურ სექტორში საქმიანობა, ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად;</p> <p>ს.ბ.ბ) ჯგუფის/ქვეჯგუფის მინიმუმ ერთი საწარმო მაინც არის კომერციული ბანკი/საბროკერო სექტორში</p>	სმ	
------	--	----	---------	--	----	--

	სუბიექტების და საბანკო და საინვესტიციო მომსახურებების სექტორში სუბიექტების კონსოლიდირებული ან გაერთიანებული საქმიანობები მნიშვნელოვანია წინამდებარე დირექტივის მე-3 მუხლის (2) ან (3) პუნქტის მნიშვნელობით;			შემავალი საწარმო და მინიმუმ ერთი - სადაზღვევო სექტორში შემავალი საწარმო; ს.ბ.გ) ჯგუფის/ქვეჯგუფის საწარმოების კონსოლიდირებული ან აგრეგირებული საქმიანობები, როგორც სადაზღვევო, ისე საბანკო ან საბროკერო სექტორში შემავალი საწარმოების შემთხვევებში, მიჩნეულია მნიშვნელოვნად ამ კანონის მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად;		
2.15	„შერეული ფინანსური ჰოლდინგური კომპანია“ ნიშნავს მშობელ საწარმოს, გარდა რეგულირებადი სუბიექტისა, რომელიც, თავის შვილობილ კომპანიებთან ერთად - სულ მცირე, მათგან ერთი არის რეგულირებადი სუბიექტი, რომლის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს ევროკავშირში და სხვა სუბიექტები წარმოადგენენ ფინანსურ კონგლომერატს;	N1	2.1 „ი“	1. ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა: ი) შერეული ფინანსური ჰოლდინგური საწარმო - მშობელი საწარმო, რომელიც არარეგულირებული საწარმოა და რომელიც შვილობილ საწარმოებთან (რომლიდანაც ერთი მათგანი მაინც არის რეგულირებული საწარმო და აქვს იურიდიული მისამართი საქართველოს ტერიტორიაზე) და სხვა საწარმოებთან ერთობლიობაში, ქმნის ფინანსურ კონგლომერატს. დამატებითი ზედამხედველობის მიზნებისათვის, აღნიშნული საწარმო მიეკუთვნება ჯგუფის უდიდეს ფინანსურ სექტორს;	სშ	

2.16	„უფლებამოსილი ორგანოები“ ნიშნავს იმ წევრი სახელმწიფოების ეროვნულ ორგანოებს, რომლებიც კანონმდებლობით ან რეგულაციით არიან უფლებამოსილნი, ზედამხედველობა გაუწიონ საკრედიტო დაწესებულებებს, სადაზღვევო კომპანიებს, გადაზღვევის კომპანიებს, საინვესტიციო კომპანიებს, აქტივების მმართველ კომპანიებს ან ალტერნატიული საინვესტიციო ფონდის მმართველებს, იქნება ეს ინდივიდუალურ თუ ჯგუფის დონეზე;	N1	2.1 „კ“	1. ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა: კ) საზედამხედველო ორგანო - ორგანო, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული აქვს კომერციული ბანკების, სადაზღვევო ორგანიზაციების, გადამზღვეველი კომპანიების, საბროკერო კომპანიების და აქტივების მმართველი კომპანიების ინდივიდუალურ ან ჯგუფის (კონსოლიდირებულ) დონეზე ზედამხედველობის უფლებამოსილება;	სშ	
2.17	„შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოები“ ნიშნავს: (ა) წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილი ორგანოებს, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ფინანსურ კონგლომერატში ნებისმიერი რეგულირებადი სუბიექტის, კერძოდ, სექტორის მთავარი მშობელი კომპანიის ჯგუფის დონეზე სექტორულ ზედამხედველობაზე; (ბ) მე-10 მუხლის შესაბამისად დანიშნულ კოორდინატორს, თუ ის განსხვავდება (ა) ქვეპუნქტში მითითებული ორგანოებისგან; (ც) საჭიროების შემთხვევაში, სხვა ის უფლებამოსილი ორგანოები, რომლებიც შესაბამისია ა და ბ პუნქტებში მითითებული ორგანოების მოსაზრებასთან დაკავშირებით;	N1	2.1 „უ“	1. ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა: უ) შესაბამისი საზედამხედველო ორგანო: უ.ა) საზედამხედველო ორგანო, რომელიც ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებადი საწარმოს სექტორულ ზედამხედველობას ახორციელებს ჯგუფის (კონსოლიდირებულ) დონეზე; უ.ბ) კოორდინატორი, რომელიც დანიშნულია ამ კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად; უ.გ) სხვა საზედამხედველო ორგანოები, რომლებიც ამ პუნქტის „უ.ა“ და „უ.ბ“ ქვეპუნქტების მიზნებისათვის მესამე სახელმწიფოში მიჩნეული იქნებიან შესაბამის საზედამხედველო ორგანოებად;	სშ	

2.18	<p>„ჯგუფის შიდა გარიგებები“ ნიშნავს ყველა გარიგებას, რომლებითაც ფინანსურ კონგლომერატში რეგულირებადი სუბიექტები პირდაპირ ან არაპირდაპირ დამოკიდებულნი არიან იმავე ჯგუფში არსებულ სხვა საწარმოებზე ან ამ ჯგუფში მჭიდრო კავშირებით საწარმოებთან დაკავშირებულ ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე ვალდებულების შესრულებაზე, იქნება ის კონტრაქტით გათვალისწინებული და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული თუ არა;</p>	N1	2.1 „დ“	<p>1. ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა: დ) შიდაჯგუფური ტრანზაქციები - ის ტრანზაქციები, რომელთა შედეგად ვალდებულების შესრულების მიზნით ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოები ხდებიან პირდაპირ ან არაპირდაპირ დამოკიდებულნი იმავე ჯგუფში შემავალ სხვა საწარმოზე ან რომელიმე ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე, რომელსაც მჭიდრო კავშირები აქვს ჯგუფში შემავალ რომელიმე საწარმოსთან. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები შესაძლოა, იყოს სახელშეკრულებო ან არასახელშეკრულებო, ასევე, სასყიდლიანი ან უსასყიდლო;</p>	სშ	
------	---	----	---------	--	----	--

2.19	<p>„რისკის კონცენტრაცია“ ნიშნავს დანაკარგის პოტენციალის მქონე რისკისადმი ყველა დაქვემდებარებულს, რაც საკმარისად დიდია იმისთვის, რომ საფრთხე შეუქმნას ფინანსურ კონგლომერატში რეგულირებადი სუბიექტების გადახდისუნარიანობას ან ფინანსურ მდგომარეობას, ზოგადად, იმის მიუხედავად, ეს დაქვემდებარებები გამოწვეულია კონტრაგენტული რისკით/საკრედიტო რისკით, საინვესტიციო რისკით, სადაზღვევო რისკით, საბაზრო რისკით, სხვა რისკებით თუ ამ რისკების კომბინაციით ან ურთიერთქმედებით.</p> <p>21a(1)(b) მუხლის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი მარეგულირებელი ტექნიკური სტანდარის ძალაში შესვლამდე, (17)(c) პუნქტში მითითებულ მოსაზრებაში, კერძოდ, უნდა გათვალისწინებულ იქნეს სხვა წევრ სახელმწიფოებში ფინანსური კონგლომერატის რეგულირებადი სუბიექტების საბაზრო წილი, კერძოდ, თუ ის აღემატება 5%-ს, და მნიშვნელობა სხვა წევრ სახელმწიფოში დაფუძნებული ნებისმიერი რეგულირებადი სუბიექტის ფინანსურ კონგლომერატში.</p>	N1	2.1 „ჟ“	<p>1. ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:</p> <p>ჟ) რისკის კონცენტრაცია - ყველა რისკის პოზიცია, რომელიც პოტენციური დანაკარგის მატარებელია და რომელმაც შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოების გადახდისუნარიანობას ან მათ ფინანსურ პოზიციას. აღნიშნულში მოიაზრება ყველა რისკის პოზიცია, მიუხედავად მათი გამომწვევი მიზეზებისა, მათ შორის, ერთობლივად ან ცალ-ცალკე კონტრაქტის, საკრედიტო, საინვესტიციო, სადაზღვევო, საბაზრო რისკისა;</p>	სშ	
3.1	<p>იმის განსაზღვრის მიზნით, ჯგუფის საქმიანობები ძირითადად ხორციელდება თუ არა ფინანსურ სექტორში, მუხლის 2(14)(b)(i) მნიშვნელობით, ჯგუფში რეგულირებადი და არარეგულირებადი ფინანსური სექტორის სუბიექტების საერთო ბალანსის თანაფარდობა ჯგუფის საერთო ბალანსთან მთლიანობაში უნდა აღემატებოდეს 40%-ს.</p>	N1	3.1	<p>ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ს.ბ.ა“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, ჯგუფის/ქვეჯგუფის ფინანსურ სექტორში საქმიანობა ძირითად საქმიანობად ითვლება, თუ ჯგუფის/ქვეჯგუფის ფინანსურ სექტორში შემავალი საწარმოების მთლიანი აქტივების ჯამი აჭარბებს ჯგუფის მთლიანი აქტივების 40%-ს.</p>	სშ	

3.2	<p>იმის განსაზღვრის მიზნებისთვის, სხვადასხვა საფინანსო სექტორებში საქმიანობები მნიშვნელოვანია თუ არა 2(14)(a)(iii) ან (14)(b)(iii) მუხლის მნიშვნელობით, თითოეული საფინანსო სექტორისთვის ამ საფინანსო სექტორის საერთო ბალანსის შეფარდება ჯგუფში საფინანსო სექტორის სუბიექტების საერთო ბალანსთან და იმავე საფინანსო სექტორის გადახდისუნარიანობის მიმართ მოთხოვნების შეფარდება ჯგუფში საფინანსო სექტორის სუბიექტების საერთო გადახდისუნარიანობის მიმართ მოთხოვნებთან უნდა აღემატებოდეს 10%-ს.</p> <p>წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის, ფინანსურ კონგლომერატში ყველაზე მცირე ფინანსური სექტორი არის უმცირესი საშუალო მნიშვნელობის მქონე სექტორი და ფინანსურ კონგლომერატში ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური სექტორი არის ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებლის მქონე სექტორი. საშუალო მაჩვენებლის გაანგარიშების და უმცირესი და ყველაზე მნიშვნელოვანი საფინანსო სექტორების გაზომვის მიზნებისთვის, საბანკო სექტორი და საინვესტიციო მომსახურებების სექტორი ერთად უნდა იქნეს განხილული.</p> <p>აქტივების მმართველი კომპანიები უნდა დაემატოს იმ სექტორს, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან ჯგუფის შიგნით. თუ ისინი არ განეკუთვნებიან ჯგუფის შიგნით მხოლოდ ერთ სექტორს, ისინი უნდა დაემატოს ყველაზე მცირე ფინანსურ სექტორს.</p> <p>ალტერნატიული საინვესტიციო ფონდის მმართველები უნდა დაემატოს იმ სექტორს, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან ჯგუფის შიგნით. თუ ისინი არ განეკუთვნებიან ჯგუფის შიგნით</p>	N1	3 (2 და 4)	<p>2. ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ს.ა.გ“ და „ს.ბ.გ“ ქვეპუნქტების მიზნებისათვის, ფინანსურ სექტორში შემავალი თითოეული სექტორის მიერ განხორციელებული კონსოლიდირებული ან აგრეგირებული საქმიანობა მნიშვნელოვნად მიიჩნევა, თუ სექტორის გასაშუალოებული მაჩვენებლებისთვის კმაყოფილება ყველა შემდეგი პირობა:</p> <p>ა) სადაზღვევო სექტორსა და საბანკო და საბროკერო სექტორებში შემავალი საწარმოების აქტივების ჯამი ჯგუფის მთლიან ფინანსურ სექტორებში შემავალი საწარმოების აქტივების ჯამის 10%-ს აჭარბებს;</p> <p>ბ) სადაზღვევო სექტორსა და საბანკო და საბროკერო სექტორებში შემავალი საწარმოების კაპიტალის ადეკვატურობის/გადახდისუნარიანობის მარჟის მოთხოვნა ჯგუფის ფინანსურ სექტორებში შემავალი საწარმოების კაპიტალის ადეკვატურობის/გადახდისუნარიანობის მარჟის მოთხოვნის 10%-ს აჭარბებს.</p> <p>4. ფინანსურ კონგლომერატში უმცირეს ფინანსურ სექტორად მიიჩნევა სექტორი, რომელსაც ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, უმცირესი გასაშუალოებული მაჩვენებლები აქვს, ხოლო უდიდესი ფინანსური სექტორი არის სექტორი უდიდესი გასაშუალოებული მაჩვენებლით ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. აღნიშნული მაჩვენებლების გამოთვლისათვის საბანკო და საბროკერო სექტორების მაჩვენებლები ერთობლივად უნდა იყოს გათვალისწინებული. ამასთან, აქტივების მმართველი კომპანიები, უნდა მიეკუთვნოს იმ სექტორს, რომელსაც ისინი ჯგუფის ფარგლებში ეკუთვნიან, ხოლო თუ აღნიშნული კომპანიები არ მიეკუთვნებიან არცერთ ფინანსურ სექტორს, ისინი უნდა მიეკუთვნონ ჯგუფის უმცირეს ფინანსურ სექტორს.</p>	ნშ	<p>კანონპროექტის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში არ ასახულა დირექტივის 3.2 პუნქტის ბოლო ნაწილი ალტერნატიული საინვესტიციო ფონდების მმართველების თაობაზე (იხ. ამ ცხრილის აღნიშნული დირექტივის 2.5a შენიშვნა), რამდენადაც ალტერნატიული საინვესტიციო ფონდების მმართველების ნაწილი კანონპროექტში არ არის დირექტივიდან გადმოტანილი.</p>
-----	--	----	------------	---	----	--

	მხოლოდ ერთ სექტორს, ისინი უნდა დაემატოს ყველაზე მცირე ფინანსურ სექტორს.					
3 (3-3a)	<p>დარგთაშორისი საქმიანობები აგრეთვე უნდა მიჩნეულ იქნეს მნიშვნელოვნად 2(14)(a)(iii) ან (14)(b)(iii) მუხლის მნიშვნელობით, თუ უმცირესი საფინანსო სექტორის საერთო ბალანსი აღემატება 6 მილიარდ ევროს.</p> <p>თუ ჯგუფი ვერ აღწევს ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ ზღვრულ მნიშვნელობას, შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს, საერთო შეთანხმებით, შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება ამ ჯგუფის ფინანსურ კონგლომერატად არ ჩათვლის შესახებ. მათ აგრეთვე უფლება აქვთ მიიღონ გადაწყვეტილება 7, 8 ან 9 მუხლის დებულებების არ გამოყენების შესახებ, თუ მათი აზრით, ჯგუფის შეყვანა წინამდებარე დირექტივის მოქმედების სფეროში ან ამ დებულებების გამოყენება არაა აუცილებელი ან შეუფერებელი ან შეცდომაში შემყვანი იქნებოდა დამატებითი ზედამხედველობის მიზნებთან მიმართებაში.</p> <p>ამ პუნქტის მიხედვით მიღებული გადაწყვეტილებები უნდა ეცნობოთ დანარჩენ უფლებამოსილ ორგანოებს და გამონაკლისი შემთხვევების გარდა, ისინი უფლებამოსილმა ორგანოებმა უნდა გაასაჯაროონ.</p>	N1	3 (3 და 5)	<p>3. ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ს.ა.გ“ და „ს.ბ.გ“ ქვეპუნქტების მიზნებისათვის, ფინანსურ სექტორში შემავალი საწარმოების საქმიანობა მნიშვნელოვნად მიიჩნევა იმ შემთხვევაშიც, თუ ჯგუფის უმცირესი ფინანსური სექტორის მთლიანი აქტივები გადააჭარბებს 6 მილიარდ ევროს ეკვივალენტს ლარში.</p> <p>5. თუ ჯგუფი არ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ზღვარს ან თუ ჯგუფი აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ზღვარს, მაგრამ უმცირესი ფინანსური სექტორის მთლიანი აქტივები არ აჭარბებს 6 მილიარდ ევროს ეკვივალენტს ლარში, შესაბამისი საზედამხედველო ორგანოების საერთო შეთანხმებით, შესაძლოა, ჯგუფი არ იქნეს მიჩნეული ფინანსურ კონგლომერატად ან/და მასზე არ გავრცელდეს ამ კანონის მე-7 და მე-8 მუხლების მოთხოვნები, თუ შესაბამისი საზედამხედველო ორგანოები ჩათვლიან, რომ აღნიშნული არ წარმოადგენს აუცილებლობას ან შეუსაბამო/შეცდომაში შემყვანია დამატებითი ზედამხედველობის მიზნებიდან ან/და რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის პრინციპებიდან</p>	სშ	

	<p>3a. თუ ჯგუფი აღწევს ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ ზღვრულ მნიშვნელობას, თუმცა, უმცირესი სექტორი არ აღემატება 6 მილიარდ ევროს, შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს, საერთო შეთანხმებით, შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება ამ ჯგუფის ფინანსურ კონგლომერატად არ ჩათვლის შესახებ. მათ აგრეთვე უფლება აქვთ მიიღონ გადაწყვეტილება 7, 8 ან 9 მუხლის დებულებების არ გამოყენების შესახებ, თუ მათი აზრით, ჯგუფის შეყვანა წინამდებარე დირექტივის მოქმედების სფეროში ან ამ დებულებების გამოყენება არაა აუცილებელი ან შეუფერებელი ან შეცდომაში შემყვანი იქნებოდა დამატებითი ზედამხედველობის მიზნებთან მიმართებაში.</p> <p>ამ პუნქტის მიხედვით მიღებული გადაწყვეტილებები უნდა ეცნობოთ დანარჩენ უფლებამოსილ ორგანოებს და გამონაკლისი შემთხვევების გარდა, ისინი უფლებამოსილმა ორგანოებმა უნდა გაასაჯაროონ.</p>			<p>გამომდინარე. კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევების გარდა, აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა გასაჯაროვდეს.</p>		
3.4	<p>1, 2 და 3 პუნქტების გამოყენების მიზნით, შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს უფლება აქვთ, საერთო შეთანხმებით:</p> <p>(a) გამორიცხონ სუბიექტი კოეფიციენტების გაანგარიშებისას, 6(5) მუხლში მითითებულ შემთხვევებში, თუ სუბიექტი არ გადავიდა წევრი სახელმწიფოდან მესამე ქვეყანაში და არსებობს იმის მტკიცებულება, რომ სუბიექტმა თავისი ადგილმდებარეობა რეგულაციის თავიდან ასაცილებლად შეიცვალა;</p> <p>(b) გაითვალისწინონ სამი თანამიმდევრული წლის განმავლობაში 1 და 2 პუნქტებით გათვალისწინებულ ზღვრულ მნიშვნელობებთან შესაბამისობა რეჟიმის მოულოდნელი ცვლილებების თავიდან ასაცილებლად, და არ</p>	NI	3 (6 და 7)	<p>6. შესაბამისი საზედამხედველო ორგანოები უფლებამოსილი არიან საერთო შეთანხმებით:</p> <p>ა) ამ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამორიცხონ რომელიმე საწარმო ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ზღვრებისა და მაჩვენებლების გამოთვლისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული საწარმო საქართველოდან მესამე სახელმწიფოშია გადატანილი და დასტურდება, რომ საწარმოს ადგილმდებარეობის შეცვლის მიზეზი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისგან თავის არიდება გახდა;</p> <p>ბ) დამატებითი საზედამხედველო რეჟიმის უეცარი ცვლილების უარყოფითი ეფექტის შესამსუბუქებლად, მომდევნო სამი წლის განმავლობაში, უგულებელყონ ჯგუფის ფინანსური</p>	სშ	

	<p>გათვალისწინონ ეს შესაბამისობა, თუ ჯგუფის სტრუქტურაში ხდება რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები;</p> <p>(c) გამორიცხონ ერთი ან მეტი წილი უფრო მცირე სექტორში, თუ ეს წილები არის გადაწყვეტი ფინანსური კონგლომერატის იდენტიფიცირებისთვის, და ისინი ერთად უმნიშვნელოდ არის საინტერესო დამატებითი ზედამხედველობის მიზნებთან მიმართებაში.</p> <p>იმ შემთხვევაში, როცა ფინანსური კონგლომერატის იდენტიფიცირება მოხდა 1, 2 და 3 პუნქტების შესაბამისად, ამ პუნქტის პირველ ქვეპუნქტში მითითებული გადაწყვეტილებები უნდა მიღებულ იქნეს ამ ფინანსური კონგლომერატის კოორდინატორის მიერ მიღებული წინადადების საფუძველზე.</p>		<p>კონგლომერატებისათვის დადგენილ ზღვრებთან შესაბამისობა ჯგუფის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებების გათვალისწინებით;</p> <p>გ) უდიდესი ფინანსური სექტორის გარდა, ნებისმიერი სხვა ფინანსური სექტორიდან გამორიცხონ ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე საწარმოს მონაწილეობა, თუ აღნიშნულ მონაწილეობას გადაწყვეტი მნიშვნელოვან აქვს ჯგუფის ფინანსურ კონგლომერატად ცნობისთვის, თუმცა, საზედამხედველო ორგანოების შეფასებით, დამატებითი ზედამხედველობის მიზნებისათვის, ერთობლივად არ არიან მნიშვნელოვანი.</p> <p>7. ჯგუფის/ქვეჯგუფის ფინანსურ კონგლომერატად ცნობის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება ფინანსური კონგლომერატის კოორდინატორის წერილობითი ინიციატივის საფუძველზე საზედამხედველო ორგანოებს შორის მიღწეული ერთობლივი შეთანხმებით.</p>		
3.5	<p>1-ლი და მე-2 პუნქტების მიზნებისათვის, შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს, გამონაკლის შემთხვევებში საერთო შეთანხმებით, შეუძლიათ საერთო ბალანსზე დამყარებული კრიტერიუმი ჩანაცვლონ შემდეგი ერთი ან მეტი პარამეტრით ან დაამატონ ეს შემდეგი ერთი ან მეტი პარამეტრი, თუ მათი შეხედულებით, ეს პარამეტრები განსაკუთრებულად შეესაბამებიან წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული დამატებითი ზედამხედველობის მიზანს: საშემოსავლო სტრუქტურას, ბალანსს მიღმა ოპერაციებს, მართვის ქვეშ არსებულ საერთო ქონებას.</p>	N1	<p>3.8</p> <p>8. გამონაკლის შემთხვევებში, ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების მიზნებისათვის, შესაბამისი საზედამხედველო ორგანოების მიერ საერთო შეთანხმების საფუძველზე, შესაძლებელია, მთლიანი აქტივების რომელიმე ან ერთდროულად რამდენიმე პარამეტრს დაემატოს ან ჩანაცვლებულ იქნას ისეთი კრიტერიუმით, როგორცაა:</p> <p>ა) შემოსავლის სტრუქტურა;</p> <p>ბ) არასაბალანსო საქმიანობა (ბალანსგარეშე აქტივები);</p> <p>გ) სამართავად გადაცემული მთლიანი აქტივები.</p>	სშ	
3.6	<p>1-ლი და მე-2 პუნქტების მიზნებისათვის, თუ დამატებით ზედამხედველობას უკვე დაქვემდებარებული კონგლომერატებისთვის ამ პუნქტებში მითითებული კოეფიციენტები ვარდება, შესაბამისად 40%-ზე და 10%-ზე ქვევით, უფრო დაბალი კოეფიციენტი - შესაბამისად, 35%</p>	N1	<p>3.9</p> <p>კოორდინატორის გადაწყვეტილებით, შესაბამის საზედამხედველო ორგანოებთან შეთანხმებით, ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული მაჩვენებლები - 40% და 10%, ასევე, უმცირეს ფინანსურ სექტორთან მიმართებით ამ მუხლის მე-3 პუნქტით დაწესებული ქვედა ზღვარი -</p>	სშ	

<p>და 8% გამოყენებულ უნდა იქნეს შემდგომი სამი წლისთვის რეჟიმის მოულოდნელი ცვლილებების თავიდან ასაცილებლად.</p> <p>ანალოგიურად, მე-3 პუნქტის გამოსაყენებლად, თუ ჯგუფში უმცირესი ფინანსური სექტორის საერთო ბალანსი ნაკლებია 6 მილიარდ ევროზე იმ კონგლომერატების შემთხვევაში, რომლებიც უკვე დაქვემდებარებული არიან დამატებით ზედამხედველობას, უფრო დაბალი რიცხვი - 5 მილიარდი ევრო უნდა გამოყენებულ იქნეს შემდგომი სამი წლისთვის რეჟიმის მოულოდნელი ცვლილებების თავიდან ასაცილებლად.</p> <p>წინამდებარე პუნქტში მითითებულ პერიოდში, კოორდინატორს დანარჩენ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან შეთანხმებით, უფლება აქვს გადაწყვიტოს ამ პუნქტში მითითებული უფრო დაბალი კოეფიციენტების ან უფრო დაბალი ოდენობის გამოყენების შეწყვეტის შესახებ.</p>		<p>6 მილიარდი ევროს ეკვივალენტი ლარში, შესაძლოა, საზედამხედველო რეჟიმის უეცარი ცვლილების უარყოფითი ეფექტის შესამსუბუქებლად, შეიცვალოს სამი წლის განმავლობაში, შესაბამისად, 35% და 8%-ით და 5 მილიარდი ევროს ეკვივალენტით ლარში, თუ ფინანსური კონგლომერატი უკვე ექვემდებარება დამატებით ზედამხედველობას. აღნიშნულ პერიოდში, კოორდინატორი უფლებამოსილია, შესაბამის საზედამხედველო ორგანოებთან შეთანხმებით, ნებისმიერ დროს შეცვალოს ან გააუქმოს ქვედა ზღვრების უფრო დაბალი ზღვრებით ჩანაცვლების შესახებ გადაწყვეტილება.</p>	
---	--	--	--

3.7	<p>წინამდებარე მუხლში მითითებული გაანგარიშებები ბალანსთან დაკავშირებით უნდა შესრულდეს ჯგუფის სუბიექტების გაერთიანებული საერთო ბალანსის საფუძველზე, მათი წლიური ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების შესაბამისად. ამ გაანგარიშების მიზნით, გათვალისწინებულ უნდა იქნენ ის საწარმოები, რომლებშიც ხდება წილის ფლობა, მათი იმ საერთო ბალანსის მოცულობასთან დაკავშირებით, რომელიც შეესაბამება ამ ჯგუფის მფლობელობაში არსებულ გაერთიანებულ პროპორციულ წილს. თუმცა, კონსოლიდირებული ანგარიშების ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, ისინი გამოყენებულ უნდა იქნენ გაერთიანებული ანგარიშების ნაცვლად.</p> <p>მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული გადახდისუნარიანობის მიმართ მოთხოვნები უნდა გაანგარიშდეს შესაბამისი დარგობრივი წესების დებულებების მიხედვით.</p>	N1	3.10	<p>ამ მუხლით გათვალისწინებული მთლიან აქტივებთან დაკავშირებული გამოთვლები უნდა განხორციელდეს ჯგუფში შემავალ საწარმოთა შესაბამისი მონაცემების აგრეგაციით მთლიანი აქტივების საფუძველზე მათი წლიური ანგარიშების მიხედვით. იმ საწარმოების მთლიანი აქტივების გამოთვლის მიზნებისათვის, რომლებშიც სხვა საწარმოებს აქვთ მონაწილეობა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მთლიანი აქტივების მოცულობები, მონაწილეობის წილის პროპორციულად. კონსოლიდირებული ანგარიშების ხელმისაწვდომობის შემთხვევაში გამოიყენება კონსოლიდირებული ანგარიშები. ამასთან, კაპიტალის/გადახდისუნარიანობის მოთხოვნები დათვლილი უნდა იყოს შესაბამისი სექტორული ზედამხედველობის წესების დაცვით.</p>	სშ	
3.8	<p>ევროპის საზედამხებველო ორგანომ (ევროპის საბანკო ზედამხებველობის სამსახურმა), დაფუძნებულმა ევროპარლამენტისა და საბჭოს (EU) N1093/2010 რეგულაციით, (EBA), ევროპის საზედამხებველო ორგანომ (ევროპის დაზღვევისა და პროფესიული საპენსიო ზედამხებველობის ორგანომ, დაფუძნებულმა ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაციით (EU) N1094/2010 (EIOPA) და ევროპის საზედამხებველო ორგანომ (ევროპის ფასიანი ქაღალდებისა და ბაზრების კომისიამ), დაფუძნებულმა ევროპარლამენტისა და საბჭოს რეგულაციით (EU) N1095/2010 (ESMA) (რომელიც ამიერიდან მოიხსენიება, როგორც „ESA“) (ერთობლივი კომიტეტი), ESA-ს ერთობლივი კომიტეტის (ერთობლივი კომიტეტის) მეშვეობით, უნდა გამოსცენ საერთო მეთოდური რეკომენდაციები, რომელთა მიზანია</p>				ას	<p>რელევანტურია მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის, ვინაიდან აღნიშნული ნაწილი ადგენს ევროკავშირის ინსტიტუტების ვალდებულებებს, შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობისთვის რელევანტური არ არის.</p>

	საზედამხედველო პრაქტიკების კონვერგენცია ამ მუხლის მე-2, მე-3, 3a, მე-4 და მე-5 პუნქტების გამოყენებასთან დაკავშირებით.					
3.9	უფლებამოსილმა ორგანოებმა წლიურ საფუძველზე ხელახლა უნდა შეაფასონ უარი დამატებითი ზედამხედველობის გამოყენებაზე და უნდა განიხილონ ამ მუხლში მოცემული რაოდენობრივი მაჩვენებლები და ფინანსურ ჯგუფებთან მიმართებაში გამოყენებული, რისკზე დამყარებული შეფასებები.	N1	3.11	შესაბამისი საზედამხედველო ორგანოების მიერ ყოველწლიურად ხელახლა უნდა შეფასდეს დამატებითი ზედამხედველობის გამოყენების საკითხი და ამ მუხლით გათვალისწინებული რაოდენობრივი მაჩვენებლები, ასევე უნდა განხორციელდეს ჯგუფებთან მიმართებაში გამოყენებული რისკზე დაფუძნებული შეფასებების გადახედვა.	სშ	

4.1	<p>იმ უფლებამოსილმა ორგანოებმა, რომლებსაც გააჩნიათ უფლებამოსილი რეგულირებადი სუბიექტები, მე-2, მე-3 და მე-5 მუხლების საფუძველზე უნდა განსაზღვრონ ის ნებისმიერი ჯგუფი, რომელიც განეკუთვნება წინამდებარე დირექტივის მოქმედების სფეროს.</p> <p>ამ მიზნით:</p> <ul style="list-style-type: none"> - იმ უფლებამოსილმა ორგანოებმა, რომლებსაც ჰყავთ უფლებამოსილი რეგულირებადი ორგანოები ჯგუფში, მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ; - თუ უფლებამოსილ ორგანოს ის მოსაზრება აქვს, რომ ამ უფლებამოსილი ორგანოს მიერ უფლებამოსილი რეგულირებადი სუბიექტი არის იმ ჯგუფის წევრი, რომელიც შეიძლება იყოს ფინანსური კონგლომერატი და რომლის იდენტიფიცირება უკვე არ მოხდა წინამდებარე დირექტივის შესაბამისად, უფლებამოსილმა ორგანომ თავისი შეხედულება უნდა გაუზიაროს დანარჩენ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს და ერთობლივ კომიტეტს. 	N1	4.1	<p>ჯგუფის ფინანსურ კონგლომერატად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას კოორდინატორის წერილობითი ინიციატივის საფუძველზე, ერთობლივად წყვეტენ ის საზედამხედველო ორგანოები, რომლებმაც განახორციელეს ჯგუფში შემავალი შესაბამისი რეგულირებული საწარმოებისთვის შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭება, რა მიზნითაც აღნიშნული ორგანოები ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობენ.</p>	სშ	
4.2	<p>მე-10 მუხლის შესაბამისად დანიშნულმა კოორდინატორმა ჯგუფის სათავეში მყოფ მშობელ საწარმოს ან ამ უკანასკნელის არარსებობის შემთხვევაში, ჯგუფში ყველაზე მნიშვნელოვან საფინანსო სექტორში უდიდესი საერთო ბალანსის მქონე რეგულირებად სუბიექტს უნდა აცნობოს, რომ მოხდა ჯგუფის ფინანსურ კონგლომერატად იდენტიფიცირება, და უნდა აცნობოს კოორდინატორის დანიშვნის შესახებ.</p> <p>კოორდინატორმა აგრეთვე ინფორმაცია უნდა მიაწოდოს იმ უფლებამოსილ ორგანოებს, რომლებსაც გააჩნიათ უფლებამოსილი</p>	N1	4.2	<p>კოორდინატორმა ჯგუფის ფინანსურ კონგლომერატად ცნობისა და კოორდინატორის დანიშვნის ფაქტის შესახებ ინფორმაცია თავის მიერ დადგენილი წესით უნდა მიაწოდოს ჯგუფის მშობელ საწარმოს, ხოლო თუ ჯგუფს არ ჰყავს მშობელი საწარმო - ჯგუფის უდიდესი ფინანსური სექტორის უდიდესი საბალანსო ღირებულების მქონე რეგულირებულ საწარმოს.</p>	სშ ას	<p>დირექტივის აღნიშნული ჩანაწერი რელევანტურია</p>

	რეგულირებადი სუბიექტები ჯგუფში, იმ წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოებს, რომლებშიც შერეულ ფინანსურ ჰოლდინგურ კომპანიას გააჩნია სათაო ოფისი და ერთობლივი კომიტეტი.					მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის
4.3	ერთობლივმა კომიტეტმა საკუთარ ვებ-გვერდზე უნდა გამოაქვეყნოს და პერიოდულად განაახლოს 2(14) მუხლის შესაბამისად განსაზღვრული ფინანსური კონგლომერატების ნუსხა. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ESA-ს თითოეულ ვებ-გვერდზე ჰიპერბმულით. 1-ელ მუხლში მითითებული თითოეული რეგულირებადი სუბიექტის სახელწოდება, რომელიც არის ფინანსური კონგლომერატის ნაწილი, შეტანილ უნდა იქნას ნუსხაში, რომელიც ერთობლივმა კომიტეტმა უნდა გამოაქვეყნოს და პერიოდულად განაახლოს საკუთარ ვებ-გვერდზე.				ას	განსაზღვრულია მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის, ვინაიდან საუბარია ევროკავშირის ინსტიტუტების კომპეტენციაზე, შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობისთვის რელევანტური არ არის.
5.1	დარგობრივ წესებში არსებულ ზედამხედველობასთან დაკავშირებული დებულებების დაურღვევლად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ პირველ მუხლში მითითებული რეგულირებადი სუბიექტების დამატებითი ზედამხედველობა, წინამდებარე დირექტივით განსაზღვრული მოცულობითა და ფორმით.	N1	1 (1 და 2)	1. ეს კანონი განსაზღვრავს ფინანსური კონგლომერატის ცნებასა და მისი ცნობის კრიტერიუმებს, ადგენს დამატებითი ზედამხედველობის სტანდარტებსა და წესებს იმ რეგულირებადი საწარმოებისთვის, რომლებიც ამ კანონის საფუძველზე ფინანსური კონგლომერატის შემადგენლობაში შედიან. 2. ამ კანონით გათვალისწინებული დამატებითი ზედამხედველობა ხორციელდება სექტორული ზედამხედველობის პარალელურად.	სშ	

5.2	<p>შემდეგი რეგულირებადი სუბიექტები ექვემდებარებიან დამატებით ზედამხედველობას ფინანსური კონგლომერატის დონეზე 6-17 მუხლების შესაბამისად:</p> <p>(ა) ყოველი რეგულირებადი სუბიექტი, რომელიც იმყოფება ფინანსური კონგლომერატის სათავეში;</p> <p>(ბ) ყოველი რეგულირებადი სუბიექტი, რომლის მშობელი საწარმო არის ის შერეული ფინანსური ჰოლდინგური კომპანია, რომლის სათაო ოფისიც მდებარეობს ევროკავშირში;</p> <p>(ც) ყოველი რეგულირებადი სუბიექტი, რომელიც ფინანსური სექტორის სხვა სუბიექტთან დაკავშირებულია ურთიერთობით 83/349/EEC დირექტივის 12(1) მუხლის მნიშვნელობით.</p> <p>იმ შემთხვევაში, როცა ფინანსური კონგლომერატი არის იმ სხვა ფინანსური კონგლომერატის ქვეჯგუფი, რომელიც აკმაყოფილებს პირველი ქვეპუნქტის მოთხოვნებს, წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ გამოიყენონ 6-17 მუხლები მხოლოდ ამ უკანასკნელ ჯგუფში არსებული რეგულირებადი სუბიექტების მიმართ, და შემდეგ, დირექტივაში მოცემული ნებისმიერი მითითება პირობების ჯგუფზე და ფინანსურ კონგლომერატზე გაგებული იქნება, როგორც მითითება ამ უკანასკნელ ჯგუფზე.</p>	N1	5 (1 და 3)	<p>1. სექტორული ზედამხედველობის წესებისგან დამოუკიდებლად, დამატებით ზედამხედველობას ფინანსურ კონგლომერატში შემავალი შემდეგი რეგულირებული საწარმოები ექვემდებარებიან:</p> <p>ა) რეგულირებული საწარმო, რომელიც ფინანსური კონგლომერატის სათავეშია;</p> <p>ბ) რეგულირებული საწარმო, რომლის მშობელი საწარმო შერეული ფინანსური ჰოლდინგური საწარმოა, რომელსაც სათავე ოფისი საქართველოს ტერიტორიაზე აქვს;</p> <p>გ) რეგულირებული საწარმო, რომელიც სხვა ფინანსური სექტორის მონაწილესთან დაკავშირებულია:</p> <p>გ.ა) ერთობლივი მართვით;</p> <p>გ.ბ) ისეთი კავშირით, როდესაც საწარმოების მმართველობითი ორგანოების წევრთა ნახევარზე მეტი ერთი და იგივე პირია ფინანსური წლის განმავლობაში კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების თარიღამდე.</p> <p>3. თუ ფინანსური კონგლომერატი სხვა ფინანსური კონგლომერატის (ძირითადი ფინანსური კონგლომერატი) ქვეჯგუფია, რომელიც აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, დამატებითი საზედამხედველო მოთხოვნები გავრცელდება მხოლოდ ძირითად ფინანსურ კონგლომერატზე.</p>	ნშ	<p>დირექტივის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც დამატებითი ზედამხედველობის მოქმედების სფეროში შედის ყოველი რეგულირებადი სუბიექტი, რომლის მშობელი საწარმო არის ის შერეული ფინანსური ჰოლდინგური კომპანია, რომლის სათაო ოფისიც მდებარეობს ევროკავშირში, კანონის პროექტში აისახა, როგორც „რეგულირებული საწარმო, რომლის მშობელი საწარმო შერეული ფინანსური ჰოლდინგური საწარმოა, რომელსაც სათავე ოფისი საქართველოს ტერიტორიაზე აქვს“. მსგავსად ევროკავშირისა, რომელმაც ერთგვარ ნიშნულად აიღო ის, აქვს თუ არა შერეულ ფინანსურ ჰოლდინგურ საწარმოს სათავე ოფისი ევროკავშირის ტერიტორიაზე, იმავე პრინციპით, ქვეყნის კონტექსტისა და იურიდიული აღსრულებადობის გათვალისწინებით, კანონის პროექტში აღებულ იქნა მიდგომა, აქვს თუ არა ასეთ საწარმოს სათავე ოფისი საქართველოს ტერიტორიაზე და შესაბამისად, მოქმედების სფეროში შეყვანილ იქნენ მხოლოდ ის შერეული ფინანსური ჰოლდინგური საწარმოები, რომლებსაც</p>
-----	---	----	------------	--	----	---

						სათავო ოფისი საქართველოს ტერიტორიაზე აქვთ.
5.3	ყოველი რეგულირებადი სუბიექტი, რომელიც არ ექვემდებარება დამატებით ზედამხედველობას მე-2 პუნქტის შესაბამისად, რომლის მშობელი საწარმო არის რეგულირებადი სუბიექტი ან შერეული ფინანსური ჰოლდინგური კომპანია, რომლის სათაო ოფისი მდებარეობს მესამე ქვეყანაში, ექვემდებარება დამატებით ზედამხედველობას ფინანსური კონგლომერატის დონეზე, მე-18 მუხლით განსაზღვრული მოცულობითა და ფორმით.	N1	5.4	ყოველი რეგულირებული საწარმო, რომელზეც არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტი, შესაძლოა, დაექვემდებაროს დამატებით ზედამხედველობას ამ კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, თუ ამ რეგულირებული საწარმოს მშობელი საწარმო არის ისეთი რეგულირებული საწარმო ან შერეული ფინანსური ჰოლდინგური საწარმო, რომელსაც სათავო ოფისი მესამე სახელმწიფოში აქვს.	სშ	
5.4	იმ შემთხვევაში, როცა პირებს გააჩნიათ წილები ან კაპიტალთან დაკავშირებული ვალდებულებები ერთ ან მეტ რეგულირებად სუბიექტში ან ახორციელებენ მნიშვნელოვან გავლენას ამ სუბიექტებზე წილის ან კაპიტალთან დაკავშირებული ვალდებულებების გარეშე, გარდა მე-2 და მე-3 პუნქტებში მითითებული შემთხვევებისა, შესაბამისმა უფლებამოსილმა ორგანოებმა, საერთო შეთანხმებითა და ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, უნდა განსაზღვრონ, რეგულირებადი სუბიექტების დამატებითი ზედამხედველობა უნდა განხორციელდეს თუ არა, და რა მასშტაბით, თითქოს ისინი შეადგენენ ფინანსურ კონგლომერატს.	N1	5.5	5. როდესაც პირები მონაწილეობენ ან აქვთ წილის ფლობიდან გამომდინარე კავშირი ერთ ან მეტ რეგულირებულ საწარმოში ან აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა ასეთ საწარმოებზე მონაწილეობის ან წილის ფლობიდან გამომდინარე კავშირების გარეშე (გარდა ამ მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა), შესაბამისი საზედამხედველო ორგანოები, საერთო შეთანხმებით იღებენ გადაწყვეტილებას, აღნიშნულ საწარმოებზე დამატებითი ზედამხედველობის განხორციელების საკითხისა და მისი გავრცელების სფეროს თაობაზე. ამ პუნქტით განსაზღვრული ერთი რეგულირებული საწარმო მაინც უნდა აკმაყოფილებდეს ერთ-ერთ შემდეგ პირობას:	ნშ	ჩანაწერი "cooperative groups" თაობაზე არ იქნა ასახული კანონპროექტში, რამდენადაც საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა მსგავს კოოპერატიული ჯგუფების ცნებას არ იცნობს. შესაბამისად, აღნიშნულის გადმოტანა კანონპროექტში ქვეყნის/სექტორის კონტექსტის გათვალისწინებით არ არის რელევანტური.

	<p>ამ დამატებითი ზედამხედველობის გამოსაყენებლად, სულ მცირე, ერთ-ერთი სუბიექტი უნდა იყოს პირველ მუხლში მითითებული რეგულირებადი სუბიექტი, და უნდა შესრულდეს 2(14)(a)(ii) ან (14)(b)(ii) და 2(14)(a)(iii) ან (14)(b)(iii) მუხლში მოცემული პირობები. შესაბამისმა უფლებამოსილმა ორგანოებმა თავიანთი გადაწყვეტილება უნდა მიიღონ წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული დამატებითი ზედამხედველობის მიზნების გათვალისწინებით.</p> <p>პირველი ქვეპუნქტის „თანამშრომლობითი ჯგუფების“ მიმართ გამოყენების მიზნებისთვის, უფლებამოსილმა ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ სხვა ფინანსურ ორგანოებთან დაკავშირებით ამ ჯგუფების სახელმწიფო საფინანსო ვალდებულება.</p>			<p>ა) ჯგუფში/ქვეჯგუფში შემავალი საწარმოებიდან ერთი მაინც უნდა იყოს საწარმო სადაზღვევო სექტორიდან და ერთი - საბანკო ან საბროკერო სექტორიდან;</p> <p>ბ) საწარმოების კონსოლიდირებული საქმიანობა, როგორც სადაზღვევო, ისე საბანკო ან საბროკერო სექტორში შემავალი საწარმოების შემთხვევებში, მიჩნეული უნდა იყოს მნიშვნელოვნად, ამ კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.</p>		
5.5	<p>მე-13 მუხლის დაურღვევლად, დამატებითი ზედამხედველობის განხორციელება ფინანსური კონგლომერატის დონეზე არანაირად არ ნიშნავს იმას, რომ უფლებამოსილ ორგანოებს მოეთხოვებათ ზედამხედველობითი როლის შესრულება შერეულ ფინანსურ ჰოლდინგურ კომპანიებთან, ფინანსურ კონგლომერატში მესამე ქვეყნის რეგულირებადი სუბიექტებთან ან ფინანსურ კონგლომერატში არარეგულირებად სუბიექტებთან მიმართებაში, დამოუკიდებელ საფუძველზე.</p>	N1	5.6	<p>ფინანსური კონგლომერატის დამატებითი ზედამხედველობა არ გულისხმობს შერეულ ფინანსურ ჰოლდინგურ საწარმოებთან, ფინანსურ კონგლომერატში შემავალ მესამე სახელმწიფოს რეგულირების ქვეშ არსებულ საწარმოებთან ან არარეგულირებულ საწარმოებთან მიმართებით ზედამხედველობის ინდივიდუალურ დონეზე განხორციელებას.</p>	სშ	

6.1	<p>დარგობრივი წესების დაურღვევლად, ფინანსურ კონგლომერატში რეგულირებადი სუბიექტების კაპიტალის ადეკვატურობის დამატებითი ზედამხედველობა უნდა განხორციელდეს ამ თავის მე-3 ნაწილის მუხლში 9(2-5) და I დანართში მოცემული წესების მიხედვით.</p>	N1	6.1	<p>სექტორული ზედამხედველობის წესებისგან დამოუკიდებლად, ფინანსურ კონგლომერატში შემავალ რეგულირებულ საწარმოთა კაპიტალის ადეკვატურობის/გადახდისუნარიანობის მარჟის კუთხით დამატებითი ზედამხედველობა ხორციელდება ამ კანონის მე-8 მუხლის მე-2 - მე-7 პუნქტების შესაბამისად.</p>	ნშ	<p>კანონპროექტი არ მოიცავს ამ დირექტივის I და II დანართებს, რომლებიც კიდევ უფრო აკონკრეტებენ რიგ საკითხებს, თუმცა, აღნიშნული საკითხები დამატებითი შესწავლისა და ანალიზის საგანია, რისი პროცესიც უკვე დაწყებულია. იქიდან გამომდინარე, რომ დირექტივით/კანონპროექტით დადგენილი კრიტერიუმებისა და საზღვრების გათვალისწინებით, დამატებითი ზედამხედველობის საკითხი ამ ეტაპზე დღის წესრიგში არ დგას, კანონპროექტში განსაზღვრულ იქნა საზედამხედველო ორგანოთა დისკრეცია, აღნიშნული დანართებით განსაზღვრულ სტანდარტებთან და მოთხოვნებთან დაკავშირებით, საჭიროებისამებრ, გამოსცენ შესაბამისი სამართლებრივი აქტ(ებ)ი. აღნიშნული დისკრეცია, რასაკვირველია, გულისხმობს იმას, რომ საზედამხედველო ორგანოები ერთობლივი ანალიზისა და შეთანხმების საფუძველზე გამოიყენებენ აღნიშნულ დათქმას.</p>
		N1	1.3	<p>ამ კანონის საფუძველზე საზედამხედველო ორგანოები უფლებამოსილნი არიან, მიიღონ ერთობლივი გადაწყვეტილებები დამატებითი ზედამხედველობის განხორციელებისას, მათ შორის, გამოსცენ ერთობლივი სამართლებრივი აქტები.</p>		

<p>6.2</p>	<p>წევრმა სახელმწიფოებმა ფინანსურ კონგლომერატში რეგულირებად სუბიექტებისგან უნდა მოითხოვონ იმის უზრუნველყოფა, რომ მათი საკუთარი სახსრები ხელმისაწვდომი იყოს ფინანსური კონგლომერატის დონეზე და ისინი ყოველთვის, სულ მცირე, უტოლდებოდეს I დანართის შესაბამისად გაანგარიშებული კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს.</p> <p>წევრმა სახელმწიფოებმა აგრეთვე უნდა მოითხოვონ რეგულირებადი სუბიექტებისგან, რომ მათ ფინანსური კონგლომერატის დონეზე განახორციელონ კაპიტალის ადეკვატურობის სათანადო პოლიტიკა.</p> <p>პირველ და მე-2 ქვეპუნქტებში მითითებული მოთხოვნები უნდა დაექვემდებაროს კოორდინატორის მიერ ზედამხედველობით მიმოხილვას მე-3 ნაწილის შესაბამისად.</p> <p>კოორდინატორმა უნდა უზრუნველყოს, რომ პირველ ქვეპუნქტში მითითებული გაანგარიშება შესრულდეს, როგორც მინიმუმ, წელიწადში ერთხელ, რეგულირებადი სუბიექტების ან შერეული ფინანსური ჰოლდინგური კომპანიის მიერ.</p> <p>გაანგარიშების შედეგები და გაანგარიშებისთვის შესაბამისი მონაცემები უნდა გადაეგზავნოს კოორდინატორს იმ რეგულირებადი სუბიექტის მიერ პირველი მუხლის მნიშვნელობით, რომელიც იმყოფება ფინანსური კონგლომერატის სათავეში ან იმ შემთხვევაში, როცა ფინანსურ კონგლომერატს არ ხელმძღვანელობს რეგულირებადი სუბიექტი პირველი მუხლის მნიშვნელობით, შერეული ფინანსური ჰოლდინგური კომპანიის ან ფინანსურ კონგლომერატში რეგულირებადი სუბიექტის</p>	<p>N1</p>	<p>6 (2-4)</p>	<p>2. კაპიტალის ადეკვატურობის/ გადახდისუნარიანობის მარჟის დამატებითი მოთხოვნების მიზნებისათვის, შესაძლოა, გამოყენებულ იქნას კაპიტალის ადეკვატურობის/გადახდისუნარიანობის მარჟის დამატებითი მოთხოვნების გამოთვლის ერთ-ერთი შემდეგი მეთოდი:</p> <p>ა) ბუღალტრული კონსოლიდაციის მეთოდი, როდესაც ჯგუფში შემავალ საწარმოთა კაპიტალი და ჯგუფის საწარმოთა კაპიტალის მოთხოვნები გამოთვლილი უნდა იქნეს შესაბამისი სექტორული ზედამხედველობის წესების მიხედვით (შესაბამისი კონსოლიდირების მიდგომით);</p> <p>ბ) ჩამოწერისა და აგრეგაციის მეთოდი, როდესაც მხედველობაში მიიღება გამოშვებული კაპიტალის პროპორცია/თანაფარდობა, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს მშობელი საწარმო ან საწარმო, რომელიც მონაწილეობს ჯგუფის სხვა საწარმოში;</p> <p>გ) კომბინაციის მეთოდი, რომელიც გულისხმობს ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მეთოდების კომბინირებულ გამოყენებას.</p> <p>3. გამოთვლის მეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს კოორდინატორი საზედამხედველო ორგანოებთან კონსულტაციის საფუძველზე. გამოთვლის მეთოდებთან დაკავშირებით, საზედამხედველო ორგანოები, საჭიროებისამებრ, უფლებამოსილი არიან გამოსცენ შესაბამისი სამართლებრივი აქტები. ფინანსურ კონგლომერატში შემავალმა რეგულირებულმა საწარმოებმა უნდა უზრუნველყონ კაპიტალის ადეკვატურობის/გადახდისუნარიანობის მარჟის განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა ფინანსური კონგლომერატის დონეზე. ამასთან, რეგულირებულ საწარმოებს უნდა გააჩნდეს კაპიტალის ადეკვატურობის ეფექტური პოლიტიკა ფინანსური კონგლომერატის დონეზე.</p>	<p>ნშ</p>	<p>ამ დირექტივის I დანართით გათვალისწინებული საკითხები ასახული იქნება საზედამხედველო ორგანოების მიერ გამოცემულ ერთობლივ სამართლებრივ აქტში.</p>
------------	--	-----------	----------------	---	-----------	---

<p>მიერ, რომელსაც განსაზღვრავს კოორდინატორი დანარჩენ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან და ფინანსურ კონგლომერატთან კონსულტაციის გავლის შემდეგ.</p>			<p>4. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობას აფასებს კოორდინატორი, რომელმაც შეფასების შედეგების საფუძველზე, შესაძლოა, კანონმდებლობით განსაზღვრული რიგი საზედამხედველო ზომები მიიღოს. კოორდინატორმა უნდა უზრუნველყოს, რომ ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კაპიტალის გამოთვლა, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ განხორციელდეს რეგულირებული საწარმოს ან შერეული ფინანსური ჰოლდინგური საწარმოს მიერ. გამოთვლის შედეგები და აღნიშნულისათვის საჭირო შესაბამისი მონაცემები ეგზავნება კოორდინატორს. აღნიშნული ინფორმაციის გაგზავნაზე პასუხისმგებელია ფინანსური კონგლომერატის სათავეში არსებული რეგულირებული საწარმო ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში - შერეული ფინანსური ჰოლდინგური საწარმო ან ფინანსური კონგლომერატის ის რეგულირებული საწარმო, რომელიც კოორდინატორის მიერ სხვა შესაბამის საზედამხედველო ორგანოებთან და ფინანსურ კონგლომერატთან კონსულტაციის საფუძველზე იქნება განსაზღვრული.</p>	
	N1	1.3	<p>ამ კანონის საფუძველზე საზედამხედველო ორგანოები უფლებამოსილნი არიან, მიიღონ ერთობლივი გადაწყვეტილებები დამატებითი ზედამხედველობის განხორციელებისას, მათ შორის, გამოსცენ ერთობლივი სამართლებრივი აქტები.</p>	
	N1	19	<p>საზედამხედველო ორგანომ 2024 წლის 1 ივნისამდე უზრუნველყოს ამ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების გამოცემა.</p>	

6.3	<p>2(1) პუნქტში მითითებული კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების დაანგარიშების მიზნებისთვის, შემდეგი სუბიექტები შეყვანილ უნდა იქნენ დამატებითი ზედამხედველობის მოქმედების სფეროში, I დანართის შესაბამისად:</p> <p>(a) საკრედიტო დაწესებულება, საფინანსო ინსტიტუტი ან დამხმარე მომსახურებების გამწევი საწარმო;</p> <p>(b) სადაზღვევო კომპანია, გადამზღვევი საწარმო ან სადაზღვევო ჰოლდინგური კომპანია;</p> <p>(c) საინვესტიციო კომპანია;</p> <p>(d) შერეული ფინანსური ჰოლდინგური კომპანია.</p>	N1	6.5	<p>ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კაპიტალის ადეკვატურობის/გადახდისუნარიანობის მარჯის მოთხოვნათა გამოთვლის მიზნებისათვის, დამატებითი ზედამხედველობის სფეროში გათვალისწინებული უნდა იყოს ამ კანონით გათვალისწინებული ფინანსურ სექტორში შემავალი ყველა საწარმო, გარდა ამავე მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი გამონაკლისებისა.</p>	სშ	
6.4	<p>ფინანსურ კონგლომერატთან მიმართებაში დამატებითი კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების გაანგარიშებისას მეთოდი 1-ის (საადრიცხვო კონსოლიდაცია), რომელიც მითითებულია წინამდებარე დირექტივის პირველ დანართში, ჯგუფში არსებული სუბიექტების საკუთარი სახსრები და გადახდისუნარიანობის მიმართ მოთხოვნები უნდა გაანგარიშდეს კონსოლიდაციის ფორმისა და მასშტაბის შესაბამისი დარგობრივი წესების გამოყენებით, რაც, კერძოდ, მოცემულია 2006/48/EC დირექტივის 133 და 134 მუხლებში და 2009/138/EC დირექტივის 221-ემუხლში.</p> <p>I დანართში მითითებული მეთოდი 2-ის (დედუქცია და გაერთიანება) გამოყენებისას, გაანგარიშებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს გამოწერით გამოშვებული სააქციო კაპიტალის ის წილი, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს მშობელი საწარმო ან საწარმო, რომელიც ფლობს წილს ჯგუფის სხვა სუბიექტში.</p>	N1	6 (2 და 3)	<p>2. კაპიტალის ადეკვატურობის/ გადახდისუნარიანობის მარჯის დამატებითი მოთხოვნების მიზნებისათვის, შესაძლოა, გამოყენებულ იქნას კაპიტალის ადეკვატურობის/ გადახდისუნარიანობის მარჯის დამატებითი მოთხოვნების გამოთვლის ერთ-ერთი შემდეგი მეთოდი:</p> <p>ა) ბუღალტრული კონსოლიდაციის მეთოდი, როდესაც ჯგუფში შემავალ საწარმოთა კაპიტალი და ჯგუფის საწარმოთა კაპიტალის მოთხოვნები გამოთვლილი უნდა იქნეს შესაბამისი სექტორული ზედამხედველობის წესების მიხედვით (შესაბამისი კონსოლიდირების მიდგომით);</p> <p>ბ) ჩამოწერისა და აგრეგაციის მეთოდი, როდესაც მხედველობაში მიიღება გამოშვებული კაპიტალის პროპორცია/თანაფარდობა, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს მშობელი საწარმო ან საწარმო, რომელიც მონაწილეობს ჯგუფის სხვა საწარმოში;</p> <p>გ) კომბინაციის მეთოდი, რომელიც გულისხმობს ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მეთოდების კომბინირებულ გამოყენებას.</p>	სშ	<p>კანონპროექტი არ მოიცავს დირექტივის I და II დანართებს, რომლებიც კიდევ უფრო აკონკრეტებენ რიგ საკითხებს, თუმცა, აღნიშნული საკითხები დამატებითი შესწავლისა და ანალიზის საგანია, რისი პროცესიც უკვე დაწყებულია. იქიდან გამომდინარე, რომ დირექტივით/კანონპროექტით დადგენილი კრიტერიუმებისა და საზღვრების გათვალისწინებით, დამატებითი ზედამხედველობის საკითხი ამ ეტაპზე დღის წესრიგში არ დგას, კანონპროექტში განსაზღვრულ იქნა საზედამხედველო ორგანოთა დისკრეცია, აღნიშნული დანართებით განსაზღვრულ სტანდარტებთან და</p>

				<p>3. გამოთვლის მეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს კოორდინატორი საზედამხედველო ორგანოებთან კონსულტაციის საფუძველზე. გამოთვლის მეთოდებთან დაკავშირებით, საზედამხედველო ორგანოები, საჭიროებისამებრ, უფლებამოსილი არიან გამოსცენ შესაბამისი სამართლებრივი აქტები. ფინანსურ კონგლომერატში შემავალმა რეგულირებულმა საწარმოებმა უნდა უზრუნველყონ კაპიტალის ადეკვატურობის/გადახდისუნარიანობის მარჟის განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა ფინანსური კონგლომერატის დონეზე. ამასთან, რეგულირებულ საწარმოებს უნდა გააჩნდეს კაპიტალის ადეკვატურობის ეფექტური პოლიტიკა ფინანსური კონგლომერატის დონეზე.</p>	<p>მოთხოვნებთან დაკავშირებით, საჭიროებისამებრ, გამოსცენ შესაბამისი სამართლებრივი აქტ(ებ)ი. აღნიშნული დისკრეცია, რასაკვირველია, გულისხმობს იმას, რომ საზედამხედველო ორგანოები ერთობლივი ანალიზისა და შეთანხმების საფუძველზე გამოიყენებენ აღნიშნულ დათქმას.</p>
		N1	1.3	<p>ამ კანონის საფუძველზე საზედამხედველო ორგანოები უფლებამოსილი არიან, მიიღონ ერთობლივი გადაწყვეტილებები დამატებითი ზედამხედველობის განხორციელებისას, მათ შორის, გამოსცენ ერთობლივი სამართლებრივი აქტები.</p>	

<p>6.5</p>	<p>კოორდინატორს შეუძლია, დამატებითი კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების გაანგარიშებისას, კონკრეტული სუბიექტი არ შეიყვანოს მოქმედების სფეროში შემდეგ შემთხვევებში:</p> <p>(a) თუ სუბიექტი მდებარეობს მესამე ქვეყანაში, სადაც საჭირო ინფორმაციის გადაცემის პროცესში არსებობს სამართლებრივი დაბრკოლებები, ავტორიზაციაზე უარის თქმასთან დაკავშირებით უფლებამოსილი ორგანოების ვალდებულებასთან დაკავშირებული დარგობრივი წესების შეუზღუდავად იმ შემთხვევაში, როცა მათი საზედამხედველო ფუნქციების ეფექტიან განხორციელებას ხელი ეშლება;</p> <p>(b) თუ სუბიექტი უმნიშვნელო ინტერესის მქონეა ფინანსურ კონგლომერატში არსებული რეგულირებადი სუბიექტების დამატებითი ზედამხედველობის მიზნებთან მიმართებაში;</p> <p>(c) თუ სუბიექტის ჩართვა იქნებოდა შეუსაბამო ან შეცდომაში შემყვანი დამატებითი ზედამხედველობის მიზნებთან მიმართებაში.</p> <p>თუმცა, თუ რამდენიმე სუბიექტი უნდა გამოირიცხოს პირველი ქვეპუნქტის (b) პუნქტის მიხედვით, ამის მიუხედავად, ისინი ჩართული უნდა იქნენ იმ შემთხვევაში, როცა ერთობლივად ისინი არ არიან უმნიშვნელო ინტერესის მქონე.</p> <p>პირველი ქვეპუნქტის (c) პუნქტში ნახსენებ შემთხვევაში, კოორდინატორმა, გადაუდებელი შემთხვევის გამოკლებით, გადაწყვეტილების მიღებამდე კონსულტაცია უნდა გაიაროს დანარჩენ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან.</p> <p>როცა კოორდინატორს რეგულირებადი სუბიექტი</p>	<p>N1</p>	<p>6 (6 და 7)</p>	<p>6. კოორდინატორი უფლებამოსილია, ფინანსურ კონგლომერატში შემავალი ზოგიერთი საწარმო არ გაითვალისწინოს კაპიტალის ადეკვატურობის/ გადახდისუნარიანობის მარჯის დამატებითი მოთხოვნის დათვლისას შემდეგ შემთხვევებში:</p> <p>ა) თუ საწარმო მდებარეობს მესამე სახელმწიფოში, რომელიც ქვეყნის გარეთ ინფორმაციის გადინებასთან დაკავშირებით რიგ სამართლებრივ შეზღუდვებს ითვალისწინებს, მიუხედავად იმისა, რომ სექტორული ზედამხედველობის წესი შეიძლება ითვალისწინებდეს საზედამხედველო ორგანოს ვალდებულებას უარი უთხრას განმცხადებელს შესაბამისი ლიცენზიის გაცემაზე იმ მიზეზით, რომ ფერხდება ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელება;</p> <p>ბ) თუ საწარმო უმნიშვნელო რეგულირებადი საწარმოების ფინანსურ კონგლომერატში დამატებითი ზედამხედველობის მიზნებისათვის. თუ რამდენიმე საწარმო ამ ქვეპუნქტის საფუძველზე გამოირიცხულნი არიან, თუმცა, მათი ერთობლივი გათვალისწინება დათვლისთვის მნიშვნელოვანია, ისინი ერთობლივად უნდა იქნენ გათვალისწინებულნი;</p> <p>გ) თუ საწარმოს გათვალისწინება შეუსაბამო ან შეცდომაში შემყვანია დამატებითი ზედამხედველობის მიზნებისათვის ან არ არის გამართლებული რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობის პრინციპებიდან გამომდინარე, გადაწყვეტილებას იღებს კოორდინატორი შესაბამის საზედამხედველო ორგანოებთან კონსულტაციის შედეგად, გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა.</p> <p>7. თუ კოორდინატორი ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამოირიცხავს რომელიმე რეგულირებადი საწარმოს კაპიტალის ადეკვატურობის/გადახდისუნარიანობის მარჯის დამატებითი მოთხოვნის გამოთვლისას, საზედამხედველო ორგანოები უფლებამოსილი</p>	<p>სშ</p>	
------------	---	-----------	-------------------	--	-----------	--

	არ შეჰყავს პირველი ქვეპუნქტის (b) და (c) პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებიდან ერთ-ერთის მოქმედების სფეროში, იმ წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოებს, რომლებშიც ეს სუბიექტი მდებარეობს, შეუძლიათ სთხოვონ იმ სუბიექტს, რომელიც დგას ფინანსური კონგლომერატის სათავეში, ის ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება ხელი შეუწყოს მათ მიერ რეგულირებად სუბიექტზე ზედამხედველობას.			არიან, მიმართონ ფინანსური კონგლომერატის სათავეში მყოფ საწარმოს და გამოითხოვონ შესაბამისი ინფორმაცია საზედამხედველო ფუნქციების ეფექტური განხორციელების მიზნებისათვის.		
7.1	დარგობრივი წესების დაურღვევლად, ფინანსურ კონგლომერატში რეგულირებადი სუბიექტების რისკის კონცენტრაციის დამატებითი ზედამხედველობა უნდა განხორციელდეს ამ თავის მე-3 ნაწილის 9(2)-(4) მუხლში და II დანართში მოცემული წესების მიხედვით.	N1	7.1	სექტორული ზედამხედველობის წესებისგან დამოუკიდებლად, დამატებით, ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოები ექვემდებარებიან რისკის კონცენტრაციისა და შიდაჯგუფური ტრანზაქციების დამატებით ზედამხედველობას ამ მუხლის შესაბამისად.	ნშ	კანონპროექტი არ მოიცავს ამ დირექტივის I და II დანართებს, რომლებიც კიდევ უფრო აკონკრეტებენ რიგ საკითხებს, თუმცა, აღნიშნული საკითხები დამატებითი შესწავლისა და ანალიზის საგანია, რა პროცესიც უკვე დაწყებულია. იქიდან გამომდინარე, რომ ამ ეტაპზე დირექტივით/კანონპროექტით დადგენილი კრიტერიუმებისა და საზღვრების გათვალისწინებით, დამატებითი ზედამხედველობის საკითხი ამ ეტაპზე დღის წესრიგში არ დგას, კანონპროექტში განსაზღვრულ იქნა საზედამხედველო ორგანოთა დისკრეცია, აღნიშნული დანართებით განსაზღვრულ სტანდარტებთან და მოთხოვნებთან დაკავშირებით, საჭიროებისამებრ, გამოსცენ
		N1	1.3	ამ კანონის საფუძველზე საზედამხედველო ორგანოები უფლებამოსილნი არიან, მიიღონ ერთობლივი გადაწყვეტილებები დამატებითი ზედამხედველობის განხორციელებისას, მათ შორის, გამოსცენ ერთობლივი სამართლებრივი აქტები.		

						შესაბამისი სამართლებრივი აქტ(ებ)ი. აღნიშნული დისკრეცია, რასაკვირველია, გულისხმობს იმას, რომ საზედამხედველო ორგანოები ერთობლივი ანალიზისა და შეთანხმების საფუძველზე გამოიყენებენ აღნიშნულ დათქმას.
7.2	წევრმა სახელმწიფოებმა რეგულირებადი სუბიექტების ან შერეული ფინანსური ჰოლდინგური კომპანიებისგან უნდა მოითხოვონ ანგარიშის წარდგენა რეგულარულად და სულ მცირე, წელიწადში ერთხელ კოორდინატორის წინაშე ფინანსური კონგლომერატის დონეზე რისკის ნებისმიერი მნიშვნელოვანი კონცენტრაციის შესახებ, ამ მუხლსა და II დანართში მოცემული წესების შესაბამისად. აუცილებელი ინფორმაცია უნდა გადაეგზავნოს კოორდინატორს იმ რეგულირებადი სუბიექტის მიერ პირველი მუხლის მნიშვნელობით, რომელიც იმყოფება ფინანსური კონგლომერატის სათავეში ან იმ შემთხვევაში, როცა ფინანსურ კონგლომერატს არ ხელმძღვანელობს რეგულირებადი სუბიექტი პირველი მუხლის მნიშვნელობით, შერეული ფინანსური ჰოლდინგური კომპანიის ან ფინანსურ კონგლომერატში რეგულირებადი სუბიექტის მიერ, რომელსაც განსაზღვრავს კოორდინატორი დანარჩენ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან და ფინანსურ კონგლომერატთან კონსულტაციის გავლის შემდეგ.	N1	7.2	ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებადი საწარმოები ან შერეული ფინანსური ჰოლდინგური საწარმოები ვალდებული არიან, სექტორული ზედამხედველობის წესების შესაბამისად, სულ მცირე, ყოველწლიურად, არაუგვიანეს 31 მაისისა, კოორდინატორს წარუდგინონ მნიშვნელოვანი რისკის კონცენტრაციასთან (რისკის პოზიციებთან) და ჯგუფის შიდა ტრანზაქციებთან დაკავშირებული ანგარიშგება ფინანსური კონგლომერატის დონეზე, საზედამხედველო ორგანოებისთვის მისაღები ფორმით. კოორდინატორისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელია ფინანსური კონგლომერატის სათავეში არსებული რეგულირებადი საწარმო ან თუ ფინანსურ კონგლომერატს სათავეში არ ჰყავს რეგულირებადი საწარმო - შერეული ფინანსური ჰოლდინგური საწარმო ან ის რეგულირებადი საწარმო, რომელიც კოორდინატორის მიერ შესაბამის საზედამხედველო ორგანოებთან და ფინანსურ კონგლომერატთან კონსულტაციის შედეგად განისაზღვრება. მიღებულ ანგარიშგებას რისკის კონცენტრაციასთან (რისკის პოზიციებთან) და ჯგუფის შიდა ტრანზაქციებთან დაკავშირებით კოორდინატორი აფასებს.	ნშ	ამ დირექტივის I დანართით გათვალისწინებული საკითხები ასახული იქნება საზედამხედველო ორგანოების მიერ გამოცემულ ერთობლივ სამართლებრივ აქტში.
	ეს რისკის კონცენტრაციები ექვემდებარება ზედამხედველობით მიმოხილვას კოორდინატორის მიერ მე-3 ნაწილის შესაბამისად.	N1	1.3	ამ კანონის საფუძველზე საზედამხედველო ორგანოები უფლებამოსილნი არიან, მიიღონ ერთობლივი გადაწყვეტილებები დამატებითი		

		N1	19	<p>ზედამხედველობის განხორციელებისას, მათ შორის, გამოსცენ ერთობლივი სამართლებრივი აქტები.</p> <p>საზედამხედველო ორგანომ 2024 წლის 1 ივნისამდე უზრუნველყოს ამ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების გამოცემა.</p>		
7.3	<p>ევროკავშირის კანონმდებლობის შემდგომ კოორდინაციამდე, წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ განსაზღვრონ რაოდენობრივი შეზღუდვები, თავიანთ უფლებამოსილ ორგანოებს მისცენ რაოდენობრივი შეზღუდვების განსაზღვრის უფლება ან მიიღონ სხვა ზედამხედველობითი ზომები, რომლებითაც მიღწეული იქნებოდა დამატებითი ზედამხედველობის მიზნები, ფინანსური კონგლომერატის დონეზე ნებისმიერი რისკის კონცენტრაციასთან მიმართებაში.</p>	N1	7.4	<p>ფინანსური კონგლომერატის დონეზე არსებული რისკების კონცენტრაციასთან და ჯგუფის შიდა ტრანზაქციებთან დაკავშირებით, შესაბამისი საზედამხედველო ორგანოები უფლებამოსილი არიან, განსაზღვრონ რაოდენობრივი ლიმიტები, ასევე, ხარისხობრივი მოთხოვნები ჯგუფის შიდა ტრანზაქციებთან მიმართებით და მიიღონ სხვა აუცილებელი საზედამხედველო ზომები.</p>	სმ	
7.4	<p>იმ შემთხვევაში, როცა ფინანსურ კონგლომერატს ხელმძღვანელობს შერეული ფინანსური ჰოლდინგური კომპანია, ფინანსურ კონგლომერატში ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური სექტორის რისკის კონცენტრაციასთან დაკავშირებული დარგობრივი წესები (მათი არსებობის შემთხვევაში) გამოყენებულ უნდა იქნეს მთლიანად სექტორის მიმართ, შერეული ფინანსური ჰოლდინგური კომპანიის ჩათვლით.</p>	N1	7.5	<p>ფინანსური კონგლომერატის სათავეში შერეული ფინანსური ჰოლდინგური საწარმოს არსებობის შემთხვევაში, ფინანსური კონგლომერატის უდიდესი ფინანსური სექტორის რისკის კონცენტრაციასთან და ჯგუფის შიდა ტრანზაქციებთან დაკავშირებით არსებული სექტორული ზედამხედველობის წესები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მთლიან ფინანსურ სექტორზე უნდა გავრცელდეს, მათ შორის, შერეულ ფინანსურ ჰოლდინგურ საწარმოზე.</p>	სმ	

7.5	<p>ერთობლივი კომიტეტის მეშვეობით, ESA-მ უნდა გასცეს საერთო მეთოდური რეკომენდაციები, რომელთა მიზანია საზედამხედველო პრაქტიკების კონვერგენცია რისკის კონცენტრაციის დამატებითი ზედამხედველობის გამოყენებასთან მიმართებაში, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ მუხლის 1-4 პუნქტებით. დუბლირების თავიდან ასაცილებლად, მეთოდურმა რეკომენდაციებმა უნდა უზრუნველყონ ამ მუხლით გათვალისწინებული ზედამხედველობის ინსტრუმენტების გამოყენების შესაბამისობაში მოყვანა 2006/48/EC დირექტივის 106-118 მუხლების და 2009/138/EC დირექტივის 244-ე მუხლის გამოყენებასთან. მათ კონკრეტული საერთო მეთოდური რეკომენდაციები უნდა გასცენ ამ მუხლის 1-4 პუნქტების ფინანსურ კონგლომერატში წილების მიმართ იმ შემთხვევებში, როცა ეროვნული კომპანიის კანონმდებლობის დებულებები ხელს უშლიან წინამდებარე დირექტივის 14(2) მუხლის გამოყენებას.</p>				ას	<p>რელევანტურია მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის, რადგან ადგენს მხოლოდ აღნიშნული იურისდიქციის ქვეყნების ინსტიტუტებისთვის განსაზღვრულ მოწესრიგებებს, რაც საქართველოში არ არსებობს.</p>
8.1	<p>დარგობრივი წესების დაურღვევლად, ფინანსურ კონგლომერატში რეგულირებადი სუბიექტების ჯგუფის შიდა გარიგებების დამატებითი ზედამხედველობა უნდა განხორციელდეს ამ თავის მე-3 ნაწილის 9(2-4) მუხლში და II დანართში მოცემული წესების მიხედვით.</p>	N1	7.1	<p>სექტორული ზედამხედველობის წესებისგან დამოუკიდებლად, დამატებით, ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოები ექვემდებარებიან რისკის კონცენტრაციისა და შიდაჯგუფური ტრანზაქციების დამატებით ზედამხედველობას ამ მუხლის შესაბამისად.</p>	წმ	<p>კანონპროექტი არ მოიცავს ამ დირექტივის I და II დანართებს, რომლებიც კიდევ უფრო აკონკრეტებენ რიგ საკითხებს, თუმცა, აღნიშნული საკითხები დამატებითი შესწავლისა და ანალიზის საგანია, რისი პროცესიც უკვე დაწყებულია. იქიდან გამომდინარე, რომ დირექტივით/კანონპროექტით დადგენილი კრიტერიუმებისა და საზღვრების გათვალისწინებით, დამატებითი ზედამხედველობის საკითხი ამ ეტაპზე დღის წესრიგში არ დგას, კანონპროექტში</p>
		N1	1.3	<p>ამ კანონის საფუძველზე საზედამხედველო ორგანოები უფლებამოსილნი არიან, მიიღონ ერთობლივი გადაწყვეტილებები დამატებითი ზედამხედველობის განხორციელებისას, მათ შორის, გამოსცენ ერთობლივი სამართლებრივი აქტები.</p>		

						<p>განსაზღვრულ იქნა საზედამხედველო ორგანოთა დისკრეცია, აღნიშნული დანართებით განსაზღვრულ სტანდარტებთან და მოთხოვნებთან დაკავშირებით, საჭიროებისამებრ, გამოსცენ შესაბამისი სამართლებრივი აქტ(ებ)ი.</p> <p>აღნიშნული დისკრეცია, რასაკვირველია, გულისხმობს იმას, რომ საზედამხედველო ორგანოები ერთობლივი ანალიზისა და შეთანხმების საფუძველზე გამოიყენებენ აღნიშნულ დათქმას.</p>
8.2	<p>წევრმა სახელმწიფოებმა რეგულირებადი სუბიექტების ან შერეული ფინანსური ჰოლდინგური კომპანიებისგან უნდა მოითხოვონ ანგარიშის წარდგენა რეგულარულად და სულ მცირე, წელიწადში ერთხელ კოორდინატორის წინაშე ფინანსურ კონგლომერატში რეგულირებადი სუბიექტების ყველა მნიშვნელოვანი ჯგუფის შიდა გარიგებების შესახებ, ამ მუხლსა და II დანართში მოცემული წესების შესაბამისად. იმდენად, რამდენადაც II დანართის პირველი პუნქტის ბოლო წინადადებაში მითითებული ზღვრული მნიშვნელობების განმარტება არაა შედგენილი, ჯგუფის შიდა გარიგება უნდა ჩაითვალოს მნიშვნელოვნად, თუ მისი მოცულობა აღემატება ფინანსური კონგლომერატის დონეზე კაპიტალის ადეკვატურობის მიმართ მოთხოვნების საერთო მოცულობის, სულ მცირე, 5%-ს.</p> <p>აუცილებელი ინფორმაცია უნდა გადაეგზავნოს კოორდინატორს იმ რეგულირებადი სუბიექტის მიერ პირველი მუხლის მნიშვნელობით, რომელიც</p>	N1	7 (2 და 3)	<p>2. ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებადი საწარმოები ან შერეული ფინანსური ჰოლდინგური საწარმოები ვალდებული არიან, სექტორული ზედამხედველობის წესების შესაბამისად, სულ მცირე, ყოველწლიურად, არაუგვიანეს 31 მაისისა, კოორდინატორს წარუდგინონ მნიშვნელოვანი რისკის კონცენტრაციასთან (რისკის პოზიციებთან) და ჯგუფის შიდა ტრანზაქციებთან დაკავშირებული ანგარიშგება ფინანსური კონგლომერატის დონეზე, საზედამხედველო ორგანოებისთვის მისაღები ფორმით. კოორდინატორისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელია ფინანსური კონგლომერატის სათავეში არსებული რეგულირებადი საწარმო ან თუ ფინანსურ კონგლომერატს სათავეში არ ჰყავს რეგულირებადი საწარმო - შერეული ფინანსური ჰოლდინგური საწარმო ან ის რეგულირებადი საწარმო, რომელიც კოორდინატორის მიერ შესაბამის საზედამხედველო ორგანოებთან და ფინანსურ კონგლომერატთან კონსულტაციის შედეგად განისაზღვრება. მიღებულ ანგარიშგებას რისკის კონცენტრაციასთან (რისკის</p>	ნშ	<p>ამ დირექტივის I დანართით გათვალისწინებული საკითხები ასახული იქნება საზედამხედველო ორგანოების მიერ გამოცემულ ერთობლივ სამართლებრივ აქტში.</p>

	<p>იმყოფება ფინანსური კონგლომერატის სათავეში ან იმ შემთხვევაში, როცა ფინანსურ კონგლომერატს არ ხელმძღვანელობს რეგულირებადი სუბიექტი პირველი მუხლის მნიშვნელობით, შერეული ფინანსური ჰოლდინგური კომპანიის ან ფინანსურ კონგლომერატში რეგულირებადი სუბიექტის მიერ, რომელსაც განსაზღვრავს კოორდინატორი დანარჩენ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან და ფინანსურ კონგლომერატთან კონსულტაციის გავლის შემდეგ.</p> <p>ეს ჯგუფის შიდა გარიგებები ექვემდებარება ზედამხედველობით მიმოხილვას კოორდინატორის მიერ.</p>	<p>N1</p> <p>N1</p>	<p>1.3</p> <p>19</p>	<p>პოზიციებთან) და ჯგუფის შიდა ტრანზაქციებთან დაკავშირებით კოორდინატორი აფასებს.</p> <p>3. შიდაჯგუფური ტრანზაქცია მნიშვნელოვნად მიიჩნევა, თუ მისი ოდენობა გადააჭარბებს ფინანსური კონგლომერატის დონეზე კაპიტალის ადეკვატურობის/გადახდისუნარიანობის მარჯის მოთხოვნათა მთლიანი ოდენობის 5%-ს.</p> <p>ამ კანონის საფუძველზე საზედამხედველო ორგანოები უფლებამოსილნი არიან, მიიღონ ერთობლივი გადაწყვეტილებები დამატებითი ზედამხედველობის განხორციელებისას, მათ შორის, გამოსცენ ერთობლივი სამართლებრივი აქტები.</p> <p>საზედამხედველო ორგანომ 2024 წლის 1 ივნისამდე უზრუნველყოს ამ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების გამოცემა.</p>		
<p>8.3</p>	<p>ევროკავშირის კანონმდებლობის შემდგომ კოორდინაციამდე, წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ განსაზღვრონ რაოდენობრივი შეზღუდვები და ხარისხობრივი შეზღუდვები, თავიანთ უფლებამოსილ ორგანოებს მისცენ რაოდენობრივი ან ხარისხობრივი შეზღუდვების განსაზღვრის უფლება ან მიიღონ სხვა ზედამხედველობითი ზომები, რომლებითაც მიღწეული იქნებოდა დამატებითი ზედამხედველობის მიზნები, ფინანსურ კონგლომერატში რეგულირებადი სუბიექტების ჯგუფის შიდა გარიგებებთან მიმართებაში.</p>	<p>N1</p>	<p>7.4</p>	<p>ფინანსური კონგლომერატის დონეზე არსებული რისკების კონცენტრაციასთან და ჯგუფის შიდა ტრანზაქციებთან დაკავშირებით, შესაბამისი საზედამხედველო ორგანოები უფლებამოსილი არიან, განსაზღვრონ რაოდენობრივი ლიმიტები, ასევე, ხარისხობრივი მოთხოვნები ჯგუფის შიდა ტრანზაქციებთან მიმართებით და მიიღონ სხვა აუცილებელი საზედამხედველო ზომები.</p>	<p>სშ</p>	

8.4	იმ შემთხვევაში, როცა ფინანსურ კონგლომერატს ხელმძღვანელობს შერეული ფინანსური ჰოლდინგური კომპანია, ფინანსურ კონგლომერატში ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური სექტორის ჯგუფის შიდა გარიგებებთან დაკავშირებული დარგობრივი წესები გამოყენებულ უნდა იქნეს მთლიანად სექტორის მიმართ, შერეული ფინანსური ჰოლდინგური კომპანიის ჩათვლით.	N1	7.5	ფინანსური კონგლომერატის სათავეში შერეული ფინანსური ჰოლდინგური საწარმოს არსებობის შემთხვევაში, ფინანსური კონგლომერატის უდიდესი ფინანსური სექტორის რისკის კონცენტრაციასთან და ჯგუფის შიდა ტრანზაქციებთან დაკავშირებით არსებული სექტორული ზედამხედველობის წესები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მთლიან ფინანსურ სექტორზე უნდა გავრცელდეს, მათ შორის, შერეულ ფინანსურ ჰოლდინგურ საწარმოზე.	სშ	
8.5	ერთობლივი კომიტეტის მეშვეობით, ESA-მ უნდა გასცეს საერთო მეთოდური რეკომენდაციები, რომელთა მიზანია საზედამხედველო პრაქტიკების კონვერგენცია ჯგუფის შიდა გარიგებების დამატებითი ზედამხედველობის გამოყენებასთან მიმართებაში, როგორც ეს გათვალისწინებულია ამ მუხლის 1-4 პუნქტებით. დუბლირების თავიდან ასაცილებლად, მეთოდურმა რეკომენდაციებმა უნდა უზრუნველყონ ამ მუხლით გათვალისწინებული ზედამხედველობის ინსტრუმენტების გამოყენების შესაბამისობაში მოყვანა 2009/138/EC დირექტივის 245-ე მუხლის გამოყენებასთან. მათ კონკრეტული საერთო მეთოდური რეკომენდაციები უნდა გასცენ ამ მუხლის 1-4 პუნქტებით ფინანსურ კონგლომერატში წილების მიმართ გამოყენებასთან დაკავშირებით იმ შემთხვევებში, როცა ეროვნული კომპანიის კანონმდებლობის დებულებები ხელს უშლიან წინამდებარე დირექტივის 14(2) მუხლის გამოყენებას.				ას	რელევანტურია მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის, რადგან ადგენს მხოლოდ აღნიშნული იურისდიქციის ქვეყნების ინსტიტუტებისთვის განსაზღვრულ მოწესრიგებებს, რაც საქართველოში არ არსებობს.

9.1	წევრმა სახელმწიფოებმა რეგულირებად სუბიექტებს უნდა მოსთხოვონ ფინანსური კონგლომერატის დონეზე რისკის მართვის სათანადო პროცესებისა და შიდა კონტროლის მექანიზმების ამოქმედება, ეფექტიანი ადმინისტრაციული და სააღრიცხვო პროცედურები.	N1	8.1	ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოები ვალდებული არიან, გააჩნდეთ რისკების მართვის ადეკვატური პროცესები და შიდა კონტროლის მექანიზმი ფინანსური კონგლომერატის დონეზე, მათ შორის, გონივრული და ეფექტური ადმინისტრაციული და საანგარიშგებო პროცედურები.	სშ	
9.2	<p>რისკის მართვის პროცესები უნდა მოიცავდნენ შემდეგს:</p> <p>(ა) ეფექტიანი მმართველობა და მართვა სათანადო მმართველი ორგანოების მიერ სტრატეგიებისა და პოლიტიკის დამტკიცებითა და პერიოდული გადასინჯვით ფინანსური კონგლომერატის დონეზე, მათ მიერ აღებულ ყველა რისკთან მიმართებაში;</p> <p>(ბ) კაპიტალის ადეკვატურობის სათანადო პოლიტიკა მათი ბიზნეს სტრატეგიის რისკის პროფილსა და კაპიტალის მიმართ მოთხოვნებზე ზემოქმედების პროგნოზირების მიზნით, როგორც ეს განსაზღვრულია მე-6 მუხლისა და I დანართის შესაბამისად;</p> <p>(ც) სათანადო პროცედურები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათი რისკის მონიტორინგის სისტემები კარგადაა ინტეგრირებული მათ ორგანიზაციაში და რომ ყველა ზომა მიიღება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ის სისტემები, რომლებიც ხორციელდება დამატებითი ზედამხედველობის მოქმედების სფეროში შეყვანილ ყველა საწარმოში, იყენენ თანამიმდევრულნი, რათა შესაძლებელი იყოს ფინანსური კონგლომერატის დონეზე რისკების გაზომვა, მონიტორინგი და კონტროლი;</p> <p>(დ) მოქმედი შეთანხმებების არსებობა, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო აღდგენისა და რეზოლუციის შეთანხმებებსა და გეგმებში</p>	N1	8.2	<p>2. რისკის მართვის პროცესები უნდა მოიცავდეს:</p> <p>ა) ჯანსაღ მართვასა და მმართველობას, რომელიც, მათ შორის, მოიცავს ფინანსური კონგლომერატების დონეზე არსებულ/პოტენციურ რისკებთან დაკავშირებული სტრატეგიისა და პოლიტიკის დამტკიცებას, მათ პერიოდულ გადახედვას ფინანსური კონგლომერატის შესაბამისი მმართველი ორგანოების მიერ;</p> <p>ბ) კაპიტალის ადეკვატურობის სათანადო პოლიტიკას, რათა სათანადოდ იქნას შეფასებული მისი ბიზნეს-სტრატეგიის გავლენა მისსავე რისკის პროფილსა და კაპიტალის/გადახდისუნარიანობის მარჯის მოთხოვნებზე ამ კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად;</p> <p>გ) ადეკვატურ პროცედურებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს რისკის მონიტორინგის სისტემების სათანადო ინტეგრირება მათ ორგანიზაციულ სისტემაში. ამასთან, დამატებითი ზედამხედველობის მოქმედების სფეროში მოქცეულ საწარმოებში აღნიშნული სისტემები იმგვარად უნდა იყოს დანერგილი, რომ რისკების შეფასება, მონიტორინგი და კონტროლი ფინანსური კონგლომერატის დონეზე იყოს შესაძლებელი;</p> <p>დ) შესაბამის პროცედურებს, საჭიროების შემთხვევაში გაჯანსაღებისა და რეზოლუციის (რთული ფინანსური მდგომარეობის გამოსწორების) ადეკვატური და ეფექტური ჩარჩოს უზრუნველსაყოფად. აღნიშნული პროცედურები</p>	სშ	კანონპროექტი არ მოიცავს ამ დირექტივის I და II დანართებს. კანონპროექტში განსაზღვრულ იქნა საზედამხედველო ორგანოთა დისკრეცია, აღნიშნული დანართებით განსაზღვრულ სტანდარტებთან და მოთხოვნებთან დაკავშირებით, საჭიროებისამებრ, გამოსცენ შესაბამისი სამართლებრივი აქტ(ებ)ი.

	წვლილის შესატანად და მათ შესამუშავებლად. ეს შეთანხმებები რეგულარულად უნდა განახლდეს.	N1	19	რეგულარულ გადახედვასა და განახლებას უნდა ექვემდებარებოდეს. საზედამხედველო ორგანომ 2024 წლის 1 ივნისამდე უზრუნველყოს ამ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების გამოცემა.		
9.3	შიდა კონტროლის მექანიზმები უნდა მოიცავდნენ შემდეგს: (a) სათანადო მექანიზმები კაპიტალის ადეკვატურობასთან დაკავშირებით ყველა გამოწვეული არსებითი რისკის იდენტიფიცირებისა და გაზომვის და რისკებთან თავისი საკუთარი სახსრების სათანადოდ დაკავშირების მიზნით; (b) ეფექტიანი ანგარიშებისა და აღრიცხვის პროცედურები ჯგუფის შიდა გარიგებებისა და რისკის კონცენტრაციის იდენტიფიცირების, გაზომვის, მონიტორინგისა და კონტროლის მიზნით.	N1	8.3	3. შიდა კონტროლის მექანიზმი უნდა მოიცავდეს: ა) კაპიტალის ადეკვატურობასთან დაკავშირებული მატერიალური რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების, ამასთან, კაპიტალის/ გადახდისუნარიანობისა და რისკების ურთიერთმიმართების შეფასების ადეკვატურ მექანიზმს; ბ) შიდაჯგუფური ტრანზაქციებისა და რისკის კონცენტრაციის იდენტიფიცირების, შეფასების, მონიტორინგისა და კონტროლის ეფექტურ საანგარიშგებო და სააღრიცხვო პროცედურებს.	სშ	

9.4	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მე-5 მუხლის შესაბამისად დამატებითი ზედამხედველობის მოქმედების სფეროში შეყვანილი ყველა საწარმოში ნებისმიერი მონაცემებისა და იმ ინფორმაციის წარდგენის შიდა კონტროლის სათანადო მექანიზმების არსებობა, რომელიც შესაბამისი იქნებოდა დამატებითი ზედამხედველობის მიზნებისთვის.</p> <p>წევრმა სახელმწიფოებმა რეგულირებადი ორგანოებისგან, ფინანსური კონგლომერატის დონეზე, უნდა მოითხოვონ თავიანთი უფლებამოსილი ორგანოსთვის მონაცემების რეგულარულად წარდგენა თავიანთი სამართლებრივი სტრუქტურისა და მმართველობისა და ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ, მათ შორის, ყველა რეგულირებად სუბიექტზე, არარეგულირებად შვილობილ კომპანიასა და მნიშვნელოვან ფილიალებზე.</p> <p>წევრმა სახელმწიფოებმა რეგულირებადი სუბიექტებისგან უნდა მოითხოვონ საჯაროდ, ფინანსური კონგლომერატის დონეზე, ყოველწლიურად გამჟღავნება მათი სამართლებრივი სტრუქტურისა და მმართველობისა და ორგანიზაციული სტრუქტურის აღწერილობა სრულად ან ექვივალენტურ ინფორმაციაზე მითითებების მეშვეობით.</p>	N1	8 (4-6)	<p>4. ამ კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად დამატებითი ზედამხედველობის მოქმედების სფეროში შემავალ საწარმოებს უნდა გააჩნდეთ ადეკვატური შიდა კონტროლის მექანიზმი დამატებითი ზედამხედველობის მიზნებისათვის აუცილებელი ინფორმაციისა და მონაცემების ეფექტური დამუშავებისთვის.</p> <p>5. ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებადი საწარმოები ვალდებული არიან, საზედამხედველო ორგანოებს, მათ მიერ დადგენილი წესით რეგულარულად მიაწოდონ საწარმოს სამართლებრივი სტრუქტურის, მართვისა და ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ დეტალური ინფორმაცია, რომელიც, მათ შორის, უნდა მოიცავდეს ყველა რეგულირებადი საწარმოს, არარეგულირებადი შვილობილი საწარმოებისა და ფილიალების შესახებ ინფორმაციას.</p> <p>6. ფინანსურ კონგლომერატში შემავალმა რეგულირებადმა საწარმოებმა ყოველწლიურად, ფინანსური კონგლომერატის დონეზე, საზედამხედველო ორგანოების მიერ დადგენილი წესით სრულად ან შესაბამის ინფორმაციაზე მითითებით უნდა გაასაჯაროვონ ინფორმაცია სამართლებრივი სტრუქტურის, მართვისა და ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ.</p>	სშ	
9.5	1-4 პუნქტებში მითითებული პროცესები და მექანიზმები ექვემდებარებიან კოორდინატორის მიერ ზედამხედველობით მიმოხილვას.	N1	8.7	ამ მუხლით გათვალისწინებულ პროცესებსა და მექანიზმს კოორდინატორი აფასებს და შეფასების შედეგების საფუძველზე, საჭიროებისამებრ, გაატარებს კანონმდებლობით განსაზღვრულ შესაბამის საზედამხედველო ღონისძიებებს.	სშ	

9.6	<p>უფლებამოსილმა ორგანოებმა უნდა მოახდინონ ამ მუხლით გათვალისწინებული შიდა კონტროლის მექანიზმებისა და რისკის მართვის პროცესების დამატებითი ზედამხედველობის გამოყენების ჰარმონიზაცია 2006/48/EC დირექტივის 124-ე მუხლითა და 2009/138/EC დირექტივის 248-ე მუხლით გათვალისწინებულ საზედამხედველო მიმოხილვის პროცესებთან. ამ მიზნით, ESA-მ, ერთობლივი კომიტეტის მეშვეობით, უნდა გასცეს მეთოდური რეკომენდაციები, რომელთა მიზანია შიდა კონტროლის მექანიზმებისა და რისკის მართვის პროცესების (როგორც ეს გათვალისწინებულია ამ მუხლით) დამატებითი ზედამხედველობის გამოყენებასთან დაკავშირებული საზედამხედველო პრაქტიკების კონვერგენცია, აგრეთვე გასცეს მეთოდური რეკომენდაციები საზედამხედველო მიმოხილვის პროცესებთან დაკავშირებით, როგორც ამას ითვალისწინებენ 2006/48/EC დირექტივის 124-ე მუხლი და 2009/138/EC დირექტივის 248-ე მუხლი. მათ კონკრეტული საერთო მეთოდური რეკომენდაციები უნდა გასცენ ამ მუხლის ფინანსურ კონგლომერატში წილების მიმართ გამოყენებასთან დაკავშირებით იმ შემთხვევებში, როცა ეროვნული კომპანიის კანონმდებლობის დებულებები ხელს უშლიან წინამდებარე დირექტივის 14(2) მუხლის გამოყენებას.</p>				ას	<p>რელევანტურია მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის, ვინაიდან დირექტივის მოცემული ნაწილი ადგენს ევროკავშირის ინსტიტუტების ვალდებულებებს, შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით ვერ იქნება აღწერილი ამ ინსტიტუტების ვალდებულებები.</p>
-----	---	--	--	--	----	--

9a	ერთობლივმა კომიტეტმა, (EU) N1093/2010 რეგულაციის, (EU) N1094/2010 რეგულაციისა და (EU) N1095/2010 რეგულაციის 56-ე მუხლის შესაბამისად, უნდა უზრუნველყოს თანმიმდევრული დარგთაშორისი და ტრანსსასაზღვრო ზედამხედველობა და შესაბამისობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან.				ას	რელევანტურია მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის, ვინაიდან დირექტივის მოცემული ნაწილი ადგენს ევროკავშირის ინსტიტუტების ვალდებულებებს, შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით ვერ იქნება აღწერილი ამ ინსტიტუტების ვალდებულებები.
9b.1	წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მოითხოვონ, რომ კოორდინატორმა უზრუნველყოს ფინანსური კონგლომერატების სტრესულ სიტუაციაზე სათანადო და რეგულარული შემოწმება. მათ შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებისგან უნდა მოითხოვონ კოორდინატორთან სრული თანამშრომლობა.	N1	9	კოორდინატორი, თავის მიერ დადგენილი წესით, ფინანსური კონგლომერატის ფარგლებში პერიოდულად ატარებს შესაბამის სტრეს-ტესტირებას. საზედამხედველო ორგანოები აქტიურად თანამშრომლობენ კოორდინატორთან სტრეს-ტესტირების პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით. ამასთან, ფინანსური კონგლომერატის წევრები ვალდებული არიან, მიაწოდონ კოორდინატორს სტრეს ტესტის ჩასატარებლად აუცილებელი ინფორმაცია. სტრეს ტესტირების ჩატარება შეიძლება განხორციელდეს როგორც კოორდინატორის, ასევე, თავად ფინანსურ კონგლომერატში შემავალი საწარმოების მიერ, კოორდინატორის მიერ განსაზღვრული სტრეს-სცენარის შესაბამისად.	სშ	

9b.2	<p>ევროკავშირის მასშტაბით სტრესულ სიტუაციაზე შემოწმებების მიზნით, ESA-ს უფლება აქვს, ერთობლივი კომიტეტის მეშვეობით და ევროპის სისტემური რისკის საბჭოსთან თანამშრომლობით, რომელიც დაფუძნებულია ევროკავშირის მიერ ფინანსურ სისტემაზე მაკრო-გონივრული ზედამხედველობის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010 წლის 24 ნოემბრის რეგულაციით (EU) N1092/2010, და რომელიც აფუძნებს ევროპის სისტემური რისკის საბჭოს, შეიმუშაოს ის დამხმარე პარამეტრები, რომლებიც აკავებენ ფინანსურ კონგლომერატებთან დაკავშირებულ კონკრეტულ რისკებს, (EU) N1093/2010 რეგულაციის, (EU) N1094/2010 რეგულაციისა და (EU) N1095/2010 რეგულაციის შესაბამისად. კოორდინატორმა სტრესულ სიტუაციაზე შემოწმების შედეგები ერთობლივ კომიტეტს უნდა შეატყობინოს.</p>				ას	<p>რელევანტურია მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის, ვინაიდან დირექტივის მოცემული პუნქტი ადგენს ევროკავშირის ინსტიტუტების ვალდებულებებს, შესაბამისად, საქართველოში და შესაბამისი კანონით ვერ იქნება შესრულებული.</p>
10.1	<p>ფინანსურ კონგლომერატში რეგულირებადი სუბიექტების სათანადო დამატებითი ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად, ერთი კოორდინატორი, რომელიც პასუხისმგებელია დამატებითი ზედამხედველობის კოორდინაციასა და განხორციელებაზე, უნდა დაინიშნოს შესაბამისი წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილი ორგანოებიდან, მათ შორის, იმ წევრი სახელმწიფოს ორგანოებიდან, რომლებშიც შერეულ ფინანსურ ჰოლდინგურ კომპანიას აქვს თავისი სათაო ოფისი. კოორდინატორის ვინაობა უნდა გამოქვეყნდეს ერთობლივი კომიტეტის ვებ-გვერდზე.</p>	N1	10.1	<p>ფინანსური კონგლომერატის დამატებითი ზედამხედველობის ადეკვატურად და ეფექტურად განხორციელების მიზნით, საზედამხედველო ორგანოთაგან ამ მუხლის შესაბამისად განისაზღვრება დამატებითი ზედამხედველობის კოორდინაციასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელი საზედამხედველო ორგანო - კოორდინატორი. კოორდინატორის დანიშვნის თაობაზე საზედამხედველო ორგანოთა ერთობლივი გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს საზედამხედველო ორგანოების ოფიციალურ ვებგვერდებზე.</p>	სშ	<p>კანონპროექტში, დირექტივაში მოცემული კომიტეტი ჩანაცვლებულია შესაბამისი რელევანტური უწყებ(ებ)ით.</p>

<p>10.2</p>	<p>დანიშვნა უნდა ემყარებოდეს შემდეგ კრიტერიუმებს:</p> <p>(a) იმ შემთხვევაში, როცა ფინანსურ კონგლომერატს ხელმძღვანელობს რეგულირებადი სუბიექტი, კოორდინატორის ამოცანა უნდა განხორციელდეს იმ უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რომელმაც ამ რეგულირებად სუბიექტს მიანიჭა ავტორიზაცია შესაბამისი დარგობრივი წესების მიხედვით;</p> <p>(b) იმ შემთხვევაში, როცა ფინანსურ კონგლომერატს არ ხელმძღვანელობს რეგულირებადი სუბიექტი, კოორდინატორის ამოცანა უნდა განხორციელდეს იმ უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რომელიც განისაზღვრება შემდეგი პრინციპების მიხედვით:</p> <p>(i) იმ შემთხვევაში, როცა რეგულირებადი სუბიექტის მშობელი კომპანიაა შერეული ფინანსური ჰოლდინგური კომპანია, კოორდინატორის ამოცანა უნდა განხორციელდეს იმ უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რომელმაც ამ რეგულირებად სუბიექტს მიანიჭა ავტორიზაცია შესაბამისი დარგობრივი წესების მიხედვით;</p> <p>(ii) იმ შემთხვევაში, როცა, სულ მცირე, იმ ორი რეგულირებადი სუბიექტის, რომელთა რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს ევროკავშირში, მშობელი კომპანია არის ერთი და იგივე შერეული ფინანსური ჰოლდინგური კომპანია, და ამ სუბიექტებიდან ერთი ავტორიზებულია იმ წევრ სახელმწიფოში, რომელშიც შერეულ ფინანსურ ჰოლდინგურ კომპანიას აქვს თავისი სათაო ოფისი, კოორდინატორის ამოცანა უნდა განხორციელდეს ამ წევრ სახელმწიფოში ავტორიზებული რეგულირებადი სუბიექტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ.</p>	<p>N1</p> <p>N1</p>	<p>10.2</p> <p>10.3</p>	<p>2. თუ ფინანსური კონგლომერატის სათავეში რეგულირებული საწარმოა, კოორდინატორად ინიშნება ის საზედამხედველო ორგანო, რომელმაც შესაბამისი სექტორული ზედამხედველობის წესების შესაბამისად აღნიშნული რეგულირებული საწარმოს საქმიანობაზე ნებართვა/ლიცენზია გასცა ან განახორციელა აღნიშნული საწარმოს რეგისტრაცია.</p> <p>3. თუ ფინანსური კონგლომერატის სათავეში არ არის რეგულირებული საწარმო, კოორდინატორად დანიშვნისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი პირობები:</p> <p>ა) თუ ფინანსური კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოს მშობელი საწარმო არის შერეული ფინანსური ჰოლდინგური საწარმო, კოორდინატორად დაინიშნება ის საზედამხედველო ორგანო, რომელმაც ასეთ რეგულირებულ საწარმოს საქმიანობაზე ნებართვა/ლიცენზია გასცა ან განახორციელა მისი რეგისტრაცია შესაბამისი სექტორული ზედამხედველობის წესების შესაბამისად;</p> <p>ბ) თუ ფინანსურ კონგლომერატში შემავალი ერთზე მეტი საწარმო, რომლებიც საქმიანობენ სხვადასხვა ფინანსურ სექტორში, ლიცენზირებულნი/რეგისტრირებულნი არიან საქართველოში, სადაც შერეულ ფინანსურ ჰოლდინგურ საწარმოს აქვს სათაო ოფისი, კოორდინატორად უნდა დაინიშნოს უდიდეს ფინანსურ სექტორში არსებული რეგულირებული საწარმოს საზედამხედველო ორგანო;</p> <p>გ) თუ ფინანსურ კონგლომერატს არ ჰყავს ჯგუფის დონეზე მშობელი საწარმო გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, ყველა სხვა შემთხვევაში, კოორდინატორად დაინიშნება უდიდესი ფინანსური სექტორის უდიდესი საბალანსო ღირებულების მქონე რეგულირებული</p>	<p>სმ</p>	<p>ამ დირექტივის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის b ქვეპუნქტის ii ქვეპუნქტის პირველი და მე-3 აბზაცები სავალდებულო/რელევანტურია მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისათვის, ხოლო მე-2 აბზაცში ევროკავშირში რეგისტრაცია ჩანაცვლებულია საქართველოზე მითითებით ქვეყნის სტატუსიდან გამომდინარე.</p>
-------------	--	---------------------	-------------------------	--	-----------	--

<p>იმ შემთხვევაში, როცა ერთზე მეტი იმ რეგულირებადი სუბიექტის, რომელიც მოქმედებს სხვადასხვა ფინანსურ სექტორებში, ავტორიზება მოხდა იმ წევრ სახელმწიფოში, სადაც შერეულ ფინანსურ ჰოლდინგურ კომპანიას აქვს თავისი სათაო ოფისი, კოორდინატორის ამოცანა უნდა განხორციელდეს იმ რეგულირებადი სუბიექტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რომელიც მოქმედებს ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ფინანსურ სექტორში.</p> <p>იმ შემთხვევაში, როცა ფინანსურ კონგლომერატს ხელმძღვანელობს ერთზე მეტი შერეული ფინანსური ჰოლდინგური კომპანია, რომლის სათაო ოფისი მდებარეობს სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში და თითოეულ ამ სახელმწიფოში არსებობს რეგულირებადი სუბიექტი, კოორდინატორის ამოცანა უნდა განხორციელდეს იმ რეგულირებადი სუბიექტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რომელსაც გააჩნია ყველაზე დიდი საერთო ბალანსი, თუ ეს სუბიექტები არიან ერთსა და იმავე ფინანსურ სექტორში, ან ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ფინანსურ სექტორში რეგულირებადი სუბიექტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ;</p> <p>(iii) იმ შემთხვევაში, როცა, სულ მცირე, ორი რეგულირებადი სუბიექტის, რომელთა რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს ევროკავშირში, მშობელი კომპანია არის ერთი და იგივე შერეული ფინანსური ჰოლდინგური კომპანია და ამ სუბიექტებიდან არც ერთი არ არის ავტორიზებული იმ წევრ სახელმწიფოში, სადაც შერეულ ფინანსურ ჰოლდინგურ კომპანიას აქვს თავისი სათაო ოფისი, კოორდინატორის ამოცანა უნდა განხორციელდეს იმ უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რომელმაც მოახდინა ყველაზე</p>		<p>საწარმოს ლიცენზიის/ნებართვის გამცემი ან რეგისტრაციის განმახორციელებელი საზედამხედველო ორგანო.</p>	
---	--	--	--

	<p>დიდი საერთო ბალანსის მქონე რეგულირებადი სუბიექტის ავტორიზაცია ყველაზე მნიშვნელოვან ფინანსურ სექტორში;</p> <p>(iv) იმ შემთხვევაში, როცა ფინანსური კონგლომერატი არის ჯგუფი, რომლის სათავეშიც არ დგას მშობელი საწარმო, ან სხვა ნებისმიერ შემთხვევაში, კოორდინატორის ამოცანა უნდა განხორციელდეს იმ უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რომელმაც მოახდინა ყველაზე დიდი საერთო ბალანსის მქონე რეგულირებადი სუბიექტის ავტორიზაცია ყველაზე მნიშვნელოვან ფინანსურ სექტორში;</p>					
10.3	<p>კონკრეტულ შემთხვევებში, შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს, საერთო შეთანხმებით, შეუძლიათ უარი თქვან მე-2 პუნქტში მითითებულ კრიტერიუმებზე, თუ მათი გამოყენება შეუსაბამო იქნებოდა კონგლომერატის სტრუქტურისა და სხვადასხვა ქვეყნებში მისი საქმიანობების შეფარდებითი მნიშვნელობის გათვალისწინებით, და კოორდინატორად სხვა უფლებამოსილი ორგანო დანიშნონ. ამ შემთხვევებში, თავიანთი გადაწყვეტილების მიღებამდე, უფლებამოსილმა ორგანოებმა კონგლომერატს უნდა მისცენ ამ გადაწყვეტილების შესახებ თავისი საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა.</p>	N1	10.4	<p>განსაკუთრებულ შემთხვევებში, საზედამხედველო ორგანოებმა, საერთო შეთანხმებით, შესაძლოა, უარი თქვან ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ რომელიმე კრიტერიუმზე, თუ მისი გამოყენება არარელევანტურია ფინანსური კონგლომერატის სტრუქტურის გათვალისწინებით და კოორდინატორად დანიშნონ სხვა საზედამხედველო ორგანო. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებამდე, საზედამხედველო ორგანოები ამ საკითხის შესახებ შეატყობინებენ ფინანსურ კონგლომერატს, რომელსაც უნდა მიეცეს სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისაღებ გადაწყვეტილებასთან მიმართებით.</p>	სშ	

11.1.	<p>1. დამატებით ზედამხედველობასთან დაკავშირებით კოორდინატორის მიერ განსახორციელებელი ამოცანები მოიცავს შემდეგს:</p> <p>(a) შესაბამისი ან ძირითადი ინფორმაციის შეკრებისა და გავრცელების კოორდინაცია მუდმივად და საგანგებო სიტუაციებში, მ.შ. იმ ინფორმაციის გავრცელება, რომელიც მნიშვნელოვანია დარგობრივი წესების წესების შესაბამისად, უფლებამოსილი ორგანოს საზედამხედველო ამოცანისთვის;</p> <p>(b) ფინანსური კონგლომერატის ფინანსური მდგომარეობის ზედამხედველობითი მიმოხილვა და შეფასება;</p> <p>(c) კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ წესებთან შესაბამისობისა და მუხლებში 6, 7 და 8 მოცემული რისკის კონცენტრაციისა და ჯგუფის შიდა გარიგებების შეფასება;</p> <p>(d) ფინანსური კონგლომერატის სტრუქტურის, ორგანიზაციისა და შიდა კონტროლის სისტემის შეფასება, როგორც ეს მოცემულია მე-9 მუხლში;</p> <p>(e) საზედამხედველო საქმიანობების დაგეგმვა და კოორდინაცია მუდმივად, აგრეთვე საგანგებო სიტუაციებში, პროცესში მონაწილე შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან თანამშრომლობით;</p> <p>(f) ის სხვა ამოცანები, ზომები და გადაწყვეტილებები, რომლებიც კოორდინატორისთვის არის მიკუთვნებული წინამდებარე დირექტივით ან რომლებიც გამომდინარეობენ წინამდებარე დირექტივის გამოყენებიდან.</p> <p>ფართო სამართლებრივ საფუძველზე დამატებითი ზედამხედველობის ხელშეწყობისა და დამყარების მიზნით, კოორდინატორმა და დანარჩენმა შესაბამისმა უფლებამოსილმა ორგანოებმა და საჭიროების შემთხვევაში, დანარჩენმა შესაბამისმა</p>	N1	11.1	<p>1. დამატებით ზედამხედველობის ფარგლებში, კოორდინატორის მიერ განსახორციელებელი ამოცანებია:</p> <p>ა) ფინანსურ კონგლომერატში შემავალ საწარმოთა ჩვეულებრივი საქმიანობის ციკლისა და კრიზისული სიტუაციების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის შეგროვება/შეგროვების პროცესის კოორდინაცია და მიწოდება საზედამხედველო ორგანოებისათვის. აღნიშნულში მოიაზრება სხვა ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური), რომელიც მნიშვნელოვანია ეფექტური საზედამხედველო პროცესის წარმართვისათვის;</p> <p>ბ) ფინანსური კონგლომერატის ფინანსური მდგომარეობის მიმოხილვა და შეფასება;</p> <p>გ) ფინანსური კონგლომერატის ამ კანონის მე-6 და მე-7 მუხლების მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება;</p> <p>დ) ფინანსური კონგლომერატის სტრუქტურის, ორგანიზაციული მოწყობისა და შიდა კონტროლის სისტემის შეფასება ამ კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად;</p> <p>ე) საზედამხედველო ქმედებების დაგეგმვა და კოორდინაცია როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის ციკლის, აგრეთვე, კრიზისული სიტუაციების პერიოდებისთვის შესაბამის საზედამხედველო ორგანოებთან თანამშრომლობით;</p> <p>ვ) ამ კანონიდან და დამატებითი ზედამხედველობის მიზნებიდან გამომდინარე სხვა გადაწყვეტილებების მიღება.</p>	სშ	
		N1	11.2	<p>დამატებითი ზედამხედველობის ეფექტურად განხორციელებისა და ხელშეწყობის მიზნით, კოორდინატორმა და შესაბამისმა საზედამხედველო ორგანოებმა უნდა განსაზღვრონ შესაბამისი საკოორდინაციო ზომები. აღნიშნული</p>	ნშ	<p>ამ ცხრილის აღნიშნულ აბზაცში ასახულ პირველ ნაწილთან სრულ შესაბამისობაშია კანონპროექტის მე-11 მუხლის</p>

	<p>უფლებამოსილმა ორგანოებმა უნდა აამოქმედონ კოორდინაციის შესახებ შეთანხმებები. საკოორდინაციო შეთანხმებებით, დამატებითი ამოცანები შეიძლება დაეკისროს კოორდინატორს და ამ საკოორდინაციო შეთანხმებებმა შეიძლება განსაზღვრონ გადაწყვეტილების მიღების პროცესის პროცედურები იმ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს შორის, რომლებიც მითითებულია 3 და 4 მუხლებში, მუხლი 5(4), მუხლი 6, მუხლი 12(2) და მუხლები 16 და 18, და სხვა უფლებამოსილ ორგანოებთან თანამშრომლობის პროცედურები.</p> <p>მე-8 მუხლის და შესაბამისად, (EU) N1093/2010 რეგულაციის, (EU) N1094/2010 რეგულაციის და (EU) N1095/2010 რეგულაციის 56-ე მუხლში მოცემული პროცედურის მიხედვით, ESA-მ, ერთობლივი კომიტეტის მეშვეობით, უნდა შეიმუშაოს ის მეთოდური რეკომენდაციები, რომელთა მიზანია 2006/48/EC დირექტივის 131a მუხლის და 2009/138/EC დირექტივის 248(4) მუხლის მიხედვით საზედამხედველო კოორდინაციის შესახებ შეთანხმებების სისტემატურობასთან დაკავშირებით ზედამხედველობითი პრაქტიკების კონვერგენცია.</p>		<p>საკოორდინაციო ზომები შესაძლოა, განსაზღვრავდეს კოორდინატორისათვის დამატებით ამოცანებსა და საზედამხედველო ორგანოებს შორის გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს ამ კანონის მე-3 და მე-4 მუხლების, მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, მე-6 მუხლის, მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-16 და მე-17 მუხლების გათვალისწინებით.</p>		<p>მე-2 პუნქტი. ხოლო, მე-2 აბზაცის დანარჩენი ნაწილი სავალდებულო/რელევანტური ა მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისათვის, რადგან საუბარია აღნიშნული იურისდიქციის ფარგლებში არსებული უწყებების პოლიტიკა/პროცედურებზე, შესაბამისად იდენტური და რელევანტური ვერ იქნება საქართველოს კონტექსტში.</p>
11.2	<p>კოორდინატორი, როცა მას ესაჭიროება ის ინფორმაცია, რომელიც უკვე მიეწოდა სხვა უფლებამოსილ ორგანოს დარგობრივი წესების შესაბამისად, შესაძლებლობის შემთხვევაში, უნდა დაუკავშირდეს ამ ორგანოს ზედამხედველობის პროცესში მონაწილე სხვადასხვა ორგანოებისთვის ანგარიშგების დუბლირების თავიდან ასაცილებლად.</p>	N1	11.3 <p>კოორდინატორი უფლებამოსილია, დამატებითი ზედამხედველობის პროცესში საჭირო ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური) გამოითხოვოს იმ საზედამხედველო ორგანოსგან, რომელიც აღნიშნულ ინფორმაციას სექტორული ზედამხედველობის წესების შესაბამისად ფლობს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ინფორმაციის მიწოდების პროცესის გაჭიანურება და პროცედურათა დუბლირება.</p>	სშ	

11.3	<p>ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული, კონკრეტული საზედამხებელო კომპეტენციებისა და პასუხისმგებლობების დელეგირების შესაძლებლობის შეუზღუდავად, იმ კოორდინატორის არსებობა, რომელსაც მინდობილი აქვს ფინანსურ კონგლომერატში რეგულირებადი სუბიექტების დამატებით ზედამხედველობასთან დაკავშირებული კონკრეტული ამოცანები, გავლენას არ ახდენს დარგობრივი წესებით გათვალისწინებულ, უფლებამოსილი ორგანოების ამოცანებსა და პასუხისმგებლობებზე.</p>	N1	11.4	<p>კოორდინატორის მიერ დამატებით საზედამხებელო ფუნქციათა განხორციელება არ უნდა აფერხებდეს საზედამხებელო ორგანოების მიერ სექტორული საზედამხებელო ფუნქციების განხორციელებას.</p>	ნშ	<p>დირექტივაში მოცემული ტექსტი ევროკავშირთან მიმართებით მორგებულია ქვეყნის კონტექსტზე შესაბამისი რეგულაციების გათვალისწინებით. დირექტივის აღნიშნული პუნქტის შემდეგი ნაწილი რეგულაციურია მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახლმწიფოებისთვის: „ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული, კონკრეტული საზედამხებელო კომპეტენციებისა და პასუხისმგებლობების დელეგირების შესაძლებლობის შეუზღუდავად“ და შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობაში ასახვა რეგულაციური არ არის.</p>
------	--	----	------	---	----	--

11.4	<p>ამ ნაწილით მოთხოვნილი თანამშრომლობა და ამ მუხლის 1, 2 და 3 პუნქტებში და მე-12 მუხლში ჩამოთვლილი ამოცანები, და კონფიდენციალურობის მოთხოვნების და ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით, სათანადო კოორდინაცია და თანამშრომლობა მესამე ქვეყნის შესაბამის საზედამხებელო ორგანოებთან, საჭიროების შემთხვევაში, უნდა განხორციელდეს კორპორაციების მეშვეობით, რომლებიც დაფუძნებულია 2006/48/EC დირექტივის 131a მუხლის ან 2009/138/EC დირექტივის 248(2) მუხლის მიხედვით.</p> <p>პირველი პუნქტის მეორე ქვეპუნქტში მითითებული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები ცალკე უნდა აისახოს კოორდინაციის შესახებ მოქმედ წერილობით შეთანხმებებში, 2006/48/EC დირექტივის 131-ე მუხლის ან 2009/138/EC დირექტივის 248-ე მუხლის მიხედვით. კოორდინატორმა, როგორც 2006/48/EC დირექტივის 131a მუხლის ან 2009/138/EC დირექტივის 248(2) მუხლის მიხედვით დაფუძნებული კორპორაციის თავმჯდომარემ, უნდა მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რომელი სხვა უფლებამოსილი ორგანოები მონაწილეობენ შეხვედრაში ან ამ კორპორაციის ნებისმიერ ღონისძიებაში.</p>	N1	11 (5 და 6)	<p>5. საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული კონფიდენციალურობის დაცვით, შესაძლოა, ამ კანონით გათვალისწინებული თანამშრომლობა და კოორდინაცია მესამე სახელმწიფოთა საზედამხებელო ორგანოებს შორის, განხორციელდეს საზედამხებელო კოლეჯების მეშვეობით.</p> <p>6. ამ მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული კოორდინაციის მიზნით საზედამხებელო ორგანოებს (მათ შორის, მესამე სახელმწიფოს საზედამხებელო ორგანოებს) შორის შესაძლოა, გაფორმდეს წერილობითი შეთანხმებები, მათ შორის, მემორანდუმები, რომლებშიც დეტალურად იქნება განსაზღვრული საზედამხებელო ორგანოებს შორის საკოორდინაციო და პროცედურული საკითხები. ამასთან, კოორდინატორი, როგორც საზედამხებელო კოლეჯის თავმჯდომარე, განსაზღვრავს კოლეჯის წევრ საზედამხებელო ორგანოებს.</p>	ნშ	<p>ამ დირექტივაში მითითებული აქტები არ არის კანონპროექტში ასახული, ვინაიდან აღნიშნული არ არის სავალდებულო საქართველოსთვის მისი სტატუსიდან გამომდინარე (ევროკავშირის არაწევრი ქვეყანა).</p>
------	---	----	-------------	--	----	--

<p>12.1.</p>	<p>1. ფინანსურ კონგლომერატში რეგულირებადი სუბიექტების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელმა უფლებამოსილმა ორგანოებმა და ამ ფინანსური კონგლომერატის კოორდინატორად დანიშნულმა უფლებამოსილმა ორგანომ ერთმანეთთან მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ. დარგობრივი წესებით განსაზღვრული თავიანთი შესაბამისი პასუხისმგებლობების შეუზღუდავად, ამ ორგანოებმა, იმის მიუხედავად, ისინი ერთსა და იმავე წევრ სახელმწიფოში არიან თუ არა დაფუძნებულები, ერთმანეთს უნდა მიაწოდონ ნებისმიერი ის ინფორმაცია, რომელიც არის უმნიშვნელოვანესი ან შესაბამისი დანარჩენი ორგანოების საზედამხედველო ამოცანების განსახორციელებლად, დარგობრივი წესებისა და წინამდებარე დირექტივის მიხედვით. ამ მხრივ, უფლებამოსილმა ორგანოებმა და კოორდინატორმა, მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარადგინონ ყველა შესაბამისი ინფორმაცია და თავისი საკუთარი ინიციატივით წარადგინონ ყველა აუცილებელი ინფორმაცია.</p> <p>ეს თანამშრომლობა, როგორც მინიმუმ, უნდა ითვალისწინებდეს ქვემოთ მოცემულ საკითხებზე ინფორმაციის შეგროვებასა და გაცვლას:</p> <p>(ა) ჯგუფის სამართლებრივი სტრუქტურისა და მმართველობისა და ორგანიზაციული სტრუქტურის იდენტიფიცირება, მათ შორის, ყველა რეგულირებადი სუბიექტის, არა-რეგულირებადი შვილობილი კომპანიის და მნიშვნელოვანი ფილიალის, რომლებიც მიეკუთვნებიან ფინანსურ კონგლომერატს, კვალიფიციური თანამფლობელები მთავარი მშობელი კომპანიის დონეზე, აგრეთვე ჯგუფში არსებული რეგულირებადი სუბიექტების უფლებამოსილი ორგანოების;</p>	<p>N1</p>	<p>12.1</p> <p>1. ფინანსურ კონგლომერატში რეგულირებულ საწარმოთა ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი საზედამხედველო ორგანოები და ფინანსური კონგლომერატის კოორდინატორი მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან. სექტორული ზედამხედველობის წესების დაურღვევლად, აღნიშნული ორგანოები, ვალდებულნი არიან მიაწოდონ სხვა ორგანოებს ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური), რაც აუცილებელია ან დაკავშირებულია როგორც სექტორული ზედამხედველობის წესებით განსაზღვრული ფუნქციების, ასევე, ამ კანონით გათვალისწინებული ფუნქციების ეფექტურად განხორციელებასთან. საზედამხედველო ორგანოები და კოორდინატორი ერთმანეთს მოთხოვნის შესაბამისად აწვდიან ყველა შესაბამის მოთხოვნილ ინფორმაციას (მათ შორის, კონფიდენციალურს) და, ამასთან, საკუთარი ინიციატივით - ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას. აღნიშნული თანამშრომლობა გულისხმობს ინფორმაციის შეგროვებასა და გაცვლას, სულ მცირე, შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:</p> <p>ა) ჯგუფის სამართლებრივი სტრუქტურისა და მართვის, ასევე, ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ ინფორმაცია, რაც, მათ შორის, მოიცავს რეგულირებული საწარმოების, არარეგულირებული შვილობილი საწარმოებისა და იმ ფილიალების შესახებ ინფორმაციას, რომლებიც მიეკუთვნებიან ფინანსურ კონგლომერატს. ასევე, საბოლოო მშობელი საწარმოს დონეზე მნიშვნელოვანი წილის მფლობელებისა და ჯგუფში შემავალ რეგულირებულ საწარმოთა საზედამხედველო ორგანოების შესახებ ინფორმაცია;</p> <p>ბ) ფინანსური კონგლომერატის სტრატეგიული პოლიტიკა;</p> <p>გ) ფინანსური კონგლომერატის ფინანსური მდგომარეობა, კერძოდ, კაპიტალის ადეკვატურობის/გადახდისუნარიანობის მარჟის,</p>	<p>სშ</p>	
--------------	--	-----------	--	-----------	--

<p>(b) ფინანსური კონგლომერატის სტრატეგიული პოლიტიკა;</p> <p>(c) ფინანსური კონგლომერატის ფინანსური სიტუაცია, კერძოდ, კაპიტალის ადექვატურობის, ჯგუფის შიდა გარიგებების, რისკის კონცენტრაციისა და სარგებლიანობის შესახებ;</p> <p>(d) ფინანსური კონგლომერატის მთავარი აქციონერები და მართვა;</p> <p>(e) ორგანიზაცია, რისკის მართვა და შიდა კონტროლის სისტემები ფინანსური კონგლომერატის დონეზე;</p> <p>(f) ფინანსურ კონგლომერატში სუბიექტებისგან ინფორმაციის შეგროვების პროცედურები, და ამ ინფორმაციის ვერიფიკაცია;</p> <p>(g) რეგულირებად სუბიექტებში ან ფინანსური კონგლომერატის სხვა სუბიექტებში იმ მოვლენათა უარყოფითად განვითარება, რომლებსაც შეუძლიათ სერიოზულად დააზარალონ რეგულირებადი სუბიექტები;</p> <p>(h) მნიშვნელოვანი სანქციები და განსაკუთრებული ზომები, მიღებული უფლებამოსილი ორგანოების მიერ დარგობრივი წესების ან წინამდებარე დირექტივის შესაბამისად.</p> <p>უფლებამოსილ ორგანოებს აგრეთვე შეუძლიათ შემდეგ ორგანოებთან გაცვალონ ის ინფორმაცია, რომელიც შეიძლება საჭირო იყოს მათი შესაბამისი ამოცანების შესასრულებლად, ფინანსურ კონგლომერატში არსებულ რეგულირებად სუბიექტებთან დაკავშირებით, დარგობრივ წესებში განსაზღვრული დებულებების შესაბამისად: ცენტრალურ ბანკებთან, ცენტრალური ბანკების ევროპულ სისტემასთან, ევროპის ცენტრალურ ბანკთან და ევროპის სისტემური რისკის საბჭოსთან, საფინანსო სისტემის ევროკავშირის მაკრო-გონივრული ზედამხედველობის შესახებ და ევროპის</p>		<p>შიდაჯგუფური ტრანზაქციების, რისკის კონცენტრაციისა და მომგებიანობის ჭრილში;</p> <p>დ) ფინანსური კონგლომერატის მნიშვნელოვანი წილის მფლობელების და მმართველობის შესახებ;</p> <p>ე) ფინანსური კონგლომერატის დონეზე ორგანიზაციული მოწყობა, რისკების მართვა და შიდა კონტროლის სისტემები;</p> <p>ვ) ფინანსურ კონგლომერატში შემავალ საწარმოთაგან ინფორმაციის მოპოვების პროცედურები და აღნიშნული ინფორმაციის სისწორის დადასტურება (ვერიფიკაცია);</p> <p>ზ) ფინანსურ კონგლომერატში შემავალ რეგულირებულ და სხვა საწარმოთა უარყოფითი ცვლილებები, რომელთაც არსებითი გავლენის მოხდენა შეუძლია რეგულირებულ საწარმოებზე;</p> <p>თ) საზედამხედველო ორგანოთა სექტორული ზედამხედველობის წესების ან ამ კანონის დარღვევისთვის დაწესებული მნიშვნელოვანი სანქციები და სხვა საგამონაკლისო საზედამხედველო ზომები.</p>	<p>ას</p>	<p>რელევანტურია მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის, ვინაიდან ადგენს ევროკავშირის ინსტიტუტების ვალდებულებებს, შესაბამისად, საქართველოში და შესაბამისი კანონით ვერ იქნება შესრულებული.</p>
---	--	--	-----------	--

სისტემური რისკის საბჭოს დამფუძნებელი, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010 წლის 24 ნოემბრის (EU) N1092/2010 რეგულაციის მე-15 მუხლის შესაბამისად.					
---	--	--	--	--	--

12.2.	<p>დარგობრივი წესებით განსაზღვრული თავიანთი პასუხისმგებლობების შეუზღუდავად, შესაბამისმა უფლებამოსილმა ორგანოებმა თავიანთი გადაწყვეტილების მიღებამდე ერთმანეთს უნდა გაუწიონ კონსულტაცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში, როცა ეს გადაწყვეტილებები მნიშვნელოვანია სხვა უფლებამოსილი ორგანოების საზედამხედველო ამოცანებისთვის:</p> <p>(a) ცვლილებები ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებადი სუბიექტების აქციონერების შემადგელობაში, ორგანიზაციულ ან მმართველობით სტრუქტურაში, რაც საჭიროებს შესაბამისი ორგანოების თანხმობას ან ავტორიზაციას;</p> <p>(b) უფლებამოსილი ორგანოების მიერ მიღებული მნიშვნელოვანი სანქციები ან განსაკუთრებული ზომები.</p> <p>უფლებამოსილ ორგანოს უფლება აქვს, მიიღოს გადაწყვეტილება კონსულტაციის არ გაწევის შესახებ გადაუდებელ ან შემთხვევებში, როცა ამ კონსულტაციამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას გადაწყვეტილებების ეფექტიანობას. ამ შემთხვევაში, უფლებამოსილმა ორგანომ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს დანარჩენ უფლებამოსილ ორგანოებს.</p>	N1	12.2	<p>2. სექტორული ზედამხედველობის წესებით განსაზღვრული შესაბამისი საზედამხედველო უფლებამოსილებათა შეზღუდვის გარეშე, საზედამხედველო ორგანოები გადაწყვეტილების მიღებამდე, ერთმანეთთან გადიან კონსულტაციას თუ აღნიშნული გადაწყვეტილებები მნიშვნელოვანია სხვა საზედამხედველო ორგანოს საზედამხედველო ფუნქციათა შესრულებისთვის, მათ შორის შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:</p> <p>ა) ფინანსურ კონგლომერატში შემავალ რეგულირებულ საწარმოთა მფლობელობის, ორგანიზაციულ ან/და მმართველობით სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებები, რაც მოითხოვს საზედამხედველო ორგანოთა თანხმობას ან ნებართვის/ლიცენზიის გაცემას;</p> <p>ბ) საზედამხედველო ორგანოების მიერ მიღებული მნიშვნელოვანი სანქციები და სხვა საგამონაკლისო საზედამხედველო ზომები.</p>	სშ	
	<p>უფლებამოსილ ორგანოს უფლება აქვს, მიიღოს გადაწყვეტილება კონსულტაციის არ გაწევის შესახებ გადაუდებელ ან შემთხვევებში, როცა ამ კონსულტაციამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას გადაწყვეტილებების ეფექტიანობას. ამ შემთხვევაში, უფლებამოსილმა ორგანომ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს დანარჩენ უფლებამოსილ ორგანოებს.</p>	N1	12.3	<p>3. გადაუდებელ შემთხვევებში, საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია, კონსულტაციის გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება, თუ დაყოვნებამ შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას გადაწყვეტილებათა ეფექტურობას ან/და დამატებითი ზედამხედველობის მიზნებს. საზედამხედველო ორგანო ამის თაობაზე დაუყოვნებლივ ატყობინებს სხვა საზედამხედველო ორგანოებს.</p>		

12.3	<p>კოორდინატორს უფლება აქვს, მიიწვიოს კომპეტენტური ორგანოები იმ წევრი სახელმწიფოებიდან, რომელშიც მშობელი კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს და რომლებიც თავად არ ახორციელებენ დამატებით ზედამხედველობას მე-10 მუხლის შესაბამისად, სთხოვოს მშობელ საწარმოს ის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც შესაბამისი იქნებოდა მე-11 მუხლით განსაზღვრული საკოორდინაციო ამოცანების განსახორციელებლად, და მისი კოორდინატორისთვის გადაცემა.</p> <p>იმ შემთხვევაში, როცა 14(2) მუხლში მითითებული ინფორმაცია უკვე მიეწოდა უფლებამოსილ ორგანოს დარგობრივი წესების შესაბამისად, დამატებითი ზედამხედველობის განხორციელებაზე პასუხისმგებელ უფლებამოსილ ორგანოებს უფლება აქვთ, ინფორმაციის მისაღებად მიმართონ პირველად ნახსენებ ორგანოს.</p>	N1	12 (4 და 5)	<p>4. კოორდინატორი უფლებამოსილია, ითანამშრომლოს იმ მესამე სახელმწიფოს საზედამხედველო ორგანოსთან, სადაც ფინანსური კონგლომერატის მშობელ საწარმოს აქვს სათავე ოფისი, თუმცა, ეს საზედამხედველო ორგანო არ წარმოადგენს დამატებითი ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოს. აღნიშნული თანამშრომლობა მოიცავს ასევე აღნიშნული საზედამხედველო ორგანოს მიერ მშობელი საწარმოსგან ისეთი ინფორმაციის გამოთხოვას, რაც შესაძლოა, საჭირო იყოს ამ კანონის მე-11 მუხლით გათვალისწინებული ამოცანების განსახორციელებლად და გადასცეს აღნიშნული ინფორმაცია კოორდინატორს.</p> <p>5. თუ რომელიმე საზედამხედველო ორგანოს ამ კანონის მე-14 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია უკვე მიეწოდა სექტორული ზედამხედველობის წესების შესაბამისად, მეორე საზედამხედველო ორგანო, რომელიც ახორციელებს დამატებით ზედამხედველობას, უფლებამოსილია, გამოითხოვოს აღნიშნული ინფორმაცია შესაბამისი საზედამხედველო ორგანოსგან.</p>	სშ	
------	---	----	-------------	---	----	--

12.4	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გასცენ თავიანთ უფლებამოსილ ორგანოებს შორის და თავიანთ უფლებამოსილ ორგანოებსა და სხვა ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლის უფლება, როგორც ეს მითითებულია 1, 2 და 3 პუნქტებში. ფინანსურ კონგლომერატში არსებულ იმ სუბიექტთან დაკავშირებით, რომელიც არ არის რეგულირებადი სუბიექტი, ინფორმაციის შეგროვება ან ფლობა არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს იმას, რომ უფლებამოსილ ორგანოებს მოეთხოვებათ დამოუკიდებელ საფუძველზე ამ ორგანოებთან მიმართებაში საზედამხედველო როლის შესრულება.</p> <p>დამატებითი ზედამხედველობის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია და კერძოდ, უფლებამოსილ ორგანოებს შორის და უფლებამოსილ ორგანოებსა და სხვა ორგანოებს შორის ინფორმაციის ნებისმიერი გაცვლა, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე დირექტივით, ექვემდებარება დარგობრივი წესებით განსაზღვრულ დებულებებს პროფესიული საიდუმლოებისა და კონფიდენციალური ინფორმაციის გადაცემის შესახებ.</p>	N1	12.6	<p>ფინანსურ კონგლომერატში შემავალ ნებისმიერ არარეგულირებად საწარმოსთან დაკავშირებული ინფორმაციის ფლობა ან შეგროვება არ გულისხმობს საზედამხედველო ორგანოთა მხრიდან, აღნიშნულ საწარმოთა მიმართ ინდივიდუალურ დონეზე ზედამხედველობის განხორციელებას. ამასთან, ინფორმაცია, რომელიც მიღებულია დამატებითი ზედამხედველობის განხორციელების მიზნით, კერძოდ, საზედამხედველო ორგანოებსა და საზედამხედველო ორგანოსა და სხვა ორგანოებს შორის, უნდა დაექვემდებაროს სექტორული ზედამხედველობის წესებს პროფესიული საიდუმლოებისა და კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ.</p>	სშ	
12a	<p>1. უფლებამოსილმა ორგანოებმა უნდა ითანამშრომლონ ერთობლივ კომიტეტთან წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის, (EU) N1093/2010 რეგულაციის, (EU) N1094/2010 რეგულაციისა და (EU) N1095/2010 რეგულაციის შესაბამისად.</p> <p>2. უფლებამოსილმა ორგანოებმა დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ ერთობლივ კომიტეტს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია მისი მოვალეობების განსახორციელებლად (EU) N1093/2010 რეგულაციის, (EU) N1094/2010</p>				ას	<p>სავალდებულოა მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის, რადგან საუბარია აღნიშნულ იურისდიქციაში არსებულ ინსტიტუციაზე, რაც საქართველოსთვის რელევანტური ვერ იქნება ამ ეტაპზე, მისი სტატუსიდან გამომდინარე.</p>

	<p>რეგულაციისა და (EU) N1095/2010 რეგულაციის 35-ე მუხლის თანახმად.</p> <p>3. კოორდინატორებმა ერთობლივ კომიტეტს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია, რომელიც მითითებულია 9(4) მუხლის (ა) ქვეპუნქტში და 12(1) მუხლის მე-2 ქვეპუნქტში. ერთობლივმა კომიტეტმა უფლებამოსილი ორგანოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ფინანსური კონგლომერატების სამართლებრივ სტრუქტურასთან, მმართველობასა და ორგანიზაციულ სტრუქტურასთან დაკავშირებული ინფორმაცია.</p>				
12b	<p>1. ერთობლივი კომიტეტის მეშვეობით, ESA-მ უნდა შეიმუშაოს საერთო მეთოდური რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ უფლებამოსილმა ორგანომ როგორ უნდა განახორციელოს ფინანსური კონგლომერატების რისკზე დამყარებული შეფასებები. კერძოდ, ამ მეთოდურმა რეკომენდაციებმა უნდა უზრუნველყონ, რომ რისკზე დამყარებული შეფასებები მოიცავდნენ სათანადო ინსტრუმენტებს ფინანსური კონგლომერატებისთვის შექმნილი ჯგუფის რისკების შესაფასებლად.</p> <p>2. ერთობლივი კომიტეტის მეშვეობით, ESA-მ უნდა გასცეს საერთო მეთოდური რეკომენდაციები, რომელთა მიზანია იმ საზედამხედველო პრაქტიკების შემუშავება, რომლებიც იძლევა შესაძლებლობას, რომ შერეული ფინანსური ჰოლდინგური კომპანიების დამატებითმა ზედამხედველობამ სათანადოდ შეავსოს ჯგუფის ზედამხედველობა დირექტივების 98/78/EC და 2009/138/EC მიხედვით, ან საჭიროების შემთხვევაში, კონსოლიდირებული ზედამხედველობა 2006/48/EC დირექტივის მიხედვით. ამ მეთოდური რეკომენდაციებით შესაძლებელი უნდა იყოს</p>				<p>ას</p> <p>სავალდებულოა მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის, რადგან საუბარია აღნიშნულ იურისდიქციაში არსებულ ინსტიტუციაზე, რაც საქართველოსთვის რელევანტური ვერ იქნება ამ ეტაპზე, მისი სტატუსიდან გამომდინარე.</p>

	ყველა შესაბამისი რისკის ჩართვა ზედამხედველობაში, და ამასთან, პოტენციური ზედამხედველობითი ან გონივრული დუბლირებების თავიდან აცილება.					
13	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მოითხოვონ, რომ იმ პირებს, რომლებიც ევექტიანად წარმართავენ შერეული ფინანსური ჰოლდინგური კომპანიების საქმიანობას, ჰქონდეთ საკმარისად კარგი რეპუტაცია და საკმარისი გამოცდილება ამ ვალდებულებების შესასრულებლად.	N1	13	შერეული ფინანსური ჰოლდინგური საწარმოს მმართველობითი ფუნქციების განმახორციელებელ პირებს, რომლებიც უშუალოდ წარმართავენ საწარმოს საქმიანობას უნდა გააჩნდეთ კარგი რეპუტაცია და დაკისრებული მოვალეობების შესრულებისთვის საკმარისი გამოცდილება.	სშ	
14.1	წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათ იურისდიქციაში არ არსებობდეს ისეთი სამართლებრივი ბარიერები, რომლებიც ხელს შეუშლის დამატებითი ზედამხედველობის მოქმედების სფეროში შემავალ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, იმის მიუხედავად, ისინი არიან თუ არა რეგულირებადი სუბიექტები, ერთმანეთთან გაცვალონ ის ნებისმიერი ინფორმაცია, რომლებიც შესაბამისი იქნებოდა დამატებითი ზედამხედველობის მიზნებისთვის, და გაცვალონ ინფორმაცია წინამდებარე დირექტივის შესაბამისად, და ESA-სთან, შესაბამისად (EU) N1093/2010 რეგულაციის, (EU) N1094/2010 რეგულაციისა და (EU) N1095/2010 რეგულაციის 35-ე მუხლის თანამხად, საჭიროების შემთხვევაში, ერთობლივი კომიტეტის მეშვეობით.				ას	სავალდებულოა მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის, რადგან საუბარია აღნიშნულ იურისდიქციაში არსებულ ინსტიტუციაზე, რაც საქართველოსთვის რელევანტური ვერ იქნება ამ ეტაპზე, მისი სტატუსიდან გამომდინარე.

14.2	<p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ფინანსურ კონგლომერატში არსებულ სუბიექტებთან მოლაპარაკების დაწყებისას, იმის მიუხედავად, არიან ისინი რეგულირებადი თუ არა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, დამატებითი ზედამხედველობის განხორციელებაზე პასუხისმგებელ მათ უფლებამოსილ ორგანოებს წვდომა ჰქონდეთ იმ ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელიც შესაბამისი იქნებოდა დამატებითი ზედამხედველობის მიზნებისთვის.</p>	N1	14	<p>დამატებითი ზედამხედველობის ეფექტურად განსახორციელებლად საზედამხედველო ორგანოები უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაცია) ფინანსურ კონგლომერატში შემავალი საწარმოებისგან, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა რეგულირებული საწარმოები.</p>	სშ	
15	<p>იმ შემთხვევაში, როცა წინამდებარე დირექტივის გამოყენებისას უფლებამოსილ ორგანოებს სურთ კონკრეტულ შემთხვევებში გადაამოწმონ იმ სუბიექტის (იმის მიუხედავად, იქნება ის რეგულირებადი თუ არარეგულირებადი) შესახებ ინფორმაცია, რომელიც არის ფინანსური კონგლომერატის შემადგენლობაში და მდებარეობს სხვა წევრ სახელმწიფოში, მათ უნდა სთხოვონ ამ სხვა წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოებს ამ გადამოწმების განხორციელება.</p> <p>იმ ორგანოებმა, რომლებიც ამის შესახებ თხოვნას მიიღებენ, თავიანთი კომპეტენციების ფარგლებში უნდა მიიღონ სათანადო ზომები და ან თავად განახორციელონ გადამოწმება აუდიტორის ან ექსპერტის მეშვეობით, ან მოთხოვნის წარმდგენ ორგანოს უნდა მისცენ შესაძლებლობა, თავად განახორციელოს ის.</p> <p>ამ მოთხოვნის წარმდგენ უფლებამოსილ ორგანოს, სურვილის შემთხვევაში, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს გადამოწმების პროცესში, როცა ის ამ გადამოწმებას თავად არ ახორციელებს.</p>	N1	15	<p>1. საზედამხედველო ორგანომ შესაძლოა, მოითხოვოს ინფორმაციის სისწორის დადასტურება (ვერიფიკაცია) ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელი მესამე სახელმწიფოს საზედამხედველო ორგანოსგან ფინანსურ კონგლომერატში შემავალი საწარმოს შესახებ (როგორც რეგულირებული, ისე არარეგულირებული). ის საზედამხედველო ორგანო, რომელსაც მეორე საზედამხედველო ორგანო მიმართავს ინფორმაციის სისწორის დადასტურების (ვერიფიკაციის) მიზნით, ვალდებულია, თავად დაადასტუროს ინფორმაციის სისწორე ან ამ მიზნით მიმართოს აუდიტორს/ექსპერტს ან დადასტურების (ვერიფიკაციის) მომთხოვნ საზედამხედველო ორგანოს მისცეს შესაძლებლობა, თვითონ განახორციელოს ინფორმაციის სისწორის შემოწმება.</p> <p>2. საზედამხედველო ორგანო, რომელიც ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მოითხოვს ინფორმაციის სისწორის დადასტურებას (ვერიფიკაციას), უფლებამოსილია, მოითხოვოს ინფორმაციის სისწორის დადასტურების (ვერიფიკაციის) პროცესში ჩართვა.</p>	სშ	

<p>16</p>	<p>თუ ფინანსურ კონგლომერატში რეგულირებადი სუბიექტები არ ასრულებენ მუხლების 6-9 მოთხოვნებს ან იმ შემთხვევაში, როცა მოთხოვნები სრულდება, მაგრამ გადახდისუნარიანობას მაინც შეიძლება საფრთხე შეექმნას ან ჯგუფის შიდა გარიგებებმა ან რისკის კონცენტრაციებმა საფრთხე შეუქმნან რეგულირებადი სუბიექტების ფინანსურ მდგომარეობას, საჭირო გახდება აუცილებელი ზომების მიღება მდგომარეობის შეძლებისდაგვარად სწრაფად გამოსწორების მიზნით:</p> <ul style="list-style-type: none"> - კოორდინატორის მიერ, შერეულ ფინანსურ ჰოლდინგურ კომპანიასთან დაკავშირებით, - უფლებამოსილი ორგანოების მიერ რეგულირებად სუბიექტებთან დაკავშირებით; ამ მიზნით, კოორდინატორმა უფლებამოსილ ორგანოებს უნდა აცნობოს თავისი მიგნებების შესახებ. <p>მე-17(2) მუხლის დაურღვევლად, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ განსაზღვრონ ის ზომები, რომლებიც შეიძლება მიიღონ უფლებამოსილმა ორგანოებმა შერეულ ფინანსურ ჰოლდინგურ კომპანიასთან დაკავშირებით. შესაბამისად (EU) N1093/2010 რეგულაციის, (EU) N1094/2010 რეგულაციისა და (EU) N1095/2010 რეგულაციის მე-16 და 56-ე მუხლების მიხედვით, ESA-ს, ერთობლივი კომიტეტის მეშვეობით, უფლება აქვს შეიმუშაოს ზომების მეთოდური რეკომენდაციები შერეულ ფინანსურ ჰოლდინგურ კომპანიებთან დაკავშირებით.</p> <p>პროცესში მონაწილე უფლებამოსილმა ორგანოებმა, კოორდინატორის ჩათვლით, საჭიროების შემთხვევაში, კოორდინირება უნდა</p>	<p>N1</p>	<p>16</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებადი საწარმოს მიერ ამ კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნების შესრულების მიუხედავად, საწარმოს კაპიტალის პოზიციას საფრთხე ემუქრება ან შიდაჯგუფური ტრანზაქციები და რისკის კონცენტრაცია საფრთხეს უქმნის რეგულირებად საწარმოთა ფინანსურ პოზიციას, საზედამხედველო ორგანომ შესაძლოა, დამოუკიდებლად ან კოორდინატორის მოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით, მიიღოს ერთი ან რამდენიმე სექტორული ზედამხედველობის წესებით გათვალისწინებული საზედამხედველო ზომა, ასევე, რეგულირებადი საწარმოს მიმართ გამოიყენოს სექტორული ზედამხედველობის წესებით გათვალისწინებული სანქცია. 2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, კოორდინატორი თითოეულ საზედამხედველო ორგანოს შეატყობინებს მოკვლევის შედეგებს, რის საფუძველზეც საზედამხედველო ორგანო სექტორული ზედამხედველობის წესების შესაბამისად გამოიყენებს ერთ ან რამდენიმე საზედამხედველო ზომას, ასევე, სანქციას მისი რეგულირების სფეროში მოქცეული საწარმოს მიმართ. 3. საზედამხედველო ორგანოებმა, მათ შორის კოორდინატორმა, საჭიროებისამებრ, უნდა უზრუნველყონ საზედამხედველო ქმედებების კოორდინაცია. 	<p>სშ</p>	
-----------	--	-----------	-----------	--	-----------	--

	გაუწიონ თავიანთი ზედამხედველობის ღონისძიებებს.					
--	--	--	--	--	--	--

17	<p>1. დარგობრივ წესებს შორის შემდგომ ჰარმონიზაციამდე, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათ უფლებამოსილ ორგანოებს ჰქონდეთ ის უფლებამოსილება, რომელიც უკავშირდება იმ ნებისმიერ საზედამხედველო ზომას, რომელიც აუცილებლად მიიჩნევა ფინანსური კონგლომერატის რეგულირებადი სუბიექტების მიერ დარგობრივი წესებისთვის გვერდის ავლის თავიდან აცილებისთვის ან მის დასარეგულირებლად.</p> <p>2. თავიანთი სისხლის სამართლის დებულებების შეუზღუდავად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შესაძლებელი იყოს იმ ჯარიმების ან ზომების, რომელთა მიზანია დაფიქსირებული დარღვევების ან ამ დარღვევების მიზეზების აღკვეთა, დაკისრება შერეულ ფინანსურ ჰოლდინგურ კომპანიებზე ან მათ იმ ეფექტიან მმართველებზე, რომლებიც არღვევენ წინამდებარე დირექტივის განხორციელების მიზნით ძალაში შესულ კანონებს, რეგულაციების ან ადმინისტრაციულ დებულებებს. გარკვეულ შემთხვევებში, ეს ზომები შეიძლება მოითხოვდნენ სასამართლოების ჩარევას. უფლებამოსილმა ორგანოებმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამ სასჯელებმა ან ზომებმა სასურველი შედეგი გამოიღონ.</p>	N1	17	<p>1. ფინანსურ კონგლომერატში შემავალი რეგულირებული საწარმოების მიერ კანონის მოთხოვნებისათვის გვერდის ავლის გამორიცხვის ან აღკვეთის მიზნით საზედამხედველო ორგანოებს უფლება აქვთ სექტორული კანონმდებლობის შესაბამისად მიიღონ ნებისმიერი საზედამხედველო ზომა ან/და სანქცია.</p> <p>2. საზედამხედველო ორგანოებმა აქტიურად უნდა ითანამშრომლონ ადეკვატური და ეფექტური საზედამხედველო ზომის მიღების/სანქციის დაკისრებისას.</p>	ნშ	<p>კანონპროექტი დირექტივის 17.2 მუხლის ბოლო ნაწილთან სრულად შეესაბამისობაშია. არარელევანტურია ჯარიმების და სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი მოწესრიგების შესაძლო კონფლიქტის რისკის ნაწილის გაწერა. აღნიშნული კანონის საქართველოში აღსრულების გეგმა მოიცავს იმ სექტორული წესების მანდატის გათვალისწინებას, რაც საქართველოს კანონმდებლობით არის გათვალისწინებული. აღნიშნული კუთხით დანერგილი პრაქტიკის და მოწესრიგების სრულიად მოდიფიცირება არ არის ამ ეტაპზე მიზანშეწონილი.</p>
----	---	----	----	---	----	--

<p>18.1</p>	<p>დარგობრივი წესების შეუზღუდავად, იმ შემთხვევაში, როცა გამოიყენება 5(3) მუხლი, უფლებამოსილმა ორგანოებმა უნდა გადაამოწმონ, რეგულირებადი სუბიექტები, რომლის მშობელი საწარმოს სათაო ოფისი მდებარეობს მესამე ქვეყანაში, ექვემდებარება თუ არა იმ ზედამხედველობას ამ მესამე ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რომელიც ექვივალენტურია წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული ზედამხედველობისა, 5(2) მუხლში მითითებული რეგულირებადი სუბიექტების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ. ვერიფიკაცია უნდა განახორციელოს იმ უფლებამოსილმა ორგანომ, რომელიც იქნებოდა კოორდინატორი, 10(2) მუხლში მოცემული კრიტერიუმები რომ გამოიყენებოდეს, მშობელი საწარმოს ან ევროკავშირში უფლებამოსილი რომელიმე რეგულირებადი სუბიექტის მოთხოვნით ან თავისი საკუთარი ინიციატივით.</p> <p>ამ უფლებამოსილმა ორგანომ კონსულტაცია უნდა გაიაროს დანარჩენ უფლებამოსილ ორგანოებთან, და ყველა ზომას უნდა მიმართოს იმ ნებისმიერი მოქმედი მეთოდური რეკომენდაციის შესასრულებლად, რომელიც მომზადებულია ერთობლივი კომიტეტის მეშვეობით, შესაბამისად (EU) N1093/2010 რეგულაციის, (EU) N1094/2010 რეგულაციისა და (EU) N1095/2010 რეგულაციის მე-16 და 56-ე მუხლების მიხედვით.</p>	<p>N1</p>	<p>18.1</p>	<p>სექტორული ზედამხედველობის წესების დაურღვევლად, ამ კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის შესრულების მიზნით, საზედამხედველო ორგანომ უნდა შეამოწმოს, არიან თუ არა ის რეგულირებადი საწარმოები, რომელთა მშობელ საწარმოებსაც სათაო ოფისი მესამე სახელმწიფოში აქვთ, დამატებითი ზედამხედველობის ექვივალენტურ ზედამხედველობას დაქვემდებარებულნი მესამე სახელმწიფოს საზედამხედველო ორგანოს მხრიდან (ექვივალენტური ზედამხედველობა) ამ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ანალოგიურად. აღნიშნული იმ საზედამხედველო ორგანომ უნდა შეაფასოს, რომელიც ამ კანონის მე-10 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე ფინანსური კონგლომერატის კოორდინატორი იქნებოდა, აღნიშნული ჯგუფი ფინანსურ კონგლომერატად რომ ყოფილიყო ცნობილი. შესაბამისი ინფორმაციის სისწორის დადასტურების (ვერიფიკაციის) ინიციატორი შესაძლოა იყოს მშობელი საწარმო, ფინანსურ კონგლომერატში შემავალი ნებისმიერი რეგულირებადი საწარმო ან უშუალოდ აღნიშნული საზედამხედველო ორგანო.</p>	<p>ნშ</p>	<p>დირექტივის ამ პუნქტის ბოლო აბზაცში მითითებულია "მეთოდური რეკომენდაციის შესასრულებლად, რომელიც მომზადებულია ერთობლივი კომიტეტის მეშვეობით, შესაბამისად (EU) N1093/2010 რეგულაციის, (EU) N1094/2010 რეგულაციისა და (EU) N1095/2010 რეგულაციის მე-16 და 56-ე მუხლების მიხედვით." აღნიშნული რეგულაციები საქართველოსთვის რელევანტური არ არის.</p>
-------------	--	-----------	-------------	--	-----------	---

18.1a	იმ შემთხვევაში, როცა უფლებამოსილი ორგანო არ ეთანხმება სხვა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ პირველი პუნქტის შესაბამისად მიღებულ გადაწყვეტილებას, გამოიყენება, შესაბამისად, (EU) N1093/2010 რეგულაციის, (EU) N1094/2010 რეგულაციისა და (EU) N1095/2010 რეგულაციის მე-19 მუხლი.				ას	სავალდებულოა მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის, რადგან საუბარია აღნიშნულ იურისდიქციაში არსებულ ინსტიტუციაზე და შესაბამის პროცედურებზე, რაც საქართველოსთვის რელევანტური ვერ იქნება ამ ეტაპზე, მისი სტატუსიდან გამომდინარე.
18.2	პირველ პუნქტში მითითებული ექვივალენტური ზედამხედველობის არარსებობისას, წევრმა სახელმწიფოებმა რეგულირებადი სუბიექტების მიმართ, ანალოგიით, უნდა გამოიყენონ 5(2) მუხლში მითითებული რეგულირებადი სუბიექტების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ დებულებები. ალტერნატივის სახით, უფლებამოსილ ორგანოებს შეუძლიათ გამოიყენონ მე-3 პუნქტში მოცემული ერთ-ერთი მეთოდი.	N1	18.3	ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ექვივალენტური დამატებითი ზედამხედველობის არარსებობის შემთხვევაში, შესაძლოა, ანალოგიის პრინციპით, რეგულირებულ საწარმოთა მიმართ დამატებითი ზედამხედველობა განხორციელდეს ან გამოყენებულ იქნას ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები.	ნშ	ამ დირექტივის ფორმულირებაში მითითება მე-3 პუნქტზე არ არის კანონპროექტში მისი არარელევანტურობიდან გამომდინარე.

18.3	<p>უფლებამოსილ ორგანოებს შეუძლიათ გამოიყენონ ის სხვა მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფინანსურ კონგლომერატში რეგულირებადი სუბიექტების სათანადო დამატებით ზედამხედველობას. ეს მეთოდები უნდა შეთანხმდეს კოორდინატორთან, სხვა შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან კონსულტაციის გავლის შემდეგ. კერძოდ, უფლებამოსილ ორგანოებს შეუძლიათ მოითხოვონ იმ შერეული ფინანსური ჰოლდინგური კომპანიის დაფუძნება, რომლის სათაო ოფისი მდებარეობს ევროკავშირში, და წინამდებარე დირექტივა გამოიყენონ იმ ფინანსური კონგლომერატის რეგულირებადი სუბიექტების მიმართ, რომელსაც ეს ჰოლდინგური კომპანია ხელმძღვანელობს. უფლებამოსილმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ამ მეთოდებით დამატებითი ზედამხედველობის მიზნის მიღწევა წინამდებარე დირექტივის ფარგლებში და ამის შესახებ აცნობონ პროცესში ჩართულ დანარჩენ უფლებამოსილ ორგანოებსა და ევროკომისიას.</p>	N1	18.4	<p>საჭიროების შემთხვევაში, საზედამხედველო ორგანოები უფლებამოსილნი არიან, გამოიყენონ სხვა, ამ კანონისაგან განსხვავებული, სექტორული საზედამხედველო წესებით გათვალისწინებული ღონისძიებები დამატებითი ზედამხედველობის მიზნებისათვის. თითოეული საზედამხედველო ღონისძიების გამოყენება შეთანხმებული უნდა იყოს კოორდინატორთან, რომელიც, თავის მხრივ, გაივლის კონსულტაციას სხვა საზედამხედველო ორგანოებთან. საზედამხედველო ორგანოები მუდმივად უნდა უზრუნველყოფდნენ აღნიშნული მეთოდების შესაბამისობას დამატებითი ზედამხედველობის მიზნებთან და მათ შესახებ ინფორმაციის მუდმივად მიწოდებას სხვა საზედამხედველო ორგანოებისათვის.</p>	ნშ	<p>ამოღებულია ამ დირექტივის მითითება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში სუბიექტის მდებარეობასთან დაკავშირებით მისი არარელევანტურობიდან გამომდინარე საქართველოს კონტექსტში.</p>
19	<p>2006/48/EC დირექტივის 39(1) და (2) მუხლი, 98/78/EC დირექტივის 10a მუხლი და 2009/138/EC დირექტივის 264-ე მუხლი გამოყენებულ უნდა იქნეს, სათანადო შესწორებების შეტანით, ერთ ან მეტ მესამე ქვეყანასთან ფინანსური კონგლომერატის რეგულირებადი სუბიექტების დამატებითი ზედამხედველობის განხორციელების საშუალებების შესახებ შეთანხმებებთან დაკავშირებული მოლაპარაკების მიმართ.</p>				ას	<p>სავალდებულოა მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის, აღნიშნული კომუნიკაცია საქართველოსთვის რელევანტური ვერ იქნება.</p>

20	<p>კომისიას უნდა მიენიჭოს უფლებამოსილება, მიიღოს დელეგირებული აქტები 21c მუხლის შესაბამისად იმ ტექნიკური შესწორებების შესახებ, რომლებიც უნდა შევიდეს წინამდებარე დირექტივაში შემდეგ სფეროებში:</p> <p>(a) მე-2 მუხლში მოცემული ცნებების უფრო ზუსტი ფორმულირება წინამდებარე დირექტივის გამოყენებისთვის ფინანსურ ბაზრებზე განვითარებული მოვლენების გათვალისწინების მიზნით;</p> <p>(b) წინამდებარე დირექტივის ტერმინოლოგიის ჰარმონიზაცია და ცნებების ჩამოყალიბება რეგულირებადი სუბიექტებისა და შესაბამისი საკითხების შესახებ ევროკავშირის შემდგომი აქტების საფუძველზე;</p> <p>(c) I დანართში მოცემული გაანგარიშების წესების უფრო ზუსტი განმარტება ფინანსურ ბაზრებზე განვითარებული მოვლენებისა და გონივრული მეთოდების გათვალისწინების მიზნით.</p> <p>ეს ზომები არ უნდა მოიცავდნენ იმ უფლებამოსილების საგანს, რომელიც დელეგირებულია და გადაცემულია ევროკომისიისთვის 21a მუხლში ჩამოთვლილ საკითხებთან დაკავშირებით.</p>				ას	<p>სავალდებულოა ევროკავშირის ქვეყნებისთვის, საუბარია იურისდიქციაში ინსტიტუციაზე, საქართველოსთვის რელევანტური ვერ იქნება ამ ეტაპზე, მისი სტატუსიდან გამომდინარე.</p> <p>მხოლოდ წევრი რაღაც ალნიშნულ არსებულ რაც</p>
21.1	<p>ევროკომისიას დახმარება უნდა გაუწიოს ფინანსური კონგლომერატების კომიტეტმა, რომელიც ამიერიდან მოიხსენიება, როგორც „კომიტეტი“.</p>				ას	<p>სავალდებულოა ევროკავშირის ქვეყნებისთვის, საუბარია იურისდიქციაში ინსტიტუციაზე, პროცედურებზე,</p> <p>მხოლოდ წევრი რაღაც ალნიშნულ არსებულ და იმ რაც</p>

						საქართველოსთვის რელევანტური ვერ იქნება ამ ეტაპზე, მისი სტატუსიდან გამომდინარე.
21.4	ერთობლივი კომიტეტის მეშვეობით, ESA-ს უფლება აქვს, უზრუნველყოს ზოგადი მეთოდური რეკომენდაციები იმასთან დაკავშირებით, მესამე ქვეყნების უფლებამოსილი ორგანოების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ შეთანხმებებით სავარაუდოდ მიიღწევა თუ არა წინამდებარე დირექტივით განსაზღვრული დამატებითი ზედამხედველობის მიზნები, იმ ფინანსურ კონგლომერატში არსებულ რეგულირებად სუბიექტებთან მიმართებაში, რომლის ხელმძღვანელის სათაო ოფისიც მდებარეობს მესამე ქვეყანაში. ერთობლივმა კომიტეტმა პერიოდულად უნდა განიხილოს ხოლმე ნებისმიერი ეს მეთოდური რეკომენდაცია და გაითვალისწინოს ამ უფლებამოსილი ორგანოების მიერ განხორციელებულ დამატებით ზედამხედველობაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება.				ას	სავალდებულოა მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის, რადგან საუბარია აღნიშნულ იურისდიქციაში არსებულ ინსტიტუციაზე, რაც საქართველოსთვის რელევანტური ვერ იქნება ამ ეტაპზე, მისი სტატუსიდან გამომდინარე.
21.6	კომიტეტმა სისტემატიურად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია წევრ სახელმწიფოებს ჯგუფის შიდა გარიგებებისა და რისკის კონცენტრაციის ზედამხედველობასთან დაკავშირებით მათ მიერ გამოყენებული პრინციპების შესახებ.				ას	აღსულებადობის კუთხით შედგენილია ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის დამახასიათებელი რეალობისთვის, რაც საქართველოსთვის იდენტურად რელევანტური ვერ იქნება.

21a	<p>1. წინამდებარე დირექტივის სისტემური ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად, ESA-ს, შესაბამისად (EU) N1093/2010 რეგულაციის, (EU) N1094/2010 რეგულაციისა და (EU) N1095/2010 რეგულაციის 56-ე მუხლის მიხედვით, უფლება აქვს შეიმუშაოს მარეგულირებელი ტექნიკური სტანდარტების წინასწარი ვარიანტები შემდეგთან დაკავშირებით:</p> <p>(a) მუხლი 2(11), საბჭოს 78/660/EEC დირექტივის მე-17 მუხლის გამოყენების განსაზღვრის მიზნით, წინამდებარე დირექტივის კონტექსტში;</p> <p>(b) მუხლი 2(17) „შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების“ განსაზღვრის პროცედურების დადგენის ან კრიტერიუმების განსაზღვრის მიზნით;</p> <p>(c) მუხლი 3(5) ფინანსური კონგლომერატის იდენტიფიცირების ალტერნატიული პარამეტრების განსაზღვრის მიზნით;</p> <p>(d) მუხლი 6(2) ანგარიშგების ერთგვაროვანი ფორმატის (ინსტრუქციებით) უზრუნველყოფისა და ანგარიშგების სიხშირისა და საჭიროების შემთხვევაში, ვადების განსაზღვრის მიზნით.</p> <p>ევროკომისიას გადაეცემა უფლებამოსილება, მიიღოს პირველ ქვეპუნქტში მითითებული მარეგულირებელი ტექნიკური სტანდარტები, შესაბამისად, (EU) N1093/2010 რეგულაციის, (EU) N1094/2010 რეგულაციისა და (EU) N1095/2010 რეგულაციის მე-10-14-ე მუხლებში განსაზღვრული პროცედურის მიხედვით.</p> <p>1a. 2, 7 და 8 მუხლებისა და II დანართის თანმიმდევრული გამოყენების უზრუნველსაყოფად, ESA-მ, ერთობლივი კომიტეტის მეშვეობით უნდა შეიმუშაოს მარეგულირებელი ტექნიკური წესების წინასწარი</p>			ას	<p>სავალდებულოა მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის, რადგან საუბარია აღნიშნულ იურისდიქციაში არსებულ პოლიტიკა/პროცედურებზე, რაც საქართველოსთვის რელევანტური ვერ იქნება ამ ეტაპზე, მისი სტატუსიდან გამომდინარე.</p>
-----	---	--	--	----	---

<p>ვარიანტი მე-2 მუხლში მოცემული განმარტებების უფრო ზუსტი ფორმულირების დადგენისა და მე-7 და მე-8 მუხლების და II დანართის მიხედვით მიღებული დებულებების კოორდინაციის მიზნით.</p> <p>ერთობლივმა კომიტეტმა ეს წინასწარი მარეგულირებელი ტექნიკური სტანდარტები 2015 წლის 1 იანვრისთვის ევროკომისიას უნდა გადაუგზავნოს.</p> <p>კომისიას გადაეცემა უფლებამოსილება, მიიღოს პირველ ქვეპუნქტში მითითებული მარეგულირებელი ტექნიკური სტანდარტები, შესაბამისად, (EU) N1093/2010 რეგულაციის, (EU) N1094/2010 რეგულაციისა და (EU) N1095/2010 რეგულაციის მე-10-14-ე მუხლებში განსაზღვრული პროცედურის მიხედვით.</p> <p>2. წინამდებარე დირექტივის გამოყენების ერთგვაროვანი პირობების უზრუნველსაყოფად, ESA-ს, შესაბამისად (EU) N1093/2010 რეგულაციის, (EU) N1094/2010 რეგულაციისა და (EU) N1095/2010 რეგულაციის 56-ე მუხლის მიხედვით, უფლება აქვს შეიმუშაოს განმახორციელებელი ტექნიკური სტანდარტების წინასწარი ვარიანტები შემდეგთან დაკავშირებით:</p> <p>_____</p> <p>(b) მუხლი 7(2) „რისკის კონცენტრაციების“ ცნების მოქმედების სფეროში საკითხების 7(2) მუხლი მითითებული ზედამხედველობით მიმოხილვაში შეყვანის პროცედურების გამოყენების ერთგვაროვანი პირობების უზრუნველსაყოფად;</p>				
---	--	--	--	--

<p>(c) მუხლი 8(2) „ჯგუფის შიდა გარიგებები“ კონცენტრაციების ცნების მოქმედების სფეროში საკითხების 8(2) მუხლში მითითებული ზედამხედველობით მიმოხილვაში შეყვანის პროცედურების გამოყენების ერთგვაროვანი პირობების უზრუნველსაყოფად.</p> <p>კომისიას გადაეცემა უფლებამოსილება, მიიღოს პირველ ქვეპუნქტში მითითებული მარეგულირებელი ტექნიკური სტანდარტები, შესაბამისად (EU) N1093/2010 რეგულაციის, (EU) N1094/2010 რეგულაციისა და (EU) N1095/2010 რეგულაციის მე-15 მუხლის მიხედვით.</p> <p>3. რათა უზრუნველყოფილ იქნეს იმ გაანგარიშების წესების თანმიმდევრული გამოყენება, რომლებიც ჩამოთვლილია წინამდებარე დირექტივის I დანართის II ნაწილში, (EU) N575/2013 რეგულაციის 49(1) მუხლთან და 2009/138/EC დირექტივის 228(1) მუხლთან ერთობლიობაში, თუმცა, წინამდებარე დირექტივის 6(4) მუხლის დაურღვევლად, ESA-ებმა, ერთობლივი კომიტეტის მეშვეობით, უნდა შეიმუშაონ მარეგულირებელი ტექნიკური სტანდარტების სამუშაო ვარიანტი წინამდებარე დირექტივის 6(2) მუხლთან დაკავშირებით.</p> <p>ESA-მ ამ მარეგულირებელი ტექნიკური სტანდარტების წინასწარი ვარიანტი უნდა გადაუზღავნოს ევროკომისიას 2009/138/EC დირექტივის 309(1) მუხლში მითითებული გამოყენების თარიღამდე 5 თვით ადრე.</p> <p>ევროკომისიას გადაეცემა უფლებამოსილება, მიიღოს პირველ ქვეპუნქტში მითითებული მარეგულირებელი ტექნიკური სტანდარტები, შესაბამისად (EU) N1093/2010 რეგულაციის, (EU)</p>				
---	--	--	--	--

	N1094/2010 რეგულაციისა და (EU) N1095/2010 რეგულაციის 10-14 მუხლების მიხედვით.				
21b	ESA-მ, ერთობლივი კომიტეტის მეშვეობით, უნდა გამოსცეს საერთო მეთოდური რეკომენდაციები, რომლებიც მითითებულია 3(8) მუხლის, 7(5) მუხლის, 8(5) მუხლის, 9(6) მუხლის, 11(1) მუხლის მე-3 ქვეპუნქტის, 12b მუხლის და 21(4) მუხლის შესაბამისად, (EU) N1093/2010 რეგულაციის, (EU) N1094/2010 რეგულაციის და (EU) N1095/2010 რეგულაციის 56-ე მუხლში დადგენილი პროცედურის მიხედვით.				ას სავალდებულოა მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის, რადგან საუბარია აღნიშნულ იურისდიქციაში არსებულ პოლიტიკა/პროცედურებზე ამავე იურისდიქციის ქვეშ არსებული ინსტიტუციებისთვის, რაც საქართველოსთვის რელევანტური ვერ იქნება ამ ეტაპზე, მისი სტატუსიდან გამომდინარე.
21c	1. დელეგირებული აქტების მიღების უფლებამოსილება გადაეცემა კომისიას ამ მუხლში მოცემული პირობების შესაბამისად. 2. მე-20 მუხლში მითითებული უფლების დელეგირება უნდა გადაეცეს ევროკომისიას ოთხი				ას სავალდებულოა მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის, რადგან საუბარია აღნიშნულ იურისდიქციაში არსებულ

<p>წლის ვადით, დაწყებული 2011 წლის 9 დეკემბრიდან. დელეგირებული უფლებამოსილების შესახებ ევროკომისიამ უნდა შეადგინოს ანგარიში არაუგვიანეს ოთხწლიანი პერიოდის დასრულებამდე ექვი თვით ადრე. უფლებამოსილების დელეგირება ავტომატურად უნდა გაგრძელდეს ანალოგიური ხანგრძლივობის ვადებით, თუ ევროპარლამენტი ან საბჭო არ გამოვლენ ამ გაგრძელების წინააღმდეგ ამ თითოეული ვადის დასრულებამდე არაუგვიანეს სამი თვისა.</p> <p>3. მე-20 მუხლში მითითებული უფლებამოსილების დელეგირება შეიძლება გაუქმდეს ნებისმიერ დროს ევროპარლამენტის ან საბჭოს მიერ. ანულირების შესახებ გადაწყვეტილება ამთავრებს ამ გადაწყვეტილებაში მითითებულ უფლებამოსილების დელეგირებას. ის ძალაში შედის გადაწყვეტილების ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებიდან მეორე დღეს ან მასში მითითებულ მოგვიანო თარიღზე. ის გავლენას არ ახდენს ძალაში უკვე არსებული რომელიმე დელეგირებული აქტის ნამდვილობაზე.</p> <p>4. ევროკომისიამ, დელეგირებული აქტის მიღებისთანავე, ის ერთდროულად უნდა შეატყობინოს ევროპარლამენტსა და საბჭოს.</p> <p>5. მე-20 მუხლის შესაბამისად მიღებული დელეგირებული აქტი ძალაში შედის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ევროპარლამენტი ან საბჭო არ გამოდიან ამის წინააღმდეგ ამ აქტის ევროპარლამენტის ან საბჭოსთვის შეტყობინებიდან სამი თვის ვადაში, ან თუ ამ ვადის ამოწურვამდე, როგორც ევროპარლამენტმა, ისე საბჭომ ევროკომისიას შეატყობინეს, რომ ისინი წინააღმდეგ არ გამოვლენ. ეს პერიოდი უნდა გაგრძელდეს სამი თვით, ევროპარლამენტისა ან საბჭოს ინიციატივით.</p>				<p>პოლიტიკა/პროცედურებზე ამავე იურისდიქციის ქვეშ არსებული ინსტიტუციებისთვის, რაც საქართველოსთვის რელევანტური ვერ იქნება ამ ეტაპზე, მისი სტატუსიდან გამომდინარე.</p>
--	--	--	--	---

23	<p>დირექტივაში 79/267/EC დირექტივაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:</p> <p>1. შემდეგი მუხლი უნდა ჩაემატოს:</p> <p>„მუხლი 12a</p> <p>1. პროცესში ჩართულ მეორე წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოებთან გავლილი უნდა იქნეს კონსულტაცია სიცოცხლის დამზღვევი იმ კომპანიისთვის ავტორიზაციის მიცემამდე, რომელიც:</p> <p>(a) არის სხვა წევრ სახელმწიფოში ავტორიზებული სადაზღვევო კომპანია; ან</p> <p>(b) არის სხვა წევრ სახელმწიფოში ავტორიზებული სადაზღვევო კომპანიის მშობელი საწარმოს ფილიალი; ან</p> <p>(c) კონტროლდება იმავე პირის მიერ, იქნება ის ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელიც აკონტროლებს სხვა წევრ სახელმწიფოში უფლებამოსილ სადაზღვევო კომპანიას.</p> <p>2. პროცესში ჩართული წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოსთან, რომელიც პასუხისმგებელია საკრედიტო დაწესებულებების ან საინვესტიციო კომპანიების ზედამხედველობაზე, უნდა გავლილი იქნეს კონსულტაცია სიცოცხლის დამზღვევი</p>				ას	<p>არ წარმოადგენს რელევანტურს საქართველოსთვის ამ კანონპროექტის დონეზე გასაწერად, რადგან საუბარია სხვადასხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე (რომელიც არის ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსით) არსებულ ორგანოთა ჩართულობაზე - აღნიშნული საქართველოს სტატუსიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე რელევანტური ვერ იქნება.</p>

<p>კომპანიისთვის ავტორიზაციის მიცემამდე რომელიც არის:</p> <p>(a) არის ევროგაერთიანებაში ავტორიზებული საკრედიტო დაწესებულების ან საინვესტიციო კომპანიის შვილობილი კომპანია; ან</p> <p>(b) ევროგაერთიანებაში ავტორიზებული საკრედიტო დაწესებულების ან საინვესტიციო კომპანიის მშობელი კომპანია; ან</p> <p>(c) კონტროლდება ერთი და იმავე პირის მიერ, იქნება ის ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელიც აკონტროლებს ევროგაერთიანებაში ავტორიზებულ საკრედიტო დაწესებულებას ან საინვესტიციო კომპანიას.</p> <p>3. 1-ელ და მე-2 პუნქტებში მითითებულმა შესაბამისმა უფლებამოსილმა ორგანოებმა ერთმანეთთან უნდა გაიარონ კონსულტაცია აქციონერების მიზანშეწონილობისა და იმავე ჯგუფის სხვა სუბიექტის მართვის პროცესში ჩართული დირექტორების რეპუტაციისა და გამოცდილების შეფასებისას. მათ ერთმანეთს უნდა აცნობონ ნებისმიერი ინფორმაცია აქციონერების მიზანშეწონილობისა და იმ დირექტორების რეპუტაციისა და გამოცდილების შესახებ, რომლებიც მნიშვნელობის მქონეა პროცესში ჩართული დანარჩენი უფლებამოსილი ორგანოებისთვის უფლებამოსილების მისანიჭებლად, აგრეთვე ექსპლუატაციის პირობებთან შესაბამისობის მიმდინარე შეფასების მიზნით.“</p> <p>2. შემდეგი ქვეპუნქტები უნდა დაემატოს 18(2) მუხლს:</p> <p>„ხელმისაწვდომი გადახდისუნარიანობის მარჟა აგრეთვე უნდა შემცირდეს შემდეგი პუნქტებით:</p>					
---	--	--	--	--	--

<p>(a) ის წილი, რომელსაც სადაზღვევო კომპანია ფლობს სიცოცხლის დამზღვევი კომპანია</p> <ul style="list-style-type: none"> - სადაზღვევო კომპანიებში წინამდებარე დირექტივის მე-6 მუხლის, 73/239/EEC დირექტივის მე-6 მუხლის ან 98/78/EC დირექტივის 1(b) მუხლის მნიშვნელობით, - გადამზღვევი კომპანიები 98/78/EC დირექტივის 1(c) მუხლის მნიშვნელობით, - სადაზღვევო ჰოლდინგური კომპანიები 98/78/EC დირექტივის 1(i) მუხლის მნიშვნელობით, - საკრედიტო დაწესებულებები და საფინანსო ინსტიტუტები ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000/12/EC დირექტივის 1(1) და (5) მუხლის მნიშვნელობით, - საინვესტიციო კომპანიები და საფინანსო ინსტიტუტები 93/22/EEC დირექტივის 1(2) მუხლის და 93/6/EEC დირექტივის 2(4) და 2(7) მუხლების მნიშვნელობით; <p>(b) თითოეული ის შემდეგი პუნქტი, რომელსაც სადაზღვევო კომპანია ფლობს (a) პუნქტში განსაზღვრულ იმ სუბიექტებთან მიმართებაში, რომლებშიც ის ფლობს წილს:</p> <ul style="list-style-type: none"> - მე-3 პუნქტში მითითებული ინსტრუმენტები, - 73/239/EEC დირექტივის 16(3) მუხლში მითითებული ინსტრუმენტები, - სუბორდინირებული ვალის მოთხოვნები და ინსტრუმენტები, მითითებული 2000/12/EC დირექტივის 35-ე და 36(3) მუხლებში. <p>იმ შემთხვევაში, როცა წილები სხვა საკრედიტო</p>					
--	--	--	--	--	--

<p>დაწესებულებაში, საინვესტიციო კომპანიაში, საფინანსო ინსტიტუტში, სადაზღვევო ან გადაზღვევის საწარმოში ან სადაზღვევო ჰოლდინგურ კომპანიაში დროებით მფლობელობაშია იმ ფინანსური დახმარების ოპერაციის მიზნებისთვის, რომლის მიზანია ამ სუბიექტის რეორგანიზება და შენარჩუნება, უფლებამოსილ ორგანოს უფლება აქვს, უარი თქვას მე-3 ქვეპუნქტის (a) და (b)-ში მითითებული დედუქციის შესახებ დებულებებზე.</p> <p>მე-3 ქვეპუნქტის (a) და (b)-ში მითითებული პუნქტების გამოკლების ალტერნატივად, რომლებსაც სადაზღვევო კომპანია ფლობს საკრედიტო დაწესებულებებში, საინვესტიციო კომპანიებსა და საფინანსო ინსტიტუტებში, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ უფლება მისცენ თავიანთ სადაზღვევო კომპანიებს, გამოიყენონ, სათანადო შესწორებების შეტანით, ფინანსურ კონგლომერატში საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვევო კომპანიებისა და საინვესტიციო კომპანიების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 16 დეკემბრის დირექტივის 2002/87/EC I დანართის მეთოდები 1, 2 ან 3. მეთოდი 1 (სააღრიცხვო კონსოლიდაცია) გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილი ორგანო დარწმუნებულია იმ სუბიექტებთან დაკავშირებული ინტეგრირებული მართვისა და შიდა კონტროლის დონეში, რომლებიც შეყვანილ იქნებოდნენ კონსოლიდაციის მოქმედების სფეროში. შერჩეული მეთოდი დროთა განმავლობაში თანმიმდევრულად უნდა იქნეს გამოყენებული.</p> <p>წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ უზრუნველყონ, რომ წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული გადახდისუნარიანობის</p>					
---	--	--	--	--	--

	<p>მარჟის გაანგარიშებისთვის, იმ სადაზღვევო კომპანიებს, რომლებიც ექვემდებარებიან დამატებით ზედამხედველობას 98/78/EC დირექტივის შესაბამისად ან დამატებით ზედამხედველობას 2002/87/EC დირექტივის შესაბამისად, არ დასჭირდეთ მესამე ქვეპუნქტის პუნქტებში (a) და (b) მითითებული იმ პუნქტების გამოკლება, რომლებსაც ფლობენ იმ საკრედიტო დაწესებულებებში, საინვესტიციო კომპანიებში, საფინანსო ინსტიტუტებში, სადაზღვევო ან გადამზღვევ კომპანიებში ან სადაზღვევო ჰოლდინგურ კომპანიებში, რომლებიც შეყვანილია დამატებით ზედამხედველობაში.</p> <p>ამ ქვეპუნქტში მითითებული წილების გამოკლების მიზნებისთვის, წილი ნიშნავს 98/78/EC დირექტივის 1(f) მუხლის მნიშვნელობით განსაზღვრულ წილს.</p>				
25	<p>92/96/EEC დირექტივაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:</p> <p>1. შემდეგი პუნქტი ჩართული უნდა იქნეს მე-14 მუხლში:</p> <p>"1a. თუ პირველ პუნქტში მითითებული ჰოლდინგების შემძენი არის სადაზღვევო კომპანია, საკრედიტო დაწესებულება ან საინვესტიციო კომპანია, რომელიც ავტორიზებულია სხვა წევრ სახელმწიფოში, ან ამ სუბიექტის მშობელი კომპანია ან ამ სუბიექტის მაკონტროლებელი ფიზიკური ან იურიდიული პირი, და თუ, ამ შემდენის შედეგად, ის საწარმო, რომელშიც შემძენი სთავაზობს წილის ფლობას, გახდებოდა შვილობილი კომპანია ან დაექვემდებარებოდა შემძენის კონტროლს, შემძენის შეფასება უნდა დაექვემდებაროს</p>				<p>ას არ წარმოადგენს რელევანტურს საქართველოსთვის ამ კანონპროექტის დონეზე გასაწერად, რადგან საუბარია სხვადასხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე (რომელიც არის ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსით) არსებულ ორგანოთა ჩართულობაზე - აღნიშნული საქართველოს სტატუსიდან გამომდინარე ამ ეტაპზე რელევანტური ვერ იქნება.</p>

<p>დირექტივის 79/267/EEC მუხლში 12a მითითებულ წინასწარ კონსულტაციას.”</p> <p>2. მუხლი 15(5c) უნდა ჩანაცვლდეს შემდეგით:</p> <p>“5c. ამ მუხლმა ხელი არ უნდა შეუშალოს უფლებამოსილ ორგანოს, გადაუგზავნოს</p> <ul style="list-style-type: none"> - ცენტრალურ ბანკებს და მსგავსი ფუნქციის მქონე სხვა ორგანოებს ფულად-საკრედიტო ორგანოების რანგში, - საჭიროების შემთხვევაში, საგადასახდო სისტემის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ სხვა სახელმწიფო ორგანოებს, <p>ინფორმაცია, რომელიც განკუთვნილია მათი ამოცანის შესასრულებლად, აგრეთვე, მან ამ ორგანოებს ან ორგანიზაციებს არ უნდა შეუშალოს ხელი უფლებამოსილი ორგანოებისთვის იმ ინფორმაციის გადაგზავნაში, რომელიც მათ შეიძლება სჭირდებოდეთ მე-4 პუნქტის მიზნებისთვის. ამ კონტექსტში მიღებული ინფორმაცია ექვემდებარება ამ მუხლით განსაზღვრულ პროფესიული საიდუმლოების პირობებს.</p>				
---	--	--	--	--

26	<p>93/6/EEC დირექტივის 7(3) მუხლში, პირველი და მეორე პუნქტები უნდა ჩანაცვლდეს შემდეგით:</p> <p>„— “ფინანსური ჰოლდინგური კომპანია“ ნიშნავს ფინანსურ ინსტიტუტს, რომლის შვილობილი საწარმოები ან ექსლუზიურად ან ძირითადად არიან საინვესტიციო კომპანიები ან სხვა საფინანსო ინსტიტუტები, რომელთაგან, სულ მცირე, ერთი არის საინვესტიციო კომპანია, და რომელიც არ არის შერეული ფინანსური ჰოლდინგური კომპანია საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვევო კომპანიებისა და ფინანსურ კონგლომერატში საინვესტიციო ფირმების დამატებითი ზედამხედველობის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002 წლის 16 დეკემბრის 2002/87/EC დირექტივის მნიშვნელობით,</p> <p>— „შერეული ჰოლდინგური კომპანია“ ნიშნავს მშობელ საწარმოს, გარდა ფინანსური ჰოლდინგური კომპანიისა ან საინვესტიციო კომპანიისა ან შერეული ფინანსური ჰოლდინგური კომპანიისა, 2002/87/EC დირექტივის მნიშვნელობით, რომლის შვილობილი კომპანიები მოიცავენ, სულ მცირე, ერთ საინვესტიციო კომპანიას.</p>				ას	<p>არ წარმოადგენს რეგულაციურს საქართველოსთვის ამ კანონპროექტის დონეზე გასაწერად, რადგან საუბარია სხვადასხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე (რომელიც არის ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსით) არსებულ ორგანოთა/დაწესებულებათა ჩართულობაზე - აღნიშნული საქართველოს სტატუსიდან გამომდინარე ამ ეტაპზე რეგულაციური ვერ იქნება.</p>
----	---	--	--	--	----	--

27	<p>93/22/EEC დირექტივაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:</p> <p>1. მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი პუნქტი:</p> <p>‘პროცესში ჩართული წვერი სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოსთან, რომელიც პასუხისმგებელია იმ საკრედიტო დაწესებულებების ან სადაზღვევო კომპანიების ზედამხედველობაზე, უნდა გავლილი იქნეს კონსულტაცია საინვესტიციო კომპანიისთვის ავტორიზაციის მიცემამდე, რომელიც:</p> <p>(a) არის ევროგაერთიანებაში ავტორიზებული საკრედიტო დაწესებულების ან სადაზღვევო კომპანიის შვილობილი კომპანია; ან</p> <p>(b) არის ევროგაერთიანებაში ავტორიზებული საკრედიტო დაწესებულების ან სადაზღვევო კომპანიის მშობელი კომპანიის შვილობილი კომპანია; ან</p> <p>(c) კონტროლდება ერთი და იმავე პირის მიერ, იქნება ის ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელიც აკონტროლებს ევროგაერთიანებაში ავტორიზებულ საკრედიტო დაწესებულებას ან სადაზღვევო კომპანიას.</p> <p>კერძოდ, 1-ელ და მე-2 პუნქტებში მითითებულმა შესაბამისმა უფლებამოსილმა ორგანოებმა ერთმანეთთან უნდა გაიარონ კონსულტაცია აქციონერების მიზანშეწონილობისა და იმავე ჯგუფის სხვა სუბიექტის მართვის პროცესში ჩართული დირექტორების რეპიტაციისა და გამოცდილების შეფასებისას. მათ ერთმანეთს უნდა აცნობონ ნებისმიერი ინფორმაცია აქციონერების მიზანშეწონილობისა და იმ დირექტორების რეპიტაციისა და გამოცდილების</p>				ას	<p>არ წარმოადგენს რელევანტურს საქართველოსთვის ამ კანონპროექტის დონეზე გასაწერად, რადგან საუბარია სხვადასხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე (რომელიც არის ევროკავშირის წვერი ქვეყნის სტატუსით) არსებულ ორგანოთა/დაწესებულებათა ჩართულობაზე - აღნიშნული საქართველოს სტატუსიდან გამომდინარე ამ ეტაპზე რელევანტური ვერ იქნება.</p>
----	---	--	--	--	----	--

	<p>შესახებ, რომლებიც მნიშვნელობის მქონე პროცესში ჩართული დანარჩენი უფლებამოსილი ორგანოებისთვის უფლებამოსილების მისანიჭებლად, აგრეთვე ექსპლუატაციის პირობებთან შესაბამისობის მიმდინარე შეფასების მიზნით“.</p> <p>2. მუხლი 9(2) უნდა ჩანაცვლდეს შემდეგით:</p> <p>„2. თუ პირველ პუნქტში მითითებული ჰოლდინგების შემძენი არის საინვესტიციო კომპანია, საკრედიტო დაწესებულება ან სადაზღვევო კომპანია, რომელიც ავტორიზებულია სხვა წევრ სახელმწიფოში, ან სხვა წევრ სახელმწიფოში ავტორიზებული საინვესტიციო კომპანიის, საკრედიტო დაწესებულების ან სადაზღვევო კომპანიის მშობელი კომპანია, ან სხვა წევრ სახელმწიფოში ავტორიზებული საინვესტიციო კომპანიის, საკრედიტო დაწესებულების ან სადაზღვევო კომპანიის მაკონტროლებელი ფიზიკური ან იურიდიული პირი, და თუ, ამ შემდენის შედეგად, ის საწარმო, რომელშიც შემძენი სთავაზობს წილის ფლობას, გახდებოდა შემძენის შვილობილი კომპანია ან მის კონტროლს დაექვემდებარებოდა, შემძენის შეფასება უნდა დაექვემდებაროს მე-6 მუხლით გათვალისწინებულ წინასწარ კონსულტაციას.“.</p>				
29	<p>2000/12/EC დირექტივაში შეტანილ იქნეს შემდეგი შესწორება:</p> <p>3. მუხლი 16(2) უნდა ჩანაცვლდეს შემდეგით:</p> <p>„2. თუ პირველ პუნქტში მითითებული ჰოლდინგების შემძენი არის სადაზღვევო კომპანია, საკრედიტო დაწესებულება ან საინვესტიციო კომპანია, რომელიც ავტორიზებულია სხვა წევრ სახელმწიფოში, ან</p>				<p>ას</p> <p>არ წარმოადგენს რელევანტურს კანონპროექტის დონეზე გასაწერად, რადგან საუბარია სხვადასხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე (რომელიც არის ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსით) არსებულ ორგანოთა/დაწესებულებათა ჩართულობაზე - აღნიშნული საქართველოს სტატუსიდან</p>

	<p>სხვა წევრ სახელმწიფოში ავტორიზებული სადაზღვევო კომპანიის, საკრედიტო დაწესებულების ან საინვესტიციო კომპანიის მშობელი კომპანია ან ამ სადაზღვევო კომპანიის, საკრედიტო დაწესებულების ან საინვესტიციო კომპანიის მაკონტროლებელი, სხვა წევრ სახელმწიფოში ავტორიზებული ფიზიკური ან იურიდიული პირი, და თუ, ამ შემთხვევის შემთხვევაში, ის დაწესებულება, რომელშიც შემძენი სთავაზობს წილის ფლობას, გახდებოდა შვილობილი კომპანია ან დაექვემდებარებოდა შემძენის კონტროლს, შემძენის შეფასება უნდა დაექვემდებაროს მე-12 მუხლში მითითებულ წინასწარ კონსულტაციას.“</p>				<p>გამომდინარე ამ ეტაპზე რელევანტური ვერ იქნება.</p>
--	---	--	--	--	--

30	<p>დარგობრივი წესების შემდგომ კოორდინაციამდე, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ აქტივების მმართველი კომპანიის შეყვანა:</p> <p>(a) საკრედიტო დაწესებულებებისა და საინვესტიციო კომპანიების კონსოლიდირებული ზედამხედველობის მოქმედების სფეროში, ან სადაზღვევო ჯგუფში არსებული სადაზღვევო კომპანიების დამატებითი ზედამხედველობის მოქმედების სფეროში;</p> <p>(b) იმ შემთხვევაში, როცა ჯგუფი არის ფინანსური კონგლომერატი წინამდებარე დირექტივის მნიშვნელობით დამატებითი ზედამხედველობის მოქმედების სფეროში; და</p> <p>(c) იდენტიფიცირების პროცესში, 3(2) მუხლის შესაბამისად.</p> <p>პირველი პუნქტის გამოსაყენებლად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, ან თავიანთ უფლებამოსილ ორგანოებს უნდა მისცენ უფლებამოსილება იმის გადაწყვეტის შესახებ, რომელი დარგობრივი წესების (საბანკო სექტორი, სადაზღვევო სექტორი ან საინვესტიციო მომსახურებების სექტორი) მიხედვით უნდა იქნენ ჩართულები აქტივების მმართველი კომპანიები პირველი პუნქტის (a) პუნქტში მითითებულ კონსოლიდირებულ ან/და დამატებით ზედამხედველობაში. ამ დებულების მიზნებისთვის, ფინანსური დაწესებულებების (იმ შემთხვევაში, როცა აქტივების მმართველი კომპანიები შეყვანილები არიან საკრედიტო დაწესებულებებისა და საინვესტიციო კომპანიების კონსოლიდირებული ზედამხედველობის მოქმედების სფეროში) და გადამზღვევი კომპანიების (იმ შემთხვევაში, როცა აქტივების მმართველი კომპანიები შეყვანილები არიან</p>				ას	<p>არ წარმოადგენს რელევანტურს საქართველოსთვის ამ კანონპროექტის დონეზე გასაწერად, რადგან საუბარია სხვადასხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე (რომელიც არის ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსით) არსებულ ორგანოთა ჩართულობაზე - აღნიშნული საქართველოს სტატუსიდან გამომდინარე ამ ეტაპზე რელევანტური ვერ იქნება.</p>
----	---	--	--	--	----	---

<p>სადაზღვევო კომპანიების დამატებითი ზედამხედველობის მოქმედების სფეროში) ჩართვის ფორმასთან და მასშტაბთან დაკავშირებული შესაბამისი დარგობრივი წესები, სათანადო შესწორებების შეტანით, უნდა გამოყენებულ იქნენ აქტივების მმართველი კომპანიების მიმართ. პირველი პუნქტის (b) ქვეპუნქტში მითითებული დამატებითი ზედამხედველობის მიზნებისთვის, აქტივების მმართველი კომპანია უნდა განიხილებოდეს იმ სექტორის ნაწილად, რომელშიც ის არის ჩართული პირველი პუნქტის (a) ქვეპუნქტის მეშვეობით.</p> <p>იმ შემთხვევაში, როცა აქტივების მმართველი კომპანია არის ფინანსური კონგლომერატის ნაწილი, რეგულირებადი სუბიექტის და უფლებამოსილი ორგანოების და აქედან გამომდინარე, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების ცნებაზე ნებისმიერი მითითება, წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის, უნდა გაგებულ იქნეს, რომ მოიცავს, შესაბამისად, აქტივების მმართველ კომპანიებს და აქტივების მმართველი კომპანიების ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ უფლებამოსილ ორგანოებს. ეს გამოიყენება, სათანადო შესწორებების შეტანით, პირველი პუნქტის (a) ქვეპუნქტში მითითებული ჯგუფების მიმართ.</p>					
--	--	--	--	--	--

30a	<p>1. დარგობრივი წესების შემდგომ კოორდინაციამდე, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ალტერნატიული საინვესტიციო ფონდის მმართველების შეყვანა:</p> <p>(a) საკრედიტო დაწესებულებებისა და საინვესტიციო კომპანიების კონსოლიდირებული ზედამხედველობის მოქმედების სფეროში, ან სადაზღვევო ჯგუფში არსებულ სადაზღვევო კომპანიების დამატებითი ზედამხედველობის მოქმედების სფეროში;</p> <p>(b) იმ შემთხვევაში, როცა ჯგუფი არის ფინანსური კონგლომერატი წინამდებარე დირექტივის მნიშვნელობით დამატებითი ზედამხედველობის მოქმედების სფეროში; და</p> <p>(c) იდენტიფიცირების პროცესში, მუხლი 3(2)-ის შესაბამისად.</p> <p>2. პირველი პუნქტის გამოსაყენებლად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ ან თავიანთ უფლებამოსილ ორგანოებს უნდა მისცენ უფლებამოსილება იმის გადაწყვეტის შესახებ, თუ რომელი დარგობრივი წესების (საბანკო სექტორი, სადაზღვევო სექტორი ან საინვესტიციო მომსახურებების სექტორი) მიხედვით უნდა მოხდეს საინვესტიციო ფონდის ალტერნატიული მმართველების შეყვანა პირველი პუნქტის (a) ქვეპუნქტში მითითებულ კონსოლიდირებულ ან დამატებით ზედამხედველობაში. ამ პუნქტის გამოსაყენებლად, საფინანსო ინსტიტუტების ჩართვის ფორმასა და მასშტაბთან დაკავშირებული შესაბამისი დარგობრივი წესები, სათანადო შესწორებების შეტანით, გამოიყენება ალტერნატიული საინვესტიციო ფონდების მმართველების მიმართ. პირველი პუნქტის (b) ქვეპუნქტში მითითებული დამატებითი</p>			ას	<p>არ წარმოადგენს რელევანტურს საქართველოსთვის ამ კანონპროექტის დონეზე გასაწერად, რადგან საუბარია სხვადასხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე (რომელიც არის ევროკავშირის წევრი ქვეყნის სტატუსით) არსებულ ორგანოთა ჩართულობაზე - აღნიშნული საქართველოს სტატუსიდან გამომდინარე ამ ეტაპზე რელევანტური ვერ იქნება.</p>
-----	---	--	--	----	---

	<p>ზედამხედველობის მიზნებისთვის, ალტერნატიული საინვესტიციო ფონდის უნდა განიხილებოდეს იმ სექტორის ნაწილად, რომელშიც ის არის ჩართული პირველი პუნქტის (ა) პუნქტის მეშვეობით.</p> <p>იმ შემთხვევაში, როცა ალტერნატიული საინვესტიციო ფონდების მმართველი არის ფინანსური კონგლომერატის ნაწილი, რეგულირებად სუბიექტზე და აქედან გამომდინარე, უფლებამოსილ და შესაბამისი უფლებამოსილ ორგანოებზე ნებისმიერი მითითება, წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის, უნდა გაგებულ იქნეს, რომ მოიცავს, შესაბამისად, იმ ალტერნატიული საინვესტიციო ფონდების მმართველებს და უფლებამოსილ ორგანოებს, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ალტერნატიული საინვესტიციო ფონდების მმართველების ზედამხედველობაზე. ეს გამოიყენება, სათანადო შესწორებების შეტანით, პირველი პუნქტის (ა) პუნქტში მითითებული ჯგუფების მიმართ.</p>				
31	<p>1. 2007 წლის 11 აგვისტოსთვის, ევროკომისიამ 21-ე მუხლში მითითებულ ფინანსური კონგლომერატების კომიტეტს უნდა წარუდგინოს ანგარიში წევრი სახელმწიფოების პრაქტიკების და საჭიროების შემთხვევაში, იმ დამატებითი ჰარმონიზაციის აუცილებლობის შესახებ, რომელიც უკავშირდება</p> <ul style="list-style-type: none"> - ჯგუფის შიდა ზედამხედველობაში აქტივების მმართველი კომპანიის ჩართვას, - I დანართში მოცემული კაპიტალის ადეკვატურობის არჩევა და გამოყენება, - II დანართში მითითებული მნიშვნელოვანი ჯგუფის შიდა გარიგებებისა და მნიშვნელოვანი 				<p>ას რელევანტურია მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის, ვინაიდან დირექტივის აღნიშნული მუხლი ადგენს ევროკავშირის დონეზე არსებული კომიტეტისთვის ანგარიშების წარდგენის ვალდებულებებს, შესაბამისად, საქართველოსთვის რელევანტური ვერ იქნება.</p>

<p>რისკის კონცენტრაციის და ჯგუფის შიდა გარიგებებისა და რისკის კონცენტრაციის ზედამხედველობის განმარტება, კერძოდ, ამ მიზნით რაოდენობრივი შეზღუდვებისა და ხარისხობრივი მოთხოვნების შემოღებასთან დაკავშირებით,</p> <p>- ის შუალედები, რომლებითაც ფინანსურმა კონგლომერატებმა უნდა განახორციელონ მუხლში 6(2) მოცემული კაპიტალის ადეკვატურობის მიმართ მოთხოვნების გაანგარიშება და ანგარიში წარუდგინონ კოორდინატორს მუხლში 7(2) მოცემული მნიშვნელოვანი რისკის კონცენტრაციის შესახებ.</p> <p>თავისი წინადადებების წარდგენამდე კომისიამ კონსულტაცია უნდა გაიაროს კომიტეტთან.</p> <p>2. ფინანსურ ჯგუფებში საკუთარი სახსრების ორმაგი მოზიდვის გამორიცხვის წესების შესახებ საერთაშორისო დონეზე შეთანხმების მიღწევადან ერთი წლის განმავლობაში, ევროკომისიამ უნდა შეისწავლოს, როგორ მოიყვანოს წინამდებარე დირექტივის დებულებები შესაბამისობაში ამ საერთაშორისო შეთანხმებებთან და საჭიროების შემთხვევაში, დააყენოს სათანადო წინადადებები.</p>					
---	--	--	--	--	--

32	<p>წევრმა სახელმწიფოებმა წინამდებარე დირექტივასთან შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი კანონები, რეგულაციები და ადმინისტრაციული დებულებები ძალაში უნდა შეიყვანონ 2004 წლის 11 აგვისტოსთვის. მათ ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ ევროკომისიას.</p> <p>წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ პირველ ქვეპუნქტში მითითებული დებულებები, უპირველესად, უნდა გამოყენებულნი იქნენ იმ ფინანსური წლის ანგარიშების ზედამხედველობის მიმართ, რომელიც იწყება 2005 წლის 1 იანვარს ან ამ კალენდარული წლის განმავლობაში.</p> <p>წევრი სახელმწიფოების მიერ აღნიშნული ზომების მიღებისას, მათში უნდა მიეთითოს ეს დირექტივა ან, ოფიციალურად გამოქვეყნების შემთხვევაში, მათ თან უნდა ახლდეს ამგვარი მითითება. მითითების გაკეთების მეთოდები განისაზღვრება წევრი სახელმწიფოების მიერ.</p>				ას	<p>სავალდებულოა მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის, რადგან საუბარია აღნიშნულ იურისდიქციაში არსებულ პოლიტიკა/პროცედურებზე ამავე იურისდიქციის ქვეშ არსებული ინსტიტუციებისთვის, რაც საქართველოსთვის რელევანტური ვერ იქნება ამ ეტაპზე, მისი სტატუსიდან გამომდინარე.</p>
33	<p>წინამდებარე დირექტივა ძალაში შედის ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში მისი გამოქვეყნების დღეს.</p>				ას	<p>რელევანტურია მხოლოდ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის, ვინაიდან ადგენს ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების პროცედურებს, რაც საქართველოსთვის რელევანტური ვერ იქნება.</p>

34	ეს დირექტივა ვრცელდება წევრ სახელმწიფოებზე.				ას	სავალდებულოა მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის.
დანართი I	<p>კაპიტალის ადეკვატურობა</p> <p>6(1) მუხლში მითითებულ ფინანსურ კონგლომერატში რეგულირებადი სუბიექტების დამატებითი კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების გაანგარიშება უნდა მოხდეს ტექნიკური პრინციპებისა და ამ დანართში აღწერილი ერთ-ერთი მეთოდის მიხედვით.</p> <p>შემდეგი პუნქტის დებულებების დაურღვევლად, წევრმა სახელმწიფოებმა თავიანთ უფლებამოსილ ორგანოებს, იმ შემთხვევაში, როცა ისინი კისრულობენ კოორდინატორის როლს კონკრეტულ ფინანსურ კონგლომერატთან დაკავშირებით, დანარჩენ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან და თავად კონგლომერატთან კონსულტაციის გავლის შემდეგ, უნდა მისცენ უფლება, მიიღონ გადაწყვეტილება იმ მეთოდის შესახებ, რომელიც ამ ფინანსურმა კონგლომერატმა უნდა გამოიყენოს.</p> <p>წევრ სახელმწიფოებს უფლება აქვთ მოითხოვონ გაანგარიშების ჩატარება ამ დანართში აღწერილი მეთოდებიდან ერთი კონკრეტული მეთოდის მიხედვით, თუ ფინანსურ კონგლომერატს ხელმძღვანელობს ის რეგულირებადი სუბიექტი, რომელიც ავტორიზებულია ამ წევრ სახელმწიფოში. იმ შემთხვევაში, როცა ფინანსურ კონგლომერატს არ ხელმძღვანელობს რეგულირებადი სუბიექტი პირველი მუხლის მნიშვნელობით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გასცენ ამ დანართში აღწერილი მეთოდებიდან ნებისმიერის გამოყენების უფლებამოსილება, გარდა იმ სიტუაციებისა, როცა შესაბამისი</p>	N1	6.2	<p>2. კაპიტალის ადეკვატურობის/ გადახდისუნარიანობის მარჯის დამატებითი მოთხოვნების მიზნებისათვის, შესაძლოა, გამოყენებულ იქნას კაპიტალის ადეკვატურობის/ გადახდისუნარიანობის მარჯის დამატებითი მოთხოვნების გამოთვლის ერთ-ერთი შემდეგი მეთოდი:</p> <p>ა) ბულალტრული კონსოლიდაციის მეთოდი, როდესაც ჯგუფში შემავალ საწარმოთა კაპიტალი და ჯგუფის საწარმოთა კაპიტალის მოთხოვნები გამოთვლილი უნდა იქნეს შესაბამისი სექტორული ზედამხედველობის წესების მიხედვით (შესაბამისი კონსოლიდირების მიდგომით);</p> <p>ბ) ჩამოწერისა და აგრეგაციის მეთოდი, როდესაც მხედველობაში მიიღება გამოშვებული კაპიტალის პროპორცია/თანაფარდობა, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს მშობელი საწარმო ან საწარმო, რომელიც მონაწილეობს ჯგუფის სხვა საწარმოში;</p> <p>გ) კომბინაციის მეთოდი, რომელიც გულისხმობს ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მეთოდების კომბინირებულ გამოყენებას.</p>	წმ	<p>კანონპროექტი არ მოიცავს დირექტივის I და II დანართებს. კანონის პროექტში განსაზღვრულ იქნა საზედამხედველო ორგანოთა დისკრეცია, აღნიშნული დანართებით განსაზღვრულ სტანდარტებთან და მოთხოვნებთან დაკავშირებით, საჭიროებისამებრ, გამოსცენ შესაბამისი სამართლებრივი აქტ(ებ)ი.</p>
		N1	19	საზედამხედველო ორგანომ 2024 წლის 1 ივნისამდე უზრუნველყოს ამ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების გამოცემა.		

უფლებამოსილი ორგანოები მდებარეობენ ერთსა და იმავე წევრ სახელმწიფოში, რა შემთხვევაშიც ამ წევრ სახელმწიფოს შეიძლება მოეთხოვოთ ერთ-ერთი მეთოდის გამოყენება.

I. სხვა ტექნიკური პრინციპები

1. დამატებითი კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების გაანგარიშების მასშტაბი და ფორმა

რომელი მეთოდიც არ უნდა გამოიყენებოდეს, როცა სუბიექტი არის შვილობილი საწარმო და მას გააჩნია გადახდისუნარიანობის დეფიციტი, ან არარეგულირებადი ფინანსური სექტორის ერთეულის შემთხვევაში, გადახდისუნარიანობის ნომინალური დეფიციტი, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შვილობილი საწარმოს გადახდისუნარიანობის საერთო დეფიციტი. როცა ამ შემთხვევაში, კოორდინატორის მოსაზრებით, კაპიტალის წილის მფლობელი მშობელი საწარმოს პასუხისმგებლობა მკაცრად და ცალსახად შემოიფარგლება კაპიტალის ამ წილით, კოორდინატორს უფლება აქვს, პროპორციულ საფუძველზე მხედველობაში მისაღები შვილობილი საწარმოს გადახდისუნარიანობის დეფიციტის ნებართვა გასცეს.

იმ შემთხვევაში, როცა კაპიტალთან დაკავშირებული ვალდებულებები არ არსებობს ფინანსურ კონგლომერატში სუბიექტებს შორის, კოორდინატორმა დანარჩენ უფლებამოსილ ორგანოებთან კონსულტაციის შემდეგ უნდა განსაზღვრონ, რომელი პროპორციული წილი უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, იმ ვალდებულების გათვალისწინებით, რომელსაც არსებული ურთიერთობა წარმოშობს.

2. სხვა ტექნიკური პრინციპები

<p>იმ მეთოდის მიუხედავად, რომელიც გამოიყენება ფინანსურ კონგლომერატში რეგულირებადი სუბიექტების დამატებითი კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების გაანგარიშებისთვის, რომელიც მოცემულია ამ დანართის II ნაწილში კოორდინატორმა და საჭიროების შემთხვევაში, სხვა შესაბამისმა უფლებამოსილმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ შემდეგი პრინციპების გამოყენება:</p> <p>(i) ფინანსური კონგლომერატის დონეზე საკუთარი სახსრების გაანგარიშებისთვის უფლებამოსილი ელემენტების მრავალჯერადი გამოყენება (მრავალჯერადი მოზიდვა), აგრეთვე საკუთარი სახსრების ნებისმიერი შეუფერებელი ჯგუფის შიდა შექმნა უნდა გამოირიცხოს; მრავალჯერადი მოზიდვისა და საკუთარი სახსრების ჯგუფის შიდა შექმნის გამორიცხვის უზრუნველსაყოფად, უფლებამოსილმა ორგანოებმა ანალოგიით უნდა გამოიყენონ შესაბამისი დარგობრივი წესებით განსაზღვრული შესაბამისი პრინციპები;</p> <p>(ii) დარგობრივი წესების შემდგომ ჰარმონიზაციამდე, ფინანსურ კონგლომერატში წარმოდგენილი თითოეული სხვადასხვა საფინანსო სექტორის მიმართ გადახდისუნარიანობის მიმართ მოთხოვნები უნდა მოცული იქნეს საკუთარი სახსრების ელემენტებით, შესაბამისი დარგობრივი წესების მიხედვით; როცა ფინანსური კონგლომერატის დონეზე არსებობს საკუთარი სახსრების დეფიციტი, მხოლოდ ის საკუთარი სახსრების ელემენტები, რომლებიც უფლების მქონეა თითოეული დარგობრივი წესის (დარგთაშორისი კაპიტალი) მიხედვით, შეესაბამებოდეს გადახდისუნარიანობის მიმართ დამატებით</p>					
---	--	--	--	--	--

<p>მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმების კრიტერიუმებს;</p> <p>იმ შემთხვევაში, როცა დარგობრივი წესები ითვალისწინებენ იმ გარკვეული საკუთარი სახსრების ინსტრუმენტების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეზღუდვებს, რომლებიც დააკმაყოფილებდნენ დარგთაშორისი კაპიტალის კრიტერიუმებს, ეს შეზღუდვები გამოყენებული იქნებოდა, სათანადო შესწორებების შეტანით, ფინანსური კონგლომერატის დონეზე საკუთარი სახსრების გაანგარიშებისას;</p> <p>ფინანსური კონგლომერატის საკუთარი ფინანსური სახსრების გაანგარიშებისას, უფლებამოსილმა ორგანოებმა აგრეთვე უნდა მხედველობაში მიიღონ გადაცემადობის ეფექტიანობა და ჯგუფში სხვადასხვა სამართლის სუბიექტებში საკუთარი სახსრების ხელმისაწვდომობა, კაპიტალის ადეკვატურობის წესების მიზნების გათვალისწინებით;</p> <p>იმ შემთხვევაში, როცა არარეგულირებადი ფინანსური სექტორის სუბიექტის შემთხვევაში, ნომინალური გადახდისუნარიანობის მიმართ მოთხოვნის გაანგარიშება ხდება ამ დანართის II ნაწილის შესაბამისად, ნომინალური გადახდისუნარიანობის მიმართ მოთხოვნა ნიშნავს კაპიტალის მიმართ მოთხოვნას, რომელთან შესაბამისობაც მოუწევდა ამ სუბიექტს შესაბამისი დარგობრივი წესების მიხედვით, ის რომ ყოფილიყო ამ კონკრეტული ფინანსური სექტორის რეგულირებადი სუბიექტი; აქტივების მმართველი კომპანიების შემთხვევაში, გადახდისუნარიანობის მიმართ მოთხოვნა ნიშნავს 85/611/EEC დირექტივის 5a(1)(a) მუხლში მოცემული კაპიტალის მიმართ მოთხოვნას; შერეული</p>					
---	--	--	--	--	--

<p>ფინანსური ჰოლდინგური კომპანიის ნომინალური გადახდისუნარიანობის მიმართ მოთხოვნა უნდა გაანგარიშდეს ფინანსურ კონგლომერატში ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური სექტორის დარგობრივი წესების მიხედვით.</p> <p>II. გაანგარიშების ტექნიკური მეთოდები</p> <p>მეთოდი 1: „სააღრიცხვო კონსოლიდაციის“ მეთოდი</p> <p>ფინანსურ კონგლომერატში რეგულირებადი სუბიექტების დამატებითი კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების გაანგარიშება მოხდება კონსოლიდირებული ანგარიშების საფუძველზე.</p> <p>დამატებითი კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები უნდა გაანგარიშდეს, როგორც სხვაობა შემდეგ შორის:</p> <p>(i) ჯგუფის კონსოლიდირებული მდგომარეობის საფუძველზე გაანგარიშებული ფინანსური კონგლომერატის საკუთარი სახსრები; უფლებამოსილია ის ელემენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ კრიტერიუმებს შესაბამისი დარგობრივი წესების მიხედვით;</p> <p>და</p> <p>(ii) ჯგუფში წარმოდგენილი თითოეული განსხვავებული საფინანსო სექტორის გადახდისუნარიანობის მიმართ მოთხოვნების ჯამი; თითოეული განსხვავებული საფინანსო სექტორის გადახდისუნარიანობის მიმართ მოთხოვნები იანგარიშება შესაბამისი დარგობრივი წესების მიხედვით.</p>					
---	--	--	--	--	--

<p>დარგობრივი წესები, კერძოდ, 2000/12/EC დირექტივის V კარის მე-3 თავში საკრედიტო დაწესებულებებთან დაკავშირებით, 98/78/EC დირექტივა სადაზღვევო კომპანიებთან დაკავშირებით და 93/6/EEC დირექტივა საკრედიტო დაწესებულებებთან და საინვესტიციო კომპანიებთან დაკავშირებით.</p> <p>იმ არარეგულირებადი საფინანსო სექტორის სუბიექტების შემთხვევაში, რომლებიც არ არიან ჩართულები ზემოაღნიშნული დარგობრივი გადახდისუნარიანობის მიმართ მოთხოვნის გაანგარიშებაში, უნდა გაანგარიშდეს ნომინალური გადახდისუნარიანობის მიმართ მოთხოვნა.</p> <p>სხვაობა არ უნდა იყოს უარყოფითი.</p> <p>მეთოდი 2: „გამოკლებისა და გაერთიანების“ მეთოდი</p> <p>ფინანსურ კონგლომერატში რეგულირებადი სუბიექტების დამატებითი კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების გაანგარიშება უნდა მოხდეს ჯგუფში თითოეული სუბიექტის ანგარიშების საფუძველზე.</p> <p>დამატებითი კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები უნდა გაანგარიშდეს, როგორც სხვაობა შემდეგს შორის:</p> <p>(i) ფინანსურ კონგლომერატში თითოეული რეგულირებადი და არარეგულირებადი ფინანსური სექტორის სუბიექტის საკუთარი სახსრების ჯამი; უფლების მქონეა ის ელემენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ კრიტერიუმებს შესაბამისი დარგობრივი წესების მიხედვით;</p> <p>და</p> <p>(ii) შემდეგის ჯამი:</p>					
---	--	--	--	--	--

	<p>- ჯგუფში თითოეული რეგულირებადი და არარეგულირებადი ფინანსური სექტორის სუბიექტის გადახდისუნარიანობის მიმართ მოთხოვნები; გადახდისუნარიანობის მოთხოვნები იანგარიშება შესაბამისი დარგობრივი წესების მიხედვით, და - ჯგუფის სხვა სუბიექტებში წილების საბალანსო ღირებულება.</p> <p>არარეგულირებადი საფინანსო სექტორის სუბიექტების შემთხვევაში, იანგარიშება ნომინალური გადახდისუნარიანობის მიმართ მოთხოვნა. საკუთარი სახსრები და გადახდისუნარიანობის მიმართ მოთხოვნები უნდა მხედველობაში იქნეს მიღებული მუხლით ნ(4) გათვალისწინებული მათი პროპორციული წილისთვის, და ამ დანართის I ნაწილის შესაბამისად.</p> <p>სხვაობა არ უნდა იყოს უარყოფითი.</p> <p>მეთოდი 3: „კომბინაციის მეთოდი“ უფლებამოსილ ორგანოებს შეუძლიათ გასცენ მეთოდი 1-ის და მეთოდი 2-ის კომბინაციის უფლება.</p>					
<p>დანართი II</p>	<p>დებულებების ტექნიკური გამოყენება ჯგუფში და ტრანზაქციები და რისკების კონცენტრაცია</p> <p>კოორდინატორმა, დანარჩენ სხვა უფლებამოსილ ორგანოებთან კონსულტაციის შემდეგ, უნდა განსაზღვროს გარიგებებისა და რისკების სახეობა; კონკრეტულ ფინანსურ კონგლომერატში რეგულირებადმა სუბიექტებმა ანგარიში უნდა წარადგინონ მუხლები 7(2) და მუხლი 8(2) დებულებების მიხედვით, ჯგუფის შიდა გარიგებებისა და რისკის კონცენტრაციის შესახებ</p>	<p>N1</p>	<p>7.4</p>	<p>ფინანსური კონგლომერატის დონეზე არსებული რისკების კონცენტრაციასთან და ჯგუფის შიდა ტრანზაქციებთან დაკავშირებით, შესაბამისი საზედამხედველო ორგანოები უფლებამოსილი არიან, განსაზღვრონ რაოდენობრივი ლიმიტები, ასევე, ხარისხობრივი მოთხოვნები ჯგუფის შიდა ტრანზაქციებთან მიმართებით და მიიღონ სხვა აუცილებელი საზედამხედველო ზომები.</p>	<p>ნშ</p>	<p>კანონპროექტი არ მოიცავს დირექტივის I და II დანართებს. კანონის პროექტში განსაზღვრულ იქნა საზედამხედველო ორგანოთა დისკრეცია, აღნიშნული დანართებით განსაზღვრულ სტანდარტებთან და მოთხოვნებთან დაკავშირებით, საჭიროებისამებრ, გამოსცენ შესაბამისი სამართლებრივი აქტ(ებ)ი.</p>

<p>შეტყობინებაზე. გარიგებებისა და რისკების სახეობის განსაზღვრისას ან თავისი შეხედულების დაფიქსირებისას, შესაბამისმა უფლებამოსილმა ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ ფინანსური კონგლომერატის კონკრეტული ჯგუფი და რისკის მართვის სტრუქტურა. ჯგუფის შიდა მნიშვნელოვანი გარიგებებისა და რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაციის მე-7 და მე-8 მუხლების დებულებების მიხედვით შეტყობინებისთვის, კოორდინატორმა, დანარჩენ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან და თავად კონგლომერატთან კონსულტაციის შემდეგ, უნდა განსაზღვროს მარეგულირებელ საკუთარ სახსრებზე ან/და ტექნიკურ დებულებებზე დამყარებული სათანადო ზღვრული მნიშვნელობები.</p> <p>ჯგუფის შიდა გარიგებებსა და რისკის კონცენტრაციებზე ზედამხედველობისას, კოორდინატორმა, კერძოდ, უნდა განახორციელოს ფინანსურ კონგლომერატში მავნე ზემოქმედების შესაძლო რისკის, ინტერესთა კონფლიქტის რისკის, დარგობრივი წესებისთვის გვერდის ავლის რისკისა და რისკების დონის ან მოცულობის მონიტორინგი.</p> <p>წევრმა სახელმწიფოებმა თავიანთ უფლებამოსილ ორგანოებს უნდა მისცენ უფლება, ფინანსური კონგლომერატის დონეზე გამოიყენონ ჯგუფის შიდა გარიგებებისა და რისკის კონცენტრაციის შესახებ დარგობრივი წესების დებულებები, კერძოდ, დარგობრივი წესებისთვის გვერდის ასავლელად.</p>	<p>N1</p>	<p>19</p>	<p>საზედამხედველო ორგანომ 2024 წლის 1 ივნისამდე უზრუნველყოს ამ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების გამოცემა.</p>		
--	-----------	-----------	---	--	--